

წყალდიდობამ კახეთი სერიოზულად დააზარალა

A2



ქართული ღვინის ეროვნული კონკურსი

A5



რატომ ხიბლავთ ბიბო?!

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 16 მაისი, 2006 წელი. №106 (1258)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### საჰაერო სივრცის დარღვევა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ დილით უცნობმა საფრენმა აპარატმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია.

A3

## სამართალი

### დეპუტატის ყოფილი მეუღლე უდანაშაულოა

პარლამენტარ გოჩა ჩახვაძის ოჯახური დრამის გამო ცოტა ხნის წინათ ამტყდარი სკანდალი, რომელიც მალევე ჩაცხრა, როგორც ჩანს, დღის წესრიგში კვლავ დადგება. გოჩა ჩახვაძის მეუღლის ეთერ ჭუმბურიძის ადვოკატმა პროკურატურას შუამდგომლობით მიმართა და საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაცია მოითხოვა.

A4

## რევიუ

### ახალგაზრდული კინოფესტივალი დაიწყო

2006 წელი სესილია თაყაიშვილის დაბადებიდან მესაეა. ახლგაზრდული კინოფესტივალი, რომელიც ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის სახელობისაა, წელს მეექვსედ იმართება. ის ოფიციალურად გუშინ გაიხსნა. საზოგადოება ჯერ გალერეა "კოპალაში" შეიკრიბა, სადაც ქართული კინოპლაკატის გამოფენა გაიხსნა, შემდეგ კი - კინოთეატრ "ამირანში", სადაც ორგანიზატორები იმ მაყურებლის წინაშე წარდგნენ, რომელიც კიდევ რამდენიმე დღე, კონკრეტულად 22 მაისამდე, მისი ერთგული პუბლიკა იქნება.

A8


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 16/05 | 17/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 25 |
| ტყიბული | 27 | 23 |
| სოხუმი | 25 | 25 |
| დმანისი | 23 | 20 |
| გორი | 25 | 22 |
| ონი | 21 | 20 |
| ზუგდიდი | 29 | 26 |
| ახმეტა | 27 | 25 |
| გაგრა | 22 | 26 |
| სამტრედია | 28 | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8065 |
| ევრო | 2.3188 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4036 |
| რუბლი | 0.0671 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# დიალოგი აღდგა

### "მომავლის გასაღები" თუ "საგზაო რუკა"?

სოფო ბუკია

*ხუთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოსა და აფხაზეთის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა აღდგა. აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის დელეგაცია გუშინ თბილისში ჩამოვიდა და "მომავლის გასაღები" ჩამოიტანა. მოერგება თუ არა ეს გასაღები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ჩარაზულ კარს, ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. "დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია აფხაზეთმა ჯერ კიდევ 1999 წელს რეფერენდუმის შედეგად მიიღო. დღეს ჩვენ გთავაზობთ გეგმას, სადაც ასახულია საქართველოსა და აფხაზეთის, როგორც ორი თანასწორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაცხოვრების პერსპექტივები," - აცხადებს სერგეი შამბა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# პალესტინელი ხალხის "მეგობარი" პუტინი

### რას ელოდება პალესტინის ავტონომია რუსეთისაგან?

თეა მაისურაძე

გუშინ შავი ზღვის კურორტზე, სოჭში, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის ლიდერს მაჰმუდ აბასს შეხვდა. შეხვედრა "ბოჩაროვ რუჩეი"- ს სახელმწიფო რეზიდენციაში შედგა.

რუსეთის პრეზიდენტმა პალესტინის ლიდერს შესთავაზა იმ პრობლემების განხილვა, რომლებშიც რუსეთს შეუძლია, პალესტინას დახმარება გაუწიოს: **"თქვენ იცით, რომ რუსეთი ყოველთვის იყო პალესტინელი ხალხის საიმედო მეგობარი,** - განაცხადა პუტინმა, - **მე მოხარული ვარ, რომ მოგვეცა ისეთ აქტუალური პრობლემებზე საუბრის საშუალება, რომლებიც თქვენს წინაშე დგას და რომელთა მოგვარებაშიც ჩვენ შეგვიძლია დაგეხმაროთ**".

გაგრძელება A3 გვერდზე



*პალესტინელებს დიდი იმედი აქვთ, რომ სოჭის შეხვედრა ავტონომიის პრობლემების მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.*

# "პირველი საბროკერო"

### უძრავი ქონების პირველი ქართული ბროკერი

**B**

*ბოლო წლებში ჩვენი დედაქალაქი შეიცვალა. ცვლილებები დღესაც გრძელდება - შენდება სასტუმროები, ოფისები, საცხოვრებელი სახლები. ერთი სიტყვით, იქმნება ახალი გარემო, რომელშიც უნდა ვიცხოვროთ, დავისვენოთ და დადებითი ენერგიითა თუ ემოციებით დავიმუხტოთ. შესაბამისად, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ყველაზე მსხვილ კაპიტალს უძრავ ქონებაში აბანდებს. ამ თვალსაზრისით სახლის, აგარაკის თუ საოფისე ფართის შეძენა, შესაძლებელია, ცხოვრების ყველაზე მსხვილი ფინანსური გარიგება აღმოჩნდეს.*



# მესამე ზედმეტია

### ქართველები და აფხაზები, რუსების გარეშე, შეთანხმებას ახერხებენ

*უახლოეს პერიოდში საქართველოს ხელისუფლების ყურადღება, როგორც ჩანს, მთლიანად აფხაზეთის საკითხზე იქნება კონცენტრირებული. მით უმეტეს, გაჩნდა იმის ნიშნები, რომ თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე გაყინულ მდგომარეობაში არსებულმა კონფლიქტმა თანდათან დაიწყოს "ლღობა".*

გიორგი ასანიშვილი

აფხაზური კვანძის გასახსნელად ხელისუფლების სხვადასხვა შტოები პარალელურ რეჟიმში მუშაობენ: საქართველოს მთავრობის წევრებმა, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, რომლის სხდომაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აღარ ჩატარებულა, გუშინ, სოხუმის დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, კონფლიქტის დარეგულირების ფართომასშტაბიანი გეგმის ცალკეული დეტალები განიხილეს. სულ მალე კი, პარლამენტში იწყება პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩევლის ირაკლი ალასანიას მიერ საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი ანგარიშის განხილვა, რომელიც აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობასა და კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ქმედებებს შეეხება. ეს დოკუმენტი, ალასანიასთან ერთად, სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას აპარატმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ეროვნული უშიშროების საბჭომ მოამზადა.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომას ირაკლი ალასანიამ შესთავაზა, რომ დახურული ანგარიშის მოსმენა და განხილვა 22-25 მაისს "საქართველოს მეგობართა ჯგუფთან" შეხვედრის შემდეგ მოეწყოს. **"ამ შეხვედრაზე კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის შეცვლის საკითხს დავაყენებთ,"** - რადიკალური ცვლილებებისთვის ამზადებს პარლამენტარებს პრეზიდენტ სააკაშვილის მრჩეველი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მთავარსარდლის კვირეული

### საქართველოში კიდევ ერთი სამხედრო ბაზა აშენდება

მაია მეცხვარიშვილი

სენაკში ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო ბაზის პრეზენტაციამ ერთი თვის წინ პრეზიდენტის გარეშე ჩაიარა, რადგან მაშინ მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა. სამაგიეროდ, საზეიმო გახსნიდან ერთი თვის შემდეგ, პრეზიდენტი სენაკის სამხედრო ქალაქს ოთხი დღით ესტუმრა.

**"მე მგონი, ჩემი ოჯახის წევრები ცოტათი ნერვიულობენ, რადგან ოთხი დღეა აქა ვარ და წასვლა აღარ მინდა. ამ ხნის მანძილზე ჩვენ ჯარისკაცებთან ერთად დავრბივართ, საღამოობით ვთამაშობთ ფეხბურთს, ვაკვირდებით მათ ვარჯიშებს და მინდა გითხრათ, რომ აღფრთოვანებული ვარ, რადგან მე დავრწმუნდი, რომ საქართველოს სარდლობა და ჯარი არის ძალიან საიმედო,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

სენაკის დატოვებამდე მიხეილ სააკაშვილმა სამხედრო ბაზაში "მცირე ექსკურსია" გამართა 70 ბავშვისთვის. გალიდან ჩამოყვანილი 25 და სენაკში მცხოვრები 45 ბავშვი ნანახით აღფრთოვანებული დარჩა. ყველაზე შთამბეჭდავი, როგორც ბავშვებისთვის, ისე ჯარისკაცებისთვის, პრეზიდენტთან ერთად სადილობა აღმოჩნდა. სენაკელმა მზარეულებმა თავი ელარჯით გამოიჩინეს.

**"მართალია, ეს ჯარისკაცები აქ სულ ელარჯს არ ჭამენ, მაგრამ ყოველდღე აქვთ ძალიან კარგი კვება და პირობები,"** - თქვა პრეზიდენტმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# 27 წლიანი მტრობის დასასრული

### ამერიკა და ლიბია დიპლომატიურ ურთიერთობებს აღადგენენ

ორშაბათს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ საერთაშორისო ასპარეზზე, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს, კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ბანაკს კიდევ ერთი წევრი შეემატოს.

**"მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ამერიკა ლიბიასთან სრულყოფილ დიპლომატიურ კავშირს აღადგენს. მალე ტრიპოლში ჩვენ საელჩოსაც გავხსნით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიბია საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოთა სიას 45 დღეში გამოაკლდება. ავადსახსენებელი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ლიბიასთან ჩვენი თანამშრომლობა წარმატებულად განვითარდა"**, - განაცხადა კონდოლიზა რაისმა.

აშშ-ს გადაწყვეტილება, ლიბია ამოაგდოს "ურჩ სახელმწიფოთა" სიიდან და აღადგინოს მასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები, მოამარ კადაფისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ლიბიის პრეზიდენტი, რომელიც ხელისუფლებაში 1969 წელს სამხედრო გადატრიალებით მოვიდა, ექსცენტრული გამოსვლების გამო ათწლეულების მანძილზე რჩებოდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის ოდიოზურ პიროვნებად. ახლა კი, როგორც თავად კადაფი აცხადებს - მას აღარ სურს მისი ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსგან განკვეთილი იყოს.

გადაწყვეტილება, რომელიც 45 დღე-ღამის განმავლობაში უნდა შესრულდეს, იმ სამწლიანი ძალისხმევის ბედნიერი დასასრულია, როდესაც ლიბიის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა შეეჩერებინა ბირთვულ იარაღზე მუშაობა. ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდელ რაჰმან შალგამის თქმით, ეს ისტორიაში ახალი ფურცლის გადაშლის ტოლფასია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მთავარსარდლის კვირეული

პირველი გვერდიდან

**"ერთმა ჩემმა ამხანაგმა პრეზიდენტს დაუსვა კითხვა: როდის დავბრუნდებით აფხაზეთშიო და პრეზიდენტმა უთხრა: თქვენ წადით და მე მოგყვებითო. აი, ჩვენ მოვედით და დაე, უკან გამოგვყვეს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა გალელმა ბავშვმა და იგივე პრეზიდენტსაც უთხრა. გალელი ბავშვების მოწოდებას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გამოეხმაურა: **"აფხაზეთს ვერც ამ ბავშვებით დავიბრუნებთ, ვერც ოქრუაშვილი დაიბრუნებს და ვერც ვერავინ ცალკე აღებული. ეს მთელი საქართველოს საქმეა და ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ".** აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემების კონტექსტში ოქრუაშვილმა რუსეთიც ახსენა: **"ოსებისგან და რუსებისგან დღეს რამდენჯერმე მოხდა საქართველოს საჰაერო საზღვრის დარღვევა - მათი ვერტმფრენები ჯავის მიმართულებით მოძრაობდნენ და ამაზე რუსეთს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია,"** - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა და ის, თუ რა რეაგირება ექნება ამაზე საქართველოს, საიდუმლოდ შეინახა.

საქართველოს მთავრობის მორიგი ჩანაფიქრი, ცხადია, პრეზიდენტმა გაახმოვანა: **"დასავლეთ საქართველოში სენაკის ბაზა იქნება, რომელიც გაამაგრებს აქაურობას და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მეორე ასეთი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში ავაშენოთ, ტრასის პირას, იმისათვის, რომ ჩვენმა ადამიანებმა დაინახონ და იამაყონ, და იმისათვის, რომ მტერს საქართველოს ხელყოფის სურვილი არ გაუჩნდეს."**

თავდაცვის მინისტრის თქმით, ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი კიდევ ერთი ახალი სამხედრო ბაზის მშენებლობა კონფლიქტის ზონაში, კერძოდ კი, ცხინვალის რეგიონის სიახლოვეს არ შედგება, რადგან ამას საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები გამორიცხავს. სენაკის სამხედრო ბაზიდან პრეზიდენტმა ოსიაურის რეზერვისტთა ბატალიონში გადაინაცვლა და ამით ქართულ ჯარში მთავარსარდლის კვირეული დასრულდა.

# წყალდიდობამ კახეთი სერიოზულად დააზარალა

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, გადაუღებელმა წვიმებმა კახეთის რეგიონი მნიშვნელოვნად დააზარალა. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ლაგოდეხში, სადაც მდინარე კაბალმა 15 სოფელი დატბორა და ასობით ჰექტარი სასოფლო სამეურნეო ნაკვეთი გაანადგურა. დაიხოცა შინაური ფრინველები და საქონელი.

ადიდებულმა ლაგოდეხისხევმა კი ბათუმელი მერაბ ნაკაშიძის სიცოცხლე შეიწირა. იგი სასაზღვრო სექტორ "რაჭის უბანში" მსახურობდა და შემოვლას ახორციელებდა, როდესაც ადიდებულმა ლაგოდეხის ხევმა ხიდზე გადასვლის დროს გაიტაცა, გვამი კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გარიყა.



ზვიად რუაძის ფოტო

*ბაისუბანი-კაბალის ანგრეული ხიდი.*

ლაგოდეხში შექმნილი მდგომარეობის უკეთ გაცნობის მიზნით 14 მაისს რაიონში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ჩავიდა, რომელმაც მდინარე ლაგოდეხისხევის სათავო ნაგებობა და ბაისუბანი-კაბალის ჩანგრეული ხიდი მოინახულა. შემდეგ კი დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა. **"პირველ რიგში, მოხდება ლაგოდეხის დაცვა და ჩატარდება გასამაგრებელი სამუშაოები. შემდეგ კი შევაფასებთ, თუ რა ზიანი მიადგა რაიონს,"** - ასე აიმედებდა პრემიერ-მინისტრი სოფელ ჰერეთისკარის მცხოვრებლებს, რომლებსაც მდინარე კაბალი სახლებს ყოველწლიურად უტბორავთ. თუმცა, ნოღაიდელის დაპირების მოსახლეობას ნაკლებად სჯერა. გუჯა დუმბაძე, რომელიც 15 წელია, რაც ამ სოფელში ცხოვრობს, ამბობს, რომ მთავრობა მათი პრობლემებით აქამდე არ დაინტერესებულა **"ამას წინათ რომ ადიდდა მდინარე კაბალი და სახლები დაგვეტბორა, არავის მოუქცევია ჩვენთვის ყურადღება. აუცილებელია ადამიანი მოკვდეს, და შემდეგ მიხედო მას?"** - კითხულობს დუმბაძე.

ამ დროისთვის ლაგოდეხში მობილიზაციაა გამოცხადებული. შს სამინისტრომ მოსახლეობის დასახმარებლად სპეციალური ქვედანაყოფები და სამაშველო ჯგუფები გადაისროლა. როგორც ლაგოდეხში ჩასულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, - **"ჩვენი მხრიდან ყველანაირი ძალებია მობილიზებული, და შესაბამისად, ყველას დავეხმარებით. მე კი აქ მანამდე დავრჩები, ვიდრე მდგომარეობა სტაბილური არ იქნება."**

ლაგოდეხის მსგავსად, სტიქიამ ზარალი ყვარლის რაიონსაც მიაყენა. სოფელ გავაზში ადიდებულმა მდინარე შოროხევმა სოფლის ნაწილი დატბორა.

გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხევების გასასუფთავებლად და ჯებირების გასამაგრებლად 100 ათასი ლარი გამოიყო, მაგრამ თუ რაში გაიხარჯა ეს თანხა, როგორც თელავში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციის "ბუნების მოყვარულთა საზოგადოების" ხელმძღვანელი კარლო ამირგულაშვილი აცხადებს, გაურკვეველია და საეჭვოა. **"სამწუხაროა, მაგრამ დღემდე არ მიგვიღია პასუხი კახეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან, საიდანაც ვითხოვთ მონაცემებს ნაპირსამაგრი სამუშაოების და მიმდინარე მოვლენების შესახებ. ვფიქრობ, არასაკმარისი პრევენციული ღონისძიებებია გატარებული. ეს ჭიაურის (ლაგოდეხის რაიონი) დატბორილ ფართობებს და მდინარე დურუჯის მდგომარეობასაც ეხება,"** - ამბობს ამირგულაშვილი, რომლის ბრალდებებსაც კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში კატეგორიულად უარყოფენ.

რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის თემურ ლამაზოშვილის განმარტებით, თანხები, რომლებიც გარკვეული სამუშაოებისთვის იყო გამოყოფილი, რაიონულ ბიუჯეტებში გადაირიცხა. **"თუმცა, ის თანხები სრულიად ათვისებულია. გასუფთავებული და გამაგრებულია პანკისში მდინარე ალაზნის და შახვეტილას ნაპირები, ასევე, სიღნაღში - ბოდბისხევის კალაპოტი. გაიწმინდა სოფელ ართანაში მდინარე დიდხევი. ასე რომ, ბრალდებები, ჩემი აზრით, უსაფუძვლოა,"** - ამბობს ლამაზოშვილი.

მდინარე კაბალის ნაპირგასამაგრებელი სამუშაოების და ჭიაურის ტყის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებისთვის გარემოს დაცვის სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა, ამ სამუშაოებისათვის 450 ათასი ლარი გამოიყო. თუმცა, დღემდე გაურკვეველია, რომელი კომპანია განახორციელებს ამ ტერიტორიის გასუფთავებას. როგორც რაიონის ჯანდაცვის სამსახურში ახადებენ, თუ დაჭაობებული ტყე, რომელიც წლებია მალარიის კერად არის ქცეული, არ გასუფთავდა, პრობლემა უკვე მთელ რეგიონს შეექმნება.

შექმნილი საგანგაშო ვითარების გათვალისწინებით, მთავრობამ მდინარეების დურუჯის და კაბალის გაწმენდითი და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება საგზაო დეპარტამენტს დაავალა. კაბალზე სამუშაოების ჩასატარებლად 187 ათას 800 ლარია გამოყოფილი. თუმცა, საგზაო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ პრობლემა არა მდინარიდან გადმოსულმა წყალმა შექმნა, არამედ ატმოსფერულმა ნალექებმა და დატბორვა მხოლოდ ძლიერმა წვიმებმა გამოიწვია.

სპეციალური კომისიები რეგიონებისათვის ზარალს ითვლიან. წინასწარი მონაცემებით, კახეთმა ათ მილიონ ლარზე მეტი იზარალა.

# საქართველოს პრეზიდენტი ოსიაურში

სენაკის სამხედრო ბაზის დათვალიერების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ოსიაურში ჩავიდა და რეზერვისტთა მე-19 ბატალიონის წვრთნების დასრულების ცერემონიას დაესწრო. მე-19 ბატალიონში 350 რეზერვისტი სამი კვირის განმავლობაში გადიოდა მომზადებას.

ბატალიონი, ძირითადად, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, თუმცა მის შემადგენლობაში სტუდენტებიც არიან. რეზერვისტებმა საქართველოს პრეზიდენტს და თავდაცვის მინისტრს ერთგვარი ოპერაცია წარუდგინეს, რომელიც მიზნად ისახავდა კონტროლირებად ტერიტორიაზე შემოსული დესანტისა და დივერსიული ჯგუფების განადგურებას.

ეს პირობითი ოპერაცია წარმატებით დასრულდა. საქართველოს პრეზიდენტმა რეზერვისტებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ისინი საქართველოს ყველაზე საამაყო მოქალაქეები არიან. მისივე თქმით, საქართველო მშვიდობიანი ქვეყანაა, თუმცა არსებობს ბევრი არაკეთილმოსურნე და აქედან გამომდინარე, საქართველო ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს.

პრეზიდენტის განცხადებით, რეზერვისტთა ბატალიონები ბევრად უკეთესადაა აღჭურვილი, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ჯარი, სადაც ჯარისკაცები ორწლიან მომზადებას გადიოდნენ. საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს ბევრი მიბაძავს და რეზერვისტთა რიგებში ჩაეწერება.

***ინტერპრესნიუსი***

# თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 98.0

*ახალი მედია პროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ეკა ხოფერიას, სტუმრები არიან ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორი დავით ქოჩიაშვილი.*

**ეკა ხოფერია :** საინტერესო იქნებოდა, რომ ჩატარებულიყო გამოკითხვა, ენდობით თუ არა სამედიცინო სისტემას? დღევანდელი გადაცემის თემა იქნება, ბოლო პერიოდში საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხი, სამედიცინო შეცდომები. მოდით, საუბარი კონკრეტული ფაქტით, ნანა ყოლბაიას ინციდენტით დავიწყოთ. ვფიქრობ, მაყურებელს არ ჭირდება ამ ფაქტის შეხსენება, მაგრამ მაინც შევახსენებ. ნანა ყოლბაიამ ბავშვი საკეისრო კვეთით გააჩინა და მისი გარდაცვალების მიზეზად, ამ ეტაპზე, არაოფიციალური ვერსიით, ანესთეზიოლოგის დაუდევრობა დასახელდა. ოჯახის წევრები კონკრეტულ კითხვებს სვამენ და ანესთეზიოლოგთან ერთად, მეანგინეკოლოგის დასჯასაც მოითხოვენ. მათივე თქმით, ნანა ყოლბაია აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო და მის სიკვდილში პასუხი უნდა აგოს შესაბამისმა პირებმა. ნანა ყოლბაია 5 მაისს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ წმინდა იაკიმესა და ანას სახელობის სამშობიაროში გარდაიცვალა. მაშ ასე, ბატონო ლადო, ველით თქვენგან ახალ ინფორმაციას..

**ლადო ჭიპაშვილი:** საერთოდ, უკეთესი იქნებოდა ზოგადად დაგვეწყო საუბარი ექიმების შეცდომებთან დაკავშირებით, მაგრამ ვინაიდან კონკრეტული შეკითხვა იქნა დასმული, უფლება არ მაქვს, ამ კონკრეტულ შეკითხვაზე არ გიპასუხოთ. მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გახლავთ ეს სამშობიარო, სამედიცინო ხარისხზე პასუხისმგებელია ჯანდაცვის სამინისტრო. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხს პარასკევს კოლეგიის სხდომაზე განვიხილავთ. ბოლო დროს, ჩვენ, 57 ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი განვიხილეთ. მათგან თხუთმეტს სამუდამოდ ჩამოვართვით ექიმობა, ხოლო ცამეტის საქმე პროკურატურაში არის გადაგზავნილი.

**ე.ხ.** მოდით, სტატისტიკას მივუბრუნდეთ, ბოლო დროს იმატა სამედიცინო შეცდომებმა თუ გაშუქება არის უფრო ინტენსიური?

**ლ.ჭ.** მისასალმებელი ფაქტია, რომ პრესა, ტელევიზია და შესაბამისად,საზოგადოება ამ სფეროთი ძალიან დაინტერესდა. კარგი ეს იმით არის, რომ აფხიზლებს სამკურნალო დაწესებულებას და მაქსიმალურად პროფესიონალიზმისკენ უბიძგებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 15 ექიმს სამუდამოდ ჩამოერთვა ექიმობა, ხოლო 13-ის საქმეს პროკურატურა განიხილავს. მინდა გითხრათ, რომ კომუნისტების პერიოდის შემდეგ, საქართველოში ერთად აღებული ამდენი ექიმის დასჯა არ მომხდარა, თუმცა სტატისტიკის მიხედვით, ზოგადი ზრუნვა საავადმყოფოებში სერიოზულად გაუმჯობესებულია. შემცირებულია დედების სიკვდილიანობა. მაგალითად, 2003 წელს მშობიარობის დროს გარდაიცვალა 23 დედა, ხოლო 2005 წელს ორჯერ ნაკლები. ჩვენ არ გვაქვს დამშვიდების უფლება იმის გამო, რომ სიკვდილიანობა ორჯერ შეგვიმცირდა. უნდა შევეცადოთ, რომ საერთოდ არ გვქონდეს მსგავსი ფაქტები, თუმცა ამას გასაგები მიზეზების გამო მოწინავე ქვეყნებიც ვერ ახერხებენ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ უნდა მივუახლოვდეთ დაბალ მაჩვენებლებს, რომელიც აქვს ევროპის განვითარებულ ქვეყნებს. დაახლოებით 15 წელია არ მომხდარა რევოლუცია სამედიცინო სფეროში. ამ სფეროში სერიოზული ძვრები მხოლოდ ახალი ხელისუფლების დროს დაიწყო.

**ე.ხ.** ბატონო დავით, როგორია სტატისტიკა თქვენს მიერ კონტროლირებად საავადმყოფოში?

**დავით ქოჩიაშვილი:** მე აბსოლუტურად მინდა დავეთანხმო ბატონ ლადოს, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ვაკუუმი, რომელიც არსებობს საკანონმდებლო ბაზაში და პრაქტიკულად ექიმებს დაუცველს ხდის. ნებისმიერი ინციდენტის დროს ექიმები გმირობის ტოლფას საქმიანობას ჩადიან. დღეს ექიმი საქართველოში აბსოლუტურად დაუცველია. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რა თქმა უნდა, ჩვენც გავაკეთეთ სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, სიკვდილიანობა 2,6 მეათედით შემცირებულია.



შვილები ელისო, რუსიკო გაბუნიები, მაზლი ვახტანგ გაბუნია, სიძეები ზურაბ თვალჭრელიძე, ზურაბ გოგრიჭიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ ვლადიმერის ასული აბულაძე-გაბუნია**

**პანაშვიდები: 16 და 17 მაისს, დაკრძალვა 18 მაისს (ვაკის სასაფლაო).**
**ნუცუბიძის ქ. N48, I კორპუსი, II სადარბაზო**


**ფინანსთა სამინისტრო**

ლუდის აქციზური მარკების შესყიდვასთან დაკავშირებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა UAB "გარსუ პასაულის"-ი.

**ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისია**



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge


## მოკლედ

### ახალქალაქის საჯარისო კონტინგენტის პირველმა ეშელონმა საქართველო დატოვა

გუშინ ახალქალაქში დისლოცირებული რუსეთის საჯარისო კონტინგენტის სამხედრო ტექნიკითა და ცოცხალი ძალით ფორმირებულმა პირველმა ეშელონმა საქართველო დატოვა. სამხედრო ეშელონმა წალკის რკინიგზის სადგურიდან აზერბაიჯანის გავლით რუსეთისკენ აიღო გეზი.

წალკის სადგურში ეშელონის ფორმირება 14 მაისს დასრულდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, რომელმაც ახალქალაქისა და ბათუმის 62-ე და 12-ე სამხედრო ბაზები შეამოწმა, ახალქალაქის ბაზებიდან ტექნიკისა და პერსონალის პირველი პარტიის გასაყვან ვადად სწორედ 15 მაისი დაასახელა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ერაყში ბრიტანულ სამხედრო ბაზას ცეცხლი გაუხსნეს

ერაყში უცნობებმა დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბაზა დაცხრილეს, რის შედეგადაც ოთხი ინგლისელი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.

ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლის კაპიტან კელი გუდოლის ინფორმაციით, 30 დან 40-მდე ნაღმსატყორცნი ჭურვით აბუ-ნაჯის სამხედრო ბაზა დაიბომბა, რომელიც ბაღდადის სამხრეთით 365 კილომეტრში მდებარეობს.

ცნობისთვის, ერაყში დიდი ბრიტანეთის დაახლოებით 8 ათასი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. 2003 წლიდან დღემდე ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა ერაყში 111 სამხედრო დაკარგეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### 351 ათასი შიდსით დაავადებული რუსეთში

რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთის ფედერაციაში დღევანდელი მონაცემებით 351 ათასზე მეტი აივ-ინფექციით დაავადებული ადამიანია რეგისტრირებული.

"ამ ინფექციის განვითარების დინამიკა 1987 წლიდან დაიწყო. სწორედ ამ წელს რუსეთში შიდსით დაავადებული პირველი ადამიანი დაფიქსირდა. დღეს დაავადებულთა რაოდენობა 350 ათასს აჭარბებს", - განაცხადა ონიშენკომ. მისივე თქმით, ამ დაავადების გავრცელების ინტენსივობა ყოველ 1000 ადამიანზე 200 შემთხვევას უტოლდება. "ეს მაჩვენებელი ძალზე დიდია", - დასძინა ონიშჩენკომ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ინდონეზიაში ვულკანმა გაიღვიძა

გუშინ დილით ინდონეზიის კუნძულ იავაზე ვულკან "მერაპის" ამოფრქვევა დაიწყო. კრატერიდან დილით ორთქლი, შხამიანი აირი და სითბო ამოიფრქვა.

უშუალოდ ვულკანის სიახლოვეს მცხოვრები (25 ათასზე მეტი ადამიანი) მოსახლეობა გახიზნულია, მაგრამ 4,7 ათასი ადამიანი საშიშ ზონაში მაინც რჩება და საცხოვრებლის მიტოვებაზე უარს ამბობს.

ვულკანის ამოფრქვევის 10 კილომეტრის რადიუსში მინდვრები და სახლები ნაცრითაა დაფარული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ალხანოვი თუ კადიროვი?

ორ დღეში ჩეჩნეთში გამოქვეყნდება სოციალური გამოკითხვის შედეგები, რომლის მიზანი იყო გამოერკვია, თუ რომელი უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს: პრეზიდენტი ალი ალხანოვი თუ პრემიერ-მინისტრი რაზმან კადიროვი. როგორც გაირკვა, ამგვარი კვლევის ჩატარება კადიროვის მხარდამჭერთა ინიციატივით მოხდა. საყურადღებოა, რომ შემოდგომაზე კადიროვი მიიღებს უფლებას გახდეს ერთ-ერთი კანდიდატი ჩეჩნეთის პრეზიდენტის პოსტზე. **გაზეტა.რუ**

### სანქციები ბელარუსის წინააღმდეგ

ევროკავშირის ხელმძღვანელობა მზად არის, მიიღოს ეკონომიკური სანქციები ბელარუსის ხელისუფლების წინააღმდეგ. გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს დაახლოებით 31 ბელარუსი ჩინოვნიკის საბანკო ანგარიშების გაყინვას და კერძო საკუთრებაში არსებული მსხვილი ობიექტების ჩამორთმევას, მიღებული იქნება უმოკლეს ხანში. როგორც ცნობილი გახდა, ალექსანდრე ლუკაშენკოსა და მისი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების მიღება ევროკავშირმა 10 აპრილს გადაწყვიტა მაშინ, როცა ბელარუსის 31 ოფიციალური წარმომადგენელი "პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადა ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში. "შავ სიაში" პირველი ადგილი ბელარუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს უკავია, ხოლო მას მოჰყვება პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაური გენადი ნევიგლასი, კგბ-ს წარმომადგენელი სტეპან სუხორენკო, გენერალური პროკურორი პიოტრ მიკლაშევიკი, პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერი ვლადიმირ კონოპლევი, მინისტრები, დეპუტატები და სხადასხვა რეგიონების ხელმძღვანელი პირები. **24 საათი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# დიალოგი აღდგა

პირველი გვერდიდან

თუ გავითვალისწინებთ გუშინ გაკეთებულ განცხადებებს, ქართულ-აფხაზური დიალოგის აღდგენის პირველი მცდელობით ყველა მხარე კმაყოფილია.

ოთხსაათიან სხდომაზე აფხაზურ დელეგაციას თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ხელმძღვანელობდა, ქართულს - სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა. საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების - აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის ელჩებმა და საქართველოში გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მისიის ხელმძღვანელმა ნავიდ ჰუსეინმა.

დიალოგი აღდგა - ეს არის მთავარი შედეგი, რითაც დასრულდა გუშინ ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა.

სხდომის მთავარ მოვლენად სერგეი ბაგაფშის ინიციატივა იქცა, რომელსაც აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო გეგმად იცნობენ და რომელსაც ხმამაღალი სახელწოდება - "მომავლის გასაღები" ჰქვია.

აღნიშნულ გეგმას საქართველოში მხოლოდ მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იცნობენ. როგორც გოგა ხაინდრავა აცხადებს, **"ამ გეგმის რამდენიმე პუნქტის გარშემო დიალოგის დაწყება სავსებით შესაძლებელია... ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ არსებობს განწყობა და სურვილი, შეიქმნას, შემუშავდეს გეგმები, რომელიც კონფლიქტის ერთობლივად მოგვარების საშუალებას მოგვცემს. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე რაიმე სენსაციას არ ველით, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონმა შამბამ ჩამოგვიტანა დოკუმენტი თბილისში. ჩვენ ზედმიწევნით შევისწავლით ამ დოკუმენტს. თქვენ იცით, რომ ქართული მხარეც ამზადებს "საგზაო რუკას" (აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების)... მე არ მქონია შესაძლებლობა, შემესწავლა ბაგაფშის დოკუმენტი, მაგრამ მხოლოდ გადავხედე მას და შემიძლია ვთქვა, რომ არის საკითხები, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ურთიერთგაგების საფუძველი"**, - განაცხადა ხაინდრავამ.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე სერგეი შამბამ აღნიშნა, მან წინასწარ იცის, რომ ბევრ პუნქტს ამ გეგმიდან თბილისში გაგებით არ მოეკიდებიან. **"მაგრამ ვფიქრობთ, არსებობს საკითხები, რომელთა განხილვაც დღესვე შეიძლება დავიწყოთ და რომლებზეც შესაძლებელია ურთიერთგაგების მიღწევა. ჩვენ ასევე გვესმის, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა და საზოგადოება გაგებით ვერ მოეკიდება გეგმაში გახმოვანებულ ყველა საკითხს, მაგრამ მზად ვართ მათზე ვიმუშაოთ, ჩვენ გვესმის, რომ ეს გრძელვადიანი პროცესია. ჩვენ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ კონფრონტაციაში. ჩვენ უნდა გავკვალოთ გზა ურთიერთნდობისკენ. და ვფიქრობთ, რომ სამშვიდობო გეგმის ძირითადი ასპექტები ამგვარი მოძრაობის შესაძლებლობას იძლევა,"** - განაცხადა შამბამ.

ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ბოლოს 2001 წელს შეიკრიბა, 1997 წელს შეიქმნა. მისი მიზანი უსაფრთხოების საკითხების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების და ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე მუშაობა იყო. საბჭოს ფარგლებში ასევე შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი, რათა ამ სამივე მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას.

15 მაისს თბილისში გამართულ შეხვედრაზე მხარეები ამ სამუშაო ჯგუფების რეგულარულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. პირველი შეხვედრა მაისის ბოლოს, ან ივნისის დასაწყისში, სოხუმში გაიმართება. **"ჩვენ საკითხების ფართო სპექტრი განვიხილეთ და შევთანხმდით კონკრეტულ დღის წესრიგზე იმ სამუშაო ჯგუფებისთვის, რომლებიც საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში არსებობენ. ეს ფორმატი საშუალებას გვაძლევს, უფრო ხშირად და რეგულარულად შევხვდეთ და მოვაგვაროთ მიმდინარე საკითხები. რადგანაც პროცესი მიდის, წარმოიშვება ყოველდღიური საკითხები, რომელთაც სწრაფი რეაგირება და გადაწყვეტა სჭირდებათ,"** - განაცხადა ხაინდრავამ.



სერგეი შამბას თქმით, სოხუმი ქართველი დევნილების აფხაზეთში დაბრუნების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ აღნიშნული პროცესის ეტაპობრივად განხორციელებას მოითხოვს.

**"დევნილების ეტაპობრივი დაბრუნების შესახებ თანხმობა ჩვენ ჯერ კიდევ 1994 წელს განვაცხადეთ. მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პირველ ეტაპზე დევნილები გალის რაიონში უნდა დაბრუნდნენ. ეს საკითხი მოუგვარებელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ არა ჩვენი მიზეზით,"** - აღნიშნა შამბამ. მისი თქმით, საკოორდინაციო საბჭო სოხუმში დაგეგმილ შეხვედრაზე **"აუცილებლად განიხილავს დევნილთა დაბრუნების საკითხს".**

**"პრობლემების მოგვარებას დაღვრილი სისხლი აფერხებს,"** - აღნიშნა შამბამ ლტოლვილთა დაბრუნების ვადებზე საუბრისას. მისივე თქმით, **"დრო ყველაფრის მკურნალია და მომავალში, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დევნილთა დაბრუნების საკითხის გადაწყვეტის დროც დადგება."**

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი ორმხრივი შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე აცხადებს, რომ **"შთაგონებულია შეხვედრით, რომელმაც კონსტრუქციულად ჩაიარა"...**

# მესამე ზედმეტია

პირველი გვერდიდან

იმაზე, რომ რუსეთი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა, ირაკლი ალასანია მინიშნებებით საუბრობს.

**"საკოორდინაციო საბჭოს დღევანდელ სხდომაზე აფხაზურ მხარესთან შეთანხმდა ისეთი პუნქტები, რომლებსაც აქამდე რუსეთი ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, გადაწყდა, რომ საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ჩაერთვება ეუთო, რაც მოსკოვისთვის დღემდე მიუღებელია. ამდენად, ორმხრივ ფორმატში ქართული და აფხაზური მხარეების თანამშრომლობა მეტად მნიშვნელოვანია,"** - აცხადებს ირაკლი ალასანია. თუმცა, იგი იქვე სინანულით დასძენს, რომ სამშვიდობო პროცესისგან რუსეთის ჩამოცილება და კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ მისი აღიარება, ამ ეტაპზე, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

პრეზიდენტის მრჩეველი ადასტურებს, რომ სერგეი შამბასთან კონსულტაციების დროს, საუბარი დსთ-დან საქართველოს შესაძლო გასვლასაც შეეხო. **"აფხაზები უნდა შევამზადოთ იმისთვის, სამშვიდობო პროცესი ორმხრივ რეჟიმში გადავიდეს. ამ თემაზე მსჯელობისას, შამბას წამოსცდა, რომ რუსეთი ეძებს ფორმას, დსთ-დან საქართველოს გასვლის შემთხვევაში, როგორ შეინარჩუნოს კონფლიქტის ზონაში თავისი სამშვიდობო კონტინგენტის არსებობა,"** - აღნიშნავს ალასანია. ამასთან, იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ თუ საქართველო აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ს მანდატით მდგომი რუსი სამშვიდობოების მისიის შეწყვეტას მოითხოვს, მაშინ მოსკოვი გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატის შეწყვეტის საკითხს დააყენებს.

თავის მხრივ, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ დსთ-დან საქართველოს გასვლის "პერსპექტივამ" მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რომ აფხაზები დიალოგზე წამოვიდნენ და საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა განახლდა. მისივე თქმით, ქართული მხარე შეეცდება, აფხაზებისთვის შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა ისევე აიყვანოს საერთაშორისო რანგში, როგორც ეს სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში მოხდა.

**"დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, შევეცდებით, რომ საერთაშორისო ფორუმებზე რუსეთის პოზიცია გასაგებად იქნეს ჩამოყალიბებული და მოსკოვს არ მიეცეს საშუალება განაცხადოს, რომ არ იცოდა, რა დოკუმენტს მისცა ხმა,"** - ამბობს გივი თარგამაძე.

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტებს შორის პარალელს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ავლებს. **"შესაძლოა, სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო გეგმაზე ძალიან ვიყავით ფოკუსირებულნი და აფხაზეთის მიმართ ყურადღება ოდნავ მოვადუნეთ. ახლა აფხაზეთის კონფლიქტზეც ისეთივე საქმიანი განცხადებები უნდა გაკეთდეს, როგორც ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში,"** - მოითხოვს პარლამენტის სპიკერი...

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ირაკლი ალასანია და პარლამენტის ხელმძღვანელობა შეთანხმდა, რომ საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთის საკითხზე მსჯელობა მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში გაიმართება.

# კიდევ ერთი შეხვედრა ნატო-ს შტაბ-ბინაში

ბრიუსელში ნატო-ს შტაბ-ბინაში გუშინ 26+1 ფორმატში (ნატო + საქართველო) შეხვედრა გაიმართა, სადაც ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის საკითხები განიხილეს. საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ, როგორც თავდაცვის სამინისტროს (ხელმძღვანელი - თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მამუკა კუდავა), ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს (მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძის ხელმძღვანელობით) წარმომადგენლები.

შეხვედრაზე დადებითი შეფასება მიეცა საქართველოსა და რუსეთს შორის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ცალკეული სამხედრო ობიექტების გაყვანასთან დაკავშირებით მიმდინარე 31 მარტს ხელმოწერილ შეთანხმებას და მისი განხორციელების დაწყებას.

ამასთანავე, საქართველოს დელეგაციამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ჩვენი ქვეყნის პოზიცია, რომ გუდაუთის ბაზიდან რუსეთის სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და პერსონალის სრულად გაყვანამდე სტამბოლის ერთობლივი განცხადებით აღებული შესაბამისი ვალდებულება (სტამბოლის 1999 წლის ეუთო-ს სამიტი) არ ჩაითვლება შესრულებულად.

*24 საათი*

# პალესტინელი ხალხის "მეგობარი" პუტინი

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება პალესტინის ავტონომიას, ის რუსეთისაგან დიდ დახმარებას ელოდება და სოჭის შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: **"ვიმედოვნებთ, რომ ისრაელის ახალი ხელისუფლება ჩვენთან მოლაპარაკებებზე წამოვა, რადგანაც ჩვენ მისი პარტნიორები ვართ და გვწამს ამ დაძაბულობის მშვიდობიანი გზით მოგვარების,** - განაცხადა მაჰმუდ აბასმა, - **ჩვენ აქ იმისათვის ვართ, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი იდეები დაძაბულობის მოგვარების პოლიტიკური პროცესის დაწყების შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისრაელის ახალი ხელისუფლების ფორმირების შემდგომ,"** - დასძინა მან.

შეხვედრის ერთ-ერთ ძირითად თემას პალესტინაში რუსეთის ინვესტიციები წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც არჩევნებში გამარჯვების შედეგად პალესტინის სათავეში "ჰამას"-ის დაჯგუფება მოვიდა, აშშ-დან და ევროპიდან ავტონომიის დაფინანსება შეწყდა, თუმცა რუსეთი დასავლეთის ამგვარ მიდგომას არ ამართლებს და მიიჩნევს, რომ პალესტინის იზოლაცია ამგვარი გზით სწორი არ არის. თავის მხრივ, მაჰმუდ აბასი იმედოვნებს, რომ რუსეთის ამგვარი დამოკიდებულება პალესტინისადმი გავლენას მოახდენს სხვა ქვეყნებზეც და შესაძლოა აშშ-მ, გაერო-მ და ევროკავშირმა გააგრძელონ პალეტინის დაფინანსება, თუმცა, დასავლეთი ჰამასს ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს და უარს ამბობს პალესტინის დაფინანსებაზე.

გუშინ ევროგაერთიანების მინისტრთა საბჭო შეიკრიბა. შეხვედრაზე აღნიშნული პრობლემის მოგვარების შესაძლო გზებზე იმსჯელეს. ევროკავშირის ქვეყნების მინისტრები ჰამასის გვერდის ავლით პალესტინის დაფინანსებაზეც კი ლაპარაკობენ, რაც ალბათ არარეალურია: **"სიტუაცია ძალიან ცუდია, რაც უფრო მალე მოვაგვარებთ ყველაფერს, მით უკეთესი,"** - განაცხადა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავიერ სოლანამ.

ვაშინგტონისა და ბრიუსელისაგან განსხვავებით, მოსკოვი არ გმობს ჰამასს და არ მიიჩნევს ტერორისტულ ორგანიზაციად. ორი თვის წინ პუტინმა ჰამასის ლიდერები მოსკოვშიც კი დაპატიჟა გარკვეულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად. გასულ კვირას რუსეთმა 10 მილიონი ამერიკული დოლარი გადარიცხა საგანგებო სიტუაციებისათვის პალესტინაში, რომელიც, როგორც ცნობილია, მწვავე ფინანსური კრიზისის წინაშე დგას. 165, 000 მუშახელზე მეტს არ მიუღია ანაზღაურება ორი თვის განმავლობაში. მაჰმუდ აბასის მხარდამჭერები დაფინანსების გაყინვას ეკონომიკურ ბლოკადად მიიჩნევენ. პალესტინის სახელმწიფოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, საებ ერეკატმა განაცხადა: "ეკონომიკური ბლოკადა ჩვენ ზიანს გვაყენებს და მას ადამიანები კატასტროფისაკენ მიჰყავს. რუსეთი პალესტინას 10 მილიონი ამერიკული დოლარით დაეხმარა, სამედიცინო დახმარებისათვის, სკოლებისა და ფრინველის გრიპის გავრცელების წინააღმდეგ ზომების მისაღებად გამოვიყენეთ, და ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ," - განაცხადა მისტერ ერეკატმა.

ჰამასის წარმომადგენელმა, ალი ბარაკატმა დიდი მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ პუტინს პალესტინელი ხალხისადმი გაწეული დახმარების გამო და აღნიშნა, რომ მას დიდი იმედი აქვს, რომ სოჭის შეხვედრა პალესტინის პრობლემების მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

რუსეთისა და პალესტინის ლიდერთა შეხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ქვეყნებს შორის კეთილგანწყობას. პალესტინის მოლაპარაკებები ისრაელთან ჩიხში შევიდა, სწორედ ამ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას მაჰმუდ აბასი და დახმარებას ითხოვს რუსეთისაგან. რუსეთის მხარე არ გამორიცხავს, რომ შემდგომში დადგება საკითხი პალესტინისათვის ბუნებრივი აირით დახმარების შესახებ და ასევე დასავლეთისაკენ გზის გახსნის თაობაზე.

პალესტინის ხელისუფლება თავიდანვე აღნიშნავდა, რომ მაჰმუდ აბასი რუსეთში მიდის მატერიალური დახმარების მისაღებად. რუსეთში პალესტინის ელჩის ბაკერ აბდელა მონემის განცხადებით, ავტონომიაში მიიჩნევენ, რომ სოჭის შეხვედრის შემდეგ რუსეთი პალესტინას დახმარებას გაუზრდის. ასეთი თავდაჯერებულობის მიზეზი, შესაძლოა, გასული კვირის ბოლოს მომხდარი მოვლენები იყოს.

საქმე ისაა, რომ ავტონომიაში შეიმუშავეს ახალი ინიციატივა ისრაელთან კონფლიქტის დარეგულირების საკითხთან დაკავშირებით. მისი ავტორია ფათჰის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მარვან ბარგუტი, რომელიც ხუთ სამუდამო პატიმრობას იხდის ისრაელის ციხეში. აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ პალესტინელები მზად არიან შექმნან თავისი სახელმწიფო, თუ ისინი მოახერხებენ ისრაელის მიერ 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას და ახალი პალესტინური სახელმწიფოს დედაქალაქი გახდება იერუსალიმი.

საყურადღებოა, რომ ცოტა ხნის წინ ანალოგიური იდეით გამოვიდა რუსეთი. პალესტინელთა გათვლებით, ასეთი დამთხვევა რუსეთის პრეზიდენტს ძალიან მოეწონებოდა. მით უმეტეს, თუ მაჰმუდ აბასი მოახერხებს ბარგუტის განცხადება მოსკოვის წინადადებაზე მსჯელობის ნაყოფად წარმოაჩინოს.

რუსეთში არ არიან დარწმუნებულნი, რომ აბასი დარჩა რუსეთის ძველ მეგობრად. მოსკოვში შიშობენ, რომ ავტონომიის ლიდერი უკვე მოელაპარაკა აშშ-ს და ახლა კი განზრახ ცდილობს ფათჰსა და ჰამასს შორის ურთიერთობების გამწვავებას.

თუ შექმნილი სიტუაციით ვიმსჯელებთ, ჰამასი ვერ მოახერხებს ავტონომიის შიდა პრობლემების დაძლევას და კრიზისი გამოიწვევს რადიკალების ხელისუფლების დაცემას. თუმცა ასეთი პერსპექტივა მოსკოვს არცთუ ისე ხიბლავს, რადგან ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი დაკარგავს "ჰამასის კარტს", რომლითაც ასეთი წარმატებულად დაიწყო თამაში. მაჰმუდ აბასი კატასტროფას უწოდებს 1948 წელს ისრაელთან ომში პალესტინის ტერიტორიების დაკარგვას და ისრაელს მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდებს: "ჩვენ გვსურს უკეთესი მომავალი ჩვენი და თქვენი შვილებისათვის... მოდით და ეს წელი მშვიდობის წლად ვაქციოთ,"- განაცხადა მან.

ოფიციალური ვაშინგტონი კი ჰამასისგან დათმობებზე წასვლას მოითხოვს და აცხადებს, რომ ჰამასმა უნდა დაივიწყოს ძალადობა და ისრაელის სახელმწიფო აღიაროს.

# საჰაერო სივრცის დარღვევა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ დილით უცნობმა საფრენმა აპარატმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია. აღნიშნული ცნობა თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა განთავსებული. შემთხვევა რადიოლოკაციური სისტემის საშუალებით 08:45 საათზე დაფიქსირდა. უცნობმა საფრენმა აპარატმა თვითგამოცხადებული სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ცხინვალი-ჯავის მიმართულებით ფრენა ორჯერ განახორციელა. მოძრაობის სიჩქარიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ის სამხედრო შვეულმფრენი იყო.

მომხდარი ფაქტი საქართველოს საჰაერო სივრცის უხეში დარღვევაა, - აცვხადებს თავდაცვის სამინისტრო და იქვე დასძენს, რომ საქართველოს საჰაერო სივრცეში ნებისმიერი გადაადგილება შეთანხმებული უნდა იყოს სამოქალაქო ავიაციის მართვის ორგანოებთან, ცენტრალურ სადისპეჩერო სამსახურთან და საქაერონავიგაციასთან. ასევე წინასწარ უნდა კეთდებოდეს ოფიციალური განაცხადი, რასაც ადგილი არ ჰქონია. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ რეგიონზე გადის ერთ-ერთი საერთაშორისო საჰაერო ტრასა და შეუთანხმებელ ფრენას შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვეს.

საგულისხმოა, რომ დარღვევა მოხდა იმ რეგიონში, სადაც რუსი სამშვიდობოების არაერთი საგუშაგოა განლაგებული. ამ კანონდარღვევას რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის მხრიდან ჯერჯერობით რეაგირება არ მოჰყოლია.

*24 საათი*

# 27 წლიანი მტრობის დასასრული

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ დიდი ხანია, ველოდით აშშ-სთან ურთიერთობების გაუმჯობესებას და ბედნიერი ვარ, რომ ამ დღეს მოვესწარი"**, - აღნიშნა ლიბიის ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალი აუჯალიმ.

ლიბიის ხელისუფლება ეჭვმიტანილი იყო 1988 წელს შოტლანდიის საჰაერო სივრცეში ავიაკომპანია "პანამ"-ის კუთვნილი თვითმფრინავის აფეთქებაში. ავიაკატასტროფას 270 ადამიანი ემსხვერპლა, რომელთა უმრავლესობაც აშშ-ს მოქალაქე იყო. თუმცა, ურთიერთობები ორ სახელმწიფოს გაცილებით ადრე დაეძაბა - ოფიციალურ ვაშინგტონსა და ტრიპოლს შორის დიპლომატიური კავშირი 1980 წელს "გაიყინა". 1979 წელს ლიბიაში მოქმედ აშშ-ს საელჩოს ხანძარი გაუჩნდა, ერთი წლის შემდეგ კი ოფიციალური ტრიპოლი ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების სიის სათავეში მოექცა და ვაშინგტონმაც დახურა საელჩო. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს არაერთხელ განუცხადებია, რომ ლიბია საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთი მსხვილი სპონსორია.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზებას ხელი ლიბიის სამშვიდობო ინიციატივამ შეუწყო. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-მ ლიბიასთან მოლაპარაკება დაიწყო, რათა ამ უკანასკნელს უარი ეთქვა მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავებაზე, რაც 2003 წელს მიღწეულ იქნა კიდეც. ერთი წლის შემდეგ კი აშშ-მ ნავთობმწარმოებელ ქვეყანას სავაჭრო ემბარგოც მოუხსნა, რომელიც მის წინააღმდეგ 1986 წლიდან მოქმედებდა. თუმცა, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მოამარ კადაფისთან, რომელსაც რონალდ რეიგანმა "ცოფიანი ძაღლი" უწოდა, "გარიგების პოლიტიკა" ამერიკამ 1999 წელს დაიწყო, როდესაც ლიბიელმა სამართალდამცველებმა ავიაკატასტროფაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს.



*ამერიკული "შეწყალება" მოამარ კადაფისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა.*

აშშ-სა და ლიბიის თანამშრომლობის დაწყებას უკვე დიდი ხანია ლობირებენ ამერიკული ნავთობკომპანიები. მათთვის ერთ-ერთ მსხვილ ნავთობმწარმოებელ ქვეყანასთან კავშირების აღდგენა და განმტკიცება ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია, მით უფრო, თუ ერაყთან და ვენესუელასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ.

რაც შეეხება თავად ლიბიას, მისთვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით ქვეყანა შეძლებს ეკონომიკის გაძლიერებას.

*24 საათი*

# ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი ლავროვი ხდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი 18-19 მაისს სტრასბურგში მიემგზავრება. იგი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 116-ე სესიას დაესწრება.

სხდომაზე რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, მიხაი-რაზვან უნგურიანუ, კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს თავის რუს კოლეგას, სერგეი ლავროვს, გადასცემს. ლავროვი აღნიშნულ თანამდებობაზე ნახევარი წლის განმავლობაში დარჩება.

სესიის დასასრულს სერგეი ლავროვი ევროსაბჭოს წევრებს თავმჯდომარედ ყოფნისას თავისი ქვეყნის სამოქმედო პრიორიტეტებს წარუდგენს.

ორდღიან სხდომაზე ორი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება, მათ შორის, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემების კონსოლიდაცია, ასევე ევროსაბჭოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ტერი დევისის მოწვევით, მინისტრები არაოფიციალურ შეხვედრას ჩაატარებენ, რომელშიც მონაწილეობას გაეროს სპეციალური წარმომადგენელი კოსოვოს სტატუსის განსაზღვრაში, მარტი აჰტისაარი, მიიღებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამა

არასამთავრობო სექტორმა წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამა შეიმუშავა. სასტუმრო "შერატონ მეტეხი-პალასში" პროგრამის - "წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამა საქართველოში" - პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტი ევროკავშირისა და გაერო-ს წამების მსხვერპლთა დახმარების მოხალისეთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. როგორც ცენტრ "ემპათეას" ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი აცხადებს, პროექტი შეიცავს ფსიქოსამედიცინო მკურნალობის, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის, იურიდიული კონსულტაციების და სასამართლოებზე დაზარალებულთა დახმარების საკითხებს. პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა.

როგორც არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები განმარტავენ, ადამიანების მიმართ არაჰუმანური მოპყრობა ყველა სახელმწიფოს პრობლემაა. ეს თემა საქართველოში და პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანაში აქტუალურია. წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრები შექმნილია მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში და, მათ შორის - საქართველოშიც.

**"ვინაიდან, საქართველოში კვლავ გრძელდება ადამიანების მიმართ არაჰუმანური მოპყრობა, ამიტომ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავება აქტუალური გახდა"**, - აცხადებს ცენტრის "ემპათიას" ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი. მისივე თქმით, გასულ წელს ცენტრ "ემპათიას" 250-მა მოქალაქემ მიმართა, რომელთა შორის სხვადასხვა კატეგორიის დაზარალებულები იყვნენ - ციხე-საპყრობილეებში ნაწამები პატიმრები, სამხედრო კონფლიქტების ზონაში წამების მსხვერპლები და სხვა კატეგორიის მოქალაქეები.

პროგრამა მოიცავს მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოს სახალხო დამცველთან, იუსტიციისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან, ასევე - ადამიანის უფლებებსა და ჯანმრთელობის დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებთან.

*24 საათი*

## სროლა "ბიგ ბენთან"

გუშინწინ, საღამოს ვაკეში, სუპერმარკეტ "ბიგ ბენის" წინ რამდენიმე წუთის განმავლობაში სროლა ისმოდა. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, სროლის შედეგად დაჭრილები - ნოშრევან ნამორაძე და დავით კურცხალია თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდათ. ექიმების განცხადებით, დაჭრილები ჯერჯერობით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, თუმცა დაშავებულთა სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ერთ-ერთი მათგანი დაჭრილია მუცლის არეში.

რა მოხდა "ბიგ ბენის" წინ და ვინ გახსნა ცეცხლი, ცნობილი არ არის. სამართალდამცველები მომხდართან დაკავშირებით გუშინ კომენტარებს არ აკეთებდნენ.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის ტარება-გამოყენების მუხლებით აღიძრა. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ინციდენტის მიზეზად ურთიერთშელაპარაკება სახელდება.

*24 საათი*

## მსჯელობა რეფორმაზე

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმაზე ლიკანში მსჯელობენ.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, "საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის" განხორციელების მმართველი ჯგუფის ორდღიანი შეხვედრა ლიკანში გაიხსნა. შეხვედრაზე რეფორმის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტზე მუშაობენ.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა 2006 წლის 30 მაისს დასრულდება. საქართველოს დოკუმენტის შემუშავებაში ევროპის კომისია უწევს დახმარებას.

სისხლის სამართლის კანონდებლობის რეფორმა მოიცავს საპოლიციო ორგანოების, პროკურატურის, ადვოკატურისა და სამართლებრივი დახმარების სისტემის, სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, სასჯელაღსრულების სისტემის, სახალხო დამცველის ინსტიტუტისა და იურიდიული განათლების რეფორმას.

რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობი კომისია იზრუნებს, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა.

*24 საათი*

## წინასწარი პატიმრობა ოსური მილიციის თანამშრომელს

გორის რაიონულმა სასამართლომ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მილიციის თანამშრომელს ოლეგ ჯაბიევს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ოლეგ ჯაბიევი ქურთის პოლიციის თანამშრომლებმა ცხინვალი-ჯავის საავტომობილო მაგისტრალზე დააკავეს "მერსედესის" მარკის ავტომანქანით. როგორც გაირკვა, ავტომანქანა, რომელსაც ჯაბიევი მართავდა, ათი დღის წინ თბილისში, დიღმის მასივში, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს. საქმე ისაა, რომ ოს ძალოვანებს აღნიშნული ავტომანქანა ყალბი დოკუმენტაციით ცხინვალში ერთი წლის წინანდელი თარიღით აქვთ დარეგისტრირებული.

ოსური მხარე კატეგორიულად ითხოვდა ოსი მილიციელის გადაცემას, თუმცა ქართულმა მხარემ ოსი სამართალდამცველების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და, თავდაცვის სამინისტროს დახმარებით, შემოვლითი გზით ოლეგ ჯაბიევი დიდი ლიახვის ხეობიდან გორის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში გადაიყვანა.

*ინტერპრესნიუსი*

## უჩვეულო პროტესტი

აფხაზეთიდან დევნილმა ცირა ზაქარაიამ, პროტესტის ნიშნად, წლინახევრის და 3 თვის შვილები ზუგდიდის საოლქო პროკურატურის ეზოში დატოვა, ხოლო 5 წლის გოგონა, რომელიც გულის მანკით არის დაავადებული - ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობაში.

ცირა ზაქარაიამ ამ ფორმით მეუღლის პატიმრობა გააპროტესტა. მისი მეუღლე გიორგი სართანია, წვრილმანი ქურდობის ბრალდებით, 30 იანვარს დააკავეს და ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სართანიას პატიმრობის ვადა ამოეწურა, სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ არ არის დანიშნული.

ცირა ზაქარაიას თქმით, მან რამდენჯერმე მიმართა როგორც საოლქო პროკურორს როლანდ ახალაიას, ასევე - მოსამართლე ნოდარ ცალანს, თუმცა მათგან კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო.

ზაქარაიას განცხადებით, მას შვილების რჩენის საშუალება არ აქვს და ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება - ორი შვილი საოლქო პროკურორს, ხოლო ერთი მოსამართლეს დაუტოვოს.

ზაქარაია სასამართლო პროცესის დანიშვნას და მეუღლის დარბაზიდან გათავისუფლებას მოითხოვს

*ინტერპრესნიუსი*

# დეპუტატის ყოფილი მეუღლე უდანაშაულოა

*პარლამენტარ გოჩა ჩახვაძის ოჯახური დრამის გამო ცოტა ხნის წინათ ამტყდარი სკანდალი, რომელიც მალევე ჩაცხრა, როგორც ჩანს, დღის წესრიგში კვლავ დადგება. გოჩა ჩახვაძის მეუღლის ეთერ ჭუმბურიძის ადვოკატმა პროკურატურას შუამდგომლობით მიმართა და საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაცია მოითხოვა.*



*ეთერ ჭუმბურიძე წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებისას.*

| | 2.7 | Color Laser Printer: A3, 24 ppm, 600 dpi, 288 Mb/HDD 20Gb, 10/100Base-T, PS lev. 3, PCL 5/6 | 1 | ცალი |
| | 2.8 | Ink Jet Printer: A4, 21 ppm, 2400 dpi, 32 Mb, USB | 1 | ცალი |
| | 2.9 | Laser Printer: A3, 22 ppm, 1200 dpi, 32 Mb, Paralel port, 10/100Base-T | 1 | ცალი |
| | 2.10 | A4 Color, 1200x2400 dpi, CCD, 48 bit, USB 2.0 | 3 | ცალი |
| | 2.11 | A4Color, 4800x9600 dpi, CCD, 48 bit, 3.8D, Film modul, USB 2.0 | 1 | ცალი |
| | 2.12 | A3+ Color, 2400x4800 dpi, CCD, 48 bit, 4D, USB 2.0 | 1 | ცალი |
| | 2.13 | 5,100 lumens, 1000:1 contrast, Zoom x 3 | 1 | ცალი |
| | 2.14 | 8 Mpix, 4x Optical 2.5" LCD | 1 | ცალი |
| 3 | | ლოტი III<br>**უწყვეტი კვების წყარო** | | ცალი |
| | 3.1 | UPS 1000 VA (Stand-by), keeping 110 minutes of battery power | 4 | ცალი |
| | 3.2 | UPS 650 VA (Stand-by), keeping 5 - 15 minutes of battery power | 26 | ცალი |
| | 3.3 | UPS 1000 VA (Stand-by), keeping 5 - 15 minutes of battery power | 7 | ცალი |
| | 3.4 | UPS 1500 VA (Stand-by), keeping 5 - 15 minutes of battery power | 4 | ცალი |

ტენდერი ცხადდება სამ ლოტად და შესაძლებელია მასში გამარჯვებლის გამოვლენა ლოტების შესაბამისად;

2. მომსახურება განხორციელდება ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში CIP-თბილისის პირობით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა (გამოქვეყნების დღე ითვლება ვადაში) სებ-ის კანცელარიაში სათანადო რეგისტრაციის გავლით 18.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.3/5. სატენდერო კომისიის აპარატი. ტელ/ფაქსი: 98-21-96. ტელ. 44-24-02; შიდა ტელ: 402. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

**იურიდიული პირისთვის:**

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

4. **ფიზიკური პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

**როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირისთვის:**

ა)ტენდერში მონაწილე უნდა იყოს მსოფლიო ბაზარზე აღიარებული "BREND"-ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ სერთიფიცირებული წარმომადგენელი როგორც გაყიდვებში, ასევე სერვის მომსახურებაზე;

ბ)რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

გ)წარდგინების წერილი (საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალი გვერდების მითითებით);

(უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს);

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ე.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 200 (ორასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს საქ. ეროვნული ბანკში. მის: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, საფოსტო ინდექსი 0105, ოთახი N201, ტელ./ფაქსი: 98-21-96. ტელ: 44-24-02, შიდა ტელ. 402;

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია**




**16 მაისი**

თეატრი

**თავისუფალი თეატრი**
დავით ტურაშვილი.
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი დავით დოიაშვილი.
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"მთავრისკენ ნასროლი მიხაკი".
დასაწყისი: 19.00

კინო

**"ამირანი"**
"13 ცამეტი".
დასაწყისი: 14:16:00;18:00; 20:00; 22:00
კინოფესტივალი "სესილი"

**"რუსთაველი"**
კინოფესტივალი "სესილი"

გალერეა

**"კოპალა"**
ქართული კინოპლაკატი

**"ქარვასლა"**
ბორის რომანოვსკის გამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
გიგო გაბაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
ლევან ლაღიძის გამოფენა

# რატომ ხიბლავთ გიგო?!

## გაბაშვილი - ეპოქა და ქონება ერთდროულად

სოფო კილასონია

ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, რომ სულ უახლოეს წარსულში კრისტის აუქციონზე აღმოჩნდა ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის ნამუშევარი და მილიონ სამასიათას სამოც ევროდ გაიყიდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და პრესტიჟულ აუქციონზე ქართული მხატვრობის ნიმუში ასე ძვირად შეფასდა. მას შემდეგ ბევრი ითქვა თბილისში. ისმოდა კითხვები: როგორ მოხდა, რომ ქართული მხატვრობის ნიმუში დააფასეს?! და, საერთოდ, როგორ აღმოჩნდა გაბაშვილის ქმნილება აუქციონზე?!

ნამუშევარი კერძო კოლექციიდან იყო. რაც შეეხება მის წარმატებას... ჩვენი პროფესიონალი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დასავლელმა შემფასებლებმა და კოლექციონერებმა აქამდე ოდნავ მივიწყებულ და ჩრდილში მყოფ XVIII-XIX საუკუნეების პირველი ნახევრის ეპოქას ყურადღება მიაქციეს და მათი არჩევანის გამო ამ პერიოდის ხელოვნება საკმაოდ მოდურიც გახდა. თუ დასავლურ სახელოვნებო ჟურნალებსა და პრესას გადავხედავთ, ნათელი გახდება, რატომ ივსება "ახალი მხატვრობის" ნიმუშებით აუქციონები და რატომ იძენენ მათ კოლექციონერები. გამოდის, რომ მოდერნიზმის ხანის აქამდე ფავორიტულმა პერსონებმა ნელ-ნელა პოზიციები დათმეს, მაგრამ, როგორც სხვა ნებისმიერი საგემოვნებო ტენდენცია, ესეც, ალბათ, დროებითია.



ასეა თუ ისე, გაბაშვილის ნამუშევრების ღირებულებამ რეალურად ძალზე აიწია. ასეთი ვითარება საინტერესოა იმ ქართველ კოლექციონერთათვის, რომლებიც "გიგოს" ფლობენ. ასეთები კი საკმაოდ ბევრნი არიან. მათ კი, ვინც გაბაშვილის შესახებ არც ისე ბევრი იცის, მოკლედ შევახსენებთ მის ბიოგრაფიას.

გამოჩენილი ქართველი ფერმწერი თბილისში დაიბადა. 1880-1893 წლებში ხატვას თბილისში, კ. კეპენის სამხატვრო სკოლაში, შემდეგ კი ბატალისტ რუბოსთან ეუფლებოდა. 1886-1888 წლებში გიგო გაბაშვილი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ბ. ვილევალდესთან სწავლობდა, ხოლო 1897-1900 წლებში - მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში, ა. ვაგნერთან.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გაბაშვილმა თავად დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. 1897-1900 წლებში იგი თბილისში, მის მიერვე დაარსებულ სამხატვრო სკოლაში ასწავლის, ხოლო 1900-1930 წლებში - კავკასიის ნატიფი ხელოვნების ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. 1922-1930 წლებში გაბაშვილი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი გახლდათ.

ითვლება, რომ გიორგი გაბაშვილი ქართული დაზგური მხატვრობის ფუძემდებელია, მაგრამ მეცნიერები აღნიშნავენ, რომ მასში არის მონუმენტალიზმი და მასშტაბური განცდა იმისა, რასაც აღწერს ტილოზე.

ერთი კი ფაქტია: ის ეკუთვნის რეალისტურ სკოლას, რომელსაც ჯერ რუსეთში, შემდეგ კი გერმანიაში დაუახლოვდა. მხატვარი ახლოსაა იმ მხატვრულ მოვლენასთან, რომელიც რუსეთში "პერედვიჟნიკებმა" მოიტანეს. მისთვის დამახასიათებელია ნატურალისტური ხატვის მანერა. მიუხედავად ამისა, გაბაშვილის მხატვრობას აქვს რაღაც რომანტიკული და ნატიფი, რაც მხოლოდ მის ხელწერას ეკუთვნის და სავსეა იმ ეპოქალური ნიშნებით, რომელშიც მოღვაწეობდა, ანდა რომელიც მას სულ ოდნავ წინ უსწრებდა. სწორედ ამ და, ალბათ, კიდევ სხვა მიზეზების გამო გიგო გაბაშვილის "ბრძოლა სამარყანდში" ასე საინტერესო აღმოჩნდა საქართველოს საზღვრებს მიღმა.

საერთოდაც, რაც უფრო მეტად ვაკვირდებით ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშს, მით უფრო სახვითს, ნაწარმოები უფრო საინტერესო ხდება არა იმდენად ესთეტიკური და მხატვრული თვალსაზრისით, რამდენადაც როგორც მოვლენა ეპოქასთან მიმართებაში. ასეთი მიმართება განსაკუთრებით მაშინ არის თვალშისაცემი, როცა უკვე ისტორიად ქცეულ ნიმუშევარს დღევანდელობაში ხედავ და, თანაც, ხედავ სწორედ იმისთვის გამოფენილს, რომ არა უბრალოდ დანახულის მიმართ საკუთარ დამოკიდებულებაში გაერკვე, რამდენადაც იმისთვის, რომ დღევანდელობის ფონზე შეაფასო დრო და ის სტილი, რომელიც ამ მხატვრულ ნაწარმოებს მოსდევს.

ალბათ მეტყვიან, რომ ხელოვნება მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა ნებისმიერი ეპოქისთვის არის მისაღებიო. ამაზეც გვიფიქრია, მაგრამ ესეც, ისე როგორც ზემოთ აღნიშნული "თეორიები", ყველა შემთხვევაში ბოლომდე მყარი ვერ იქნება... თანაც დღეს ამაზე არ ვწერთ.

გუშინ საღამოს გიგო გაბაშვილის შესახებ ბევრს საუბრობდნენ სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში, საგამოფენო სივრცეში, რომელიც ამ მხატვრის რეტროსპექტივას ახდენდა. მართალია, მხოლოდ 7 ნამუშევრით, რომელიც აკადემიის მუზეუმს აქვს, მაგრამ ეს ნამუშევრები იმისთვის მაინც იყო საკმარისი, რომ მხატვრის პორტრეტი დასანახი გამხდარიყო, დისკუსია კი - ცოცხალი. ხევსურებისა და გენერლების პორტრეტები და ყოფითი ჟანრის პეიზაჟები - ასეთია როგორც ექსპოზიციის შემადგენლობა, ისე ზოგადად ამ მხატვრის ინტერესთა სფეროებიც.

გაბაშვილის ყველაზე დიდი კოლექცია ალბათ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს აქვს, მაგრამ ეროვნულ მუზეუმში გაბაშვილის ფართომასშტაბიანი გამოფენა ჯერ არ იგეგმება. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე არაფერი თქმულა. თუმცა, ასეთი გამოფენის მოსაწყობად ეს პერიოდი გამოფენის წარმატების გარანტი იქნებოდა, სულ ცოტა ხნის წინ, აუქციონთან დაკავშირებით კი - მარტივი, მაგრამ მიმზიდველი PR კამპანიის შანსი.

შანსი ამჯერად სამხატვრო აკადემიის მუზეუმმა გამოიყენა... დიდ და კარგად განათებულ სივრცეში გამოფენილი ნამუშევრები, როგორც ამბობენ, კარგად იკითხებოდა. გამოფენას ოფიციალური გამოსვლები არ ახლდა, არც ხალხმრავლობა იყო. ნამდვილად მომხიბვლელია გამოფენა, როცა არც ხმაურია და ხელსაც არავინ გიშლის.

სამხატვრო აკადემიაში არსებული ეს ნამუშევრები კრისტის აუქციონის შემდეგ ერთ-ერთ ბანკში ინახება, რომელმაც აკადემიის ქონება დააზღვია და სულ მალე, გამოფენის დახურვის შემდეგ, ისევ საკუთარ საცავებში დააბრუნებს. ზუსტად არ ვიცი, ბანკების საცავებში რა ხდება, მაგრამ რამდენიმე ნამუშევარს საგანგებო დახმარება, კონსერვაცია სჭირდება. ამ და სხვა დაზიანებულ ნახატებზე რესტავრაციის ფაკულტეტი ფიქრობს, თუმცა რეალური სამუშაოები გასაგები მიზეზების გამო ჯერ არ დაწყებულა.

# "ქრისტიანთა კავშირი"

უახლოეს მომავალში მკითხველი მიიღებს ახალ პოეტურ კრებულს "ქართულ სულიერებას", რომელიც ამერიკა-საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაცია "ქრისტიანთა კავშირის" ორგანიზებით გამოიცემა. კრებული შესაძლოა, ინგლისურ-ქართულ და რუსულ ენაზეც გამოვიდეს. მასში საქართველოში გამართული ამავე სახელწოდების კონკურსზე გამარჯვებულ პოეტთა ლექსები შევა.

კონკურსზე "ქართული სულიერება" პირველი პრემია მიენიჭა პოეტ ერეკლე საღლიანის ლექსს "რაშოვდა" (სვანურად თავისუფლების საგალობელს ნიშნავს) და 700 დოლარის ოდენობის ფულადი პრემიით დაჯილდოვდა. მეორე პრემია, 500 დოლარი, გელა დაიაურს ერგო, ხოლო მესამე, 300 დოლარი, ნატა ნუცუბიძემ მოიპოვა.

ერეკლე საღლიანის თქმით, მსგავსი კონკურსები მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ტარდება. მათი მიზანია თავი მოუყაროს სულიერების თემაზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# უძველესი ქართული ხატები

"რესტავრაციის ნიღბით" აფხაზეთიდან სამუზეუმო ექსპონატების გატანა ამჯერად სოხუმსა და კრასნოდარის მხარის მუზეუმს შორის დადებული ხელშეკრულებით (ხატებისა და მოზაიკური მოპირკეთების სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაციის შესახებ) გრძელდება.

"სოხუმში პირველყოფილი თემური წყობილების სამარხების მდიდარი მუზეუმი არსებობდა. დღეს მუზეუმში თითქმის აღარაფერი დარჩა", - აცხადებს ექსპერტი დავითაია და ყოველივე ამაში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს. "პრეზიდენტი კულტურის მინისტრს, ხოლო ეს უკანასკნელი - ვისაც კულტურის ძეგლთა დაცვა ეხება, ყოველდღე რომ მიუთითებდეს, მერწმუნეთ, ვითარება გამოსწორდებოდა", - დასძინა დავითაიამ. "კრასნოდარის მხარის მუზეუმსა და სოხუმს შორის დაიდო ხელშეკრულება ხატებისა და მოზაიკური მოპირკეთების სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაციის შესახებ. შედეგად, ახლა უკვე აფხაზეთიდან ყველაფერი "რესტავრაციის ნიღბით" გადის და უკან აღარ ბრუნდება".

მისივე თქმით, ომის შემდგომ პერიოდში ტაძრების წარწერებისა და ფრესკების ფხეკა-ამოშლის ეტაპი გრძელდება და აფხაზეთის საზღვრებიდან კულტურული მემკვიდრეობის გადინების პროცესს ვლადისლავ არძინბას ქალიშვილი მადინა არძინბა ხელმძღვანელობს. "ამ საკითხზე თავად აფხაზებიც წუხან. ამის შესახებ ალექსანდრე ანქვაბმაც არაერთხელ განაცხადა. ამჟამად აფხაზეთის მუზეუმებიდან ძვირად ღირებული სამუზეუმო ექსპონატები, ისტორიული ნივთები და ძვირფასი ხატები გადის. როგორც ჩანს, ამ პროცესის გაგრძელება რუსებმა აიღეს თავის თავზე", - აღნიშნავს დავითაია.

რამდენიმე ხნის წინ ანონიმად დარჩენილმა აფხაზმა შეშფოთებით აცნობა საქართველოს მხარეს სოხუმის ახლოს მდებარე "თამარის ხიდის" ნაწილის აფეთქების შესახებ, რომელსაც დღეს "ვენეციური ხიდი" ეწოდება და ქართული წარწერა აღარ აქვს. ახალ ათონსა და ბიჭვინთას გაურკვეველი წარმომავლობის ფირმა "ბაროკო" არემონტებს.

სოხუმის რაიონში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 47 ძეგლი არსებობს. მათ შორის 23 ეროვნული მნიშვნელობისაა, დანარჩენი - ადგილობრივი. გაგრის რაიონში სულ 22 ძეგლია, მათ შორის ეროვნული მნიშვნელობის 10, დანარჩენი - ადგილობრივი. გუდაუთის რაიონში სულ 32 ძეგლია, მათ შორის 18 ეროვნული მნიშვნელობის, დანარჩენი ადგილობრივი.

"როდესაც ავღანეთში ბუდას ძეგლს ორი ჭურვი დაეცა, დიდი ამბავი ატყდა. აფხაზეთში კი ქართული სულიერება კვდება და ამაზე არავინ საუბრობს. ამ საკითხების მოგვარება საქართველოს ხელისუფლებისა და კულტურის სამინისტროს პირდაპირი მოვალეობაა", - აცხადებს დავითაია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# "ოკუპაციის დარბაზი"

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯანაშიას სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში "ოკუპაციის დარბაზი" განთავსდება.

როგორც ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი კახა ტრაპაიძე აცხადებს, "ოკუპაციის დარბაზში" საქართველოს ისტორიის საბჭოური პერიოდის (1921-1991 წ.წ.) დოკუმენტური მასალები გამოიფინება. მისი თქმით, საექსპოზიციო მასალები ძირითადად 1924 წლის საქართველოს ოკუპაციისა და რეპრესიების დოკუმენტურ ასახვას წარმოადგენს. "გამოფენის მიზანია არა საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაცია, არამედ რეალური ისტორიის ჩვენება", - აცხადებს ტრაპაიძე.

"ოკუპაციის მუზეუმი" საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უშუალო ინიციატივით იქმნება. ეროვნულ მუზეუმში "ოკუპაციის დარბაზი" 26 მაისს გაიხსნება.

*ინტერპრესნიუსი*

# ლაზერული სხივებით ჯაზურ მიქსში

## "ეი სი ჯგუფი" - ახალი სადაზღვევო კომპანია

სოფო კილასონია

ორი დღის თუ ღამის წინ Night Office ჯაზბენდ "ინკოგნიტოს" მასპინძლობდა. კონცერტის ორგანიზება კახაბერ ცისკარიძისა და სტეფანე მღებრიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ "არტფორუმს" ეკუთვნის. ორგანიზატორებმა ცნობილი ჯგუფის ჩამოყვანა, რომელშიც 12 მუსიკოსი ერთიანდება, ახალი სადაზღვევო კომპანიის "ეი სი ჯგუფის" საპრეზენტაციოდ მოინდომეს და რეკლამაც, ალბათ, წარმატებული გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, ვინც 13 მაისის ღამე ამ კლუბში გაატარა, მან კარგად იცის, რომ "რასაც დააზღვევს, მისია". ამ დევიზსს მას ახალი კომპანია უგზავნის.

საღამო, რომელსაც სტუმართა სრული კომფორტისთვის არაფერი აკლდა, ოფიციალურად ცხრა საათზე დაიწყო, თუმცა "ინკოგნიტომ" ორგანიზატორების მიერ რჩეულ სტუმრებს სრული ადაპტაციისთვის კიდევ თითქმის ორი საათი დაუთმო და მხოლოდ შემდეგ დაიწყო კონცერტი.

ჯგუფი, რომელიც "ესიდ ჯაზის" მიმართულებით იხრება, მართლაც სხვადასხვა ტენდენციის მუსიკის მიქსია. მართალია, დიდი ნაწილი მასში ჯაზურია, თუმცა კონცერტი და მათი კომპოზიციები შეზავებული იყო როგორც პოპმუსიკით, ისე ლათინოამერიკული რიტმებით.

ცნობილი და ისეთი სიმღერები, რომლებსაც ქართველი მსმენელი იოლად აჰყვებოდა, ძალიან ბევრი იყო. რაც შეეხება მსმენელის ინტერესსა და მის შეფასებას, თუ მკითხველს "ინკოგნიტოს" შესახებ სმენია და მისი მუსიკა მოუსმენია, გასაგები გახდება, რომ ინტერესიც დიდი იქნებოდა და შეფასებაც - დადებითი. საზოგადოების გამხიარულება, მუსიკის გარდა, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა იმითიც მოახერხა, რომ სულ პატარა მუსიკალური თამაშები მოაწყო და მსმენელს 10 წუთის განმავლობაში რიტმების გამეორება აიძულა, რის შემდეგაც მთელი კლუბი აამღერა. ამ დამეგობრების შემდეგ კი მისი მონოლოგი იყო. მონოლოგი სულ მცირე პოლიტიკური გავლენით. ის, რომ ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, რომ ჩვენს შორის არ არის საზღვარი. ერთიანობისთვის კი მთავარი სიყვარულია. დაახლოებით ასეთი შინაარსის ტექსტები, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ მუსიკოსები საქართველოს შიდაპოლიტიკური პრობლემებისა და უახლესი ისტორიის შესახებ წინასწარ გაათვითცნობიერეს.



კონცერტი დიდხანს გაგრძელდა. ის ალბათ ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ღამე გახდა ლაზერულ სხივებში გაბრუებული "Night Office"-ის სივრცეში. "არტფორუმის" ურთიერთობა ახალ ბიზნეს-ორგანიზმთან აშკარად წარმატებული გამოდგა, მით უმეტეს, თუ მათი ორგანიზებით გადაღებულ სარეკლამო რგოლსაც გავიხსენებთ და, მით უფრო, "ინკოგნიტოს" კონცერტსაც. შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მომღერლებს ორგანიზება-მენეჯმენტის მიმართულებით მოღვაწეობა კარგად გამოსდით. ასე რომ, უახლოეს მომავალში კიდევ არაერთი პროექტით წარდგებიან მსმენელის წინაშე.

# ახალგაზრდული კინოფესტივალი დაიწყო

## "სესილი" 6 წლისაა

*2006 წელი სესილია თაყაიშვილის დაბადებიდან მეასეა. ახლგაზრდული კინოფესტივალი, რომელიც ცნობილი ქართველი მსახიობი ქალის სახელობისაა, წელს მეექვსედ იმართება. ის ოფიციალურად გუშინ გაიხსნა. საზოგადოება ჯერ გალერეა "კოპალაში" შეიკრიბა, სადაც ქართული კინოპლაკატის გამოფენა გაიხსნა, შემდეგ კი - კინოთეატრ "ამირანში", სადაც ორგანიზატორები იმ მაყურებლის წინაშე წარდგნენ, რომელიც კიდევ რამდენიმე დღე, კონკრეტულად 22 მაისამდე, მისი ერთგული პუბლიკა იქნება.*

სოფო კილასონია

ფესტივალში მონაწილეობას იღებს 17 ქვეყანა, წარმოდგენილია 84 ნამუშევარი, ჩამოსული სტუმრები ქართველი სტუდენტებისთვის მასტერკლასებს ჩაატარებენ. მათ შორის არიან: იტალიელი რეჟისორი გრეგორი პეტიტკუე, STV-ს წარმომადგენელი ვალერი ფედოროვიჩი (რუსეთი) და მსახიობი სვეტლანა ლისინა-ჟოვანიცი ისრაელიდან.

ჟიურის წევრთა ვინაობა სულაც არ არის ინკოგნიტო. მისი თავმჯდომარეა რეჟისორი გიორგი ოვაშვილი, წევრები კი, უკვე ჩამოთვლილი სტუმრების გარდა, კიდევ რამდენიმე: რეჟისორი რუსუდან ჭყონია, მსახიობი ნუცა კუხიანიძე და კინომცოდნე მაკა კუკულავა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმები... ავტორთა უმრავლესობა, როგორც წესი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია. თუმცა, როგორც "სესილის" ერთ-ერთმა ორგანიზატორმა თინათინ დიდავამ გვითხრა, ყოფილა შემთხვევა, როცა ფესტივალზე მოყვარულთა კინონამუშევრებიც უჩვენებიათ. ასეთი რამ წელსაც მოხდება. რესპონდენტს კიდევ რამდენიმე კითხვა დავუსვით:

**- რით გამოირჩევა წლევანდელი ფესტივალი გასული წლებისგან?**

- პირველ რიგში, მასშტაბით. 17 ქვეყანა და 84 ნამუშევარი - ეს საკმაოდ დიდი სპექტრია. ამასთან, ყოველწლიურად ნამუშევრები ხარისხობრივად ბევრად უფრო დახვეწილია. ადრე, როცა ფესტივალი ეწყობოდა, არ იცოდნენ ვებგვარდზე როგორ შეევსოთ საჭირო მონაცემები. კულტურა აშკარად გაიზარდა. თითქმის იმ დონეს მივაღწიეთ, როგორიც არის საერთოდ ევროპულ კინოსკოლებში. სწორედ ამით არის მნიშვნელოვანი საერთოდ ეს ფესტივალი. წინა წლებთან შედარებით გაიზარდა მასტერკლასების რაოდენობაც."

ფესტივალის მთავარი პრიზია მოოქროვილი ბრინჯაოს ფიგურა "სესილი". მას სამ ნომინაციაში გამარჯვებულთ გადასცემენ: მოკლე მხატვრული ფილმი, დოკუმენტური ფილმი და ანიმაცია. იქნება დამატებითი ნომინაციებიც, დაახლოებით ისეთი, როგორიცაა "მაყურებლის სიმპათია" და ალბათ "სპონსორი ორგანიზაციების რჩეული ნამუშევრები."

"სესილის" მასპინძლობს თითქმის ყველა კინოთეატრი: "რუსთაველი", "ამირანი", "ამარკორდი" და "ქოლგა". ფესტივალში ფარგლებში რამდენიმე გამოფენაც მოეწყობა. ქართული კინოპლაკატის ექსპოზიციას, როგორც ამბობენ, თბილისის სამხატვრო აკადემიის კინომხატვრობის ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაც შეემატება.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

## ნავთობის ფასმა ისევ დაიწია



## ამერიკა აზიურმა ავტომობილებმა წალეკა

B3

## "ჯიარდისი" ქართველ კინემატოგრაფებს ახალ კინოპავილიონს უშენებს

## ენერგო-პრივატიზაციის სტარტი

## გლეხებს ვენახის დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებში შეუძლიათ

B4

# ლიზინგით აწყობილი ბიზნესი

### ერთი საწარმოს ისტორია

თინა შავაძე

- მართალია, ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი მაღალია, ამის გარდა, მოგების გადასახადს დღგ-ც ემატება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ყველაზე მოსახერხებელი და მისაღები გზაა საქმიანობის ასაწყობად.
- წინა საგადასახადო კოდექსში ბევრი უაზრო გადასახადი იყო. 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის შემოღების შემდეგ ხელფასის რეალური ოდენობის დამალვის საჭიროება აღარ არსებობს. ადრე საქონლის შესყიდვისას ძნელი იყო ფაქტურის აღება, ახლა ეს შესაძლებელია.



B2

# ქართულენოვანი Windows XP - საცდელი ვერსია უკვე მზად არის

გუშინ, სასტუმრო "თბილისი მერიოტში" ქართულენოვანი Windows XP-ის ბეტა ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა. Windows-ის გაქართულების პროექტის მენეჯერის ირაკლი უჯმაჯურიძის განცხადებით, საქართველოს მოსახლეობას ქართულენოვანი Windows-ით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება. მისი თქმით, "ეს პროგრამა იმის გამო შეიქმნა, რომ ბავშვებმა და ასაკოვანმა ხალხმა, ვინც არ იცის ინგლისური, თავისუფლად ისარგებლონ Windows-ით".

მისივე ინფორმაციით, ქართულენოვან Windows-ზე მუშაობა 2005 წლის ივნისიდან დაიწყო. პროექტის ფარგლებში გადაითარგმნა 2220 სიტყვა და 350 ათასი სიტყვისგან შემდგარი 80 ათასი ფრაზა.

მომხმარებელს ქართული Windows-ის გამოყენება უფასოდ შეეძლება. უჯმაჯურიძის განმარტებით, მომხმარებელს მისი გადმოქაჩვა და დაინსტალირება UGT-ის საიტიდან www. ugt.ge შეეძლებათ. აღნიშნული პროგრამა ახალ კომპიუტერებს მოჰყვება. პროექტის ოფიციალური მხარდამჭერია გაზეთი "კვირის პალიტრა" და GIG ჰოლდინგი.

**ინტერპრესნიუსი**




პრეზენტაციაზე.

# "პირველი საბროკერო"

## უძრავი ქონების პირველი ქართული ბროკერი

*ბოლო წლებში ჩვენი დედაქალაქი შეიცვალა. ცვლილებები დღესაც გრძელდება - შენდება სასტუმროები, ოფისები, საცხოვრებელი სახლები. ერთი სიტყვით, იქმნება ახალი გარემო, რომელშიც უნდა ვიცხოვროთ, დავისვენოთ და დადებითი ენერგიითა თუ ემოციებით დავიმუხტოთ. შესაბამისად, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ყველაზე მსხვილ კაპიტალს უძრავ ქონებაში აბანდებს. ამ თვალსაზრისით სახლის, აგარაკის თუ საოფისე ფართის შეძენა, შესაძლებელია, ცხოვრების ყველაზე მსხვილი ფინანსური გარიგება აღმოჩნდეს.*

გაგრძელება B4



B3

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3958 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0042 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4923 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8080 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8421 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1762 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3085 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3140 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3000 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4703 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3477 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,3289 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1625 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3641 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1977 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2577 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4079 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6369 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2813 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6963 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3961 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2962 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,6017 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6074 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0668 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1540 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4050 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5624 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4828 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,6041 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8829 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2517 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1480 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4431 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2468 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4734 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0814 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2259 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2332 |



# ლიზინგით აწყობილი ბიზნესი

### პირობა სანახევროდ შესრულდა

## ავტომანქანების ლიზინგით მიწოდებაზე პარლამენტმა უარი თქვა

თინა შავაძე

*ორი წლის განმავლობაში სალიზინგო საქმიანობის წარმატებით წარმართვა მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე იყო დამოკიდებული. დღემდე ბუნდოვანი იყო სალიზინგო კომპანიების საქმიანობის დაბეგვრის ნიხრები. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ, საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ბიზნესმენებისთვის მიცემული დაპირება სანახევროდ შეასრულა და მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილება შეიტანა. სიახლის შესახებ "24 საათს" პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი თეიმურაზ კოპალეიშვილი ესაუბრა.*

**- რას ითვალისწინებს არსებული ცვლილება და საკანონმდებლო ორგანოში როდის დასრულდება მისი განხილვა?**

- წარმოდგენილი ცვლილებები ორი მოსმენით მიღებულია. მიმდინარე კვირას დაგეგმილია მესამე მოსმენით კენჭისყრის ჩატარება. ეს არის კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შესახებ, სადაც 21-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: თუ პირი საქონელს ლიზინგით (ფინანსური იჯარით ამორტიზაციას დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებების გაცემა) გასცემს, მაშინ ამ კოდექსის მიზნებისათვის ოპერაცია საქონლის მიწოდებად ითვლება.

განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების 80 პროცენტი ლიზინგს იყენებს, როგორც ძირითადი საშუალებების შესყიდვის ფინანსურ ინსტრუმენტს. ქართულ ბაზარზე დღეისათვის მხოლოდ სამი სალიზინგო კომპანია "თი-ბი-სი ლიზინგი", "სტანდარტ ლიზინგი" და "საქართველოს სალიზინგო კომპანია" მუშაობს. ქვეყანაში ლიზინგს კომპანიები იყენებენ საწარმოო დანადგარების (მსუბუქი და კვების მრეწველობის სექტორში), სატვირთო და მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების, სამშენებლო ტექნიკის, სამედიცინო და კავშირგაბმულობის აპარატურის, პოლიგრაფიული დანადგარების და ა.შ. შესაძენად. მეწარმისათვის ლიზინგით ფინანსირების ეფექტურობის საუკეთესო დასტურია ის ფაქტი, რომ "თი-ბი-სი ლიზინგს", ახალ პროექტზე განაცხადით, კლიენტების 60-მა პროცენტმა ხელმეორედ მიმართა.

*საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება შეუწყობს თუ არა ხელს ქვეყანაში სალიზინგო საქმიანობის განვითარებას, ამ საკითხის შესახებ "24 საათს" კომპანია "თი-ბი-სი ლიზინგის" პრეზიდენტი თეა ლორთქიფანიძე ესაუბრა.*

"2005 წელს მიღებულ საგადასახადო კოდექსში ლიზინგთან დაკავშირებით რამდენიმე უზუსტობა გაიპარა, რომელიც ლიზინგის დაბეგვრის სქემას ბუნდოვანს ხდიდა. კერძოდ, გაურკვეველი იყო, რას წარმოადგენდა ლიზინგი - მომსახურებას თუ საქონლის მიწოდებას (განმარტებაში ორივე იყო მოხსენიებული), როდის უნდა დაბეგრილიყო ოპერაცია დღგ-თი და იყო თუ არა ლიზინგით გაცემული აქტივები ძირითადი საშუალებები სალიზინგო კომპანიებისთვის. დაბეგვრის ასეთ გაურკვეველ პირობებში, სალიზინგო კომპანიების საქმიანობა სერიოზული რისკის ქვეშ დგებოდა, რაც ამ დარგში ინვესტიციების განხორციელებას აფერხებდა. მოხარულები ვართ, რომ ფინანსთა სამინისტრომ არსებული პრობლემები გაითვალისწინა და შეიმუშავა სათანადო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მთლიანად განმარტავს არსებულ ბუნდოვან საკითხებს. სამწუხაროდ, ცვლილებები მხოლოდ უზუსტობების გასწორებას შეეხო. უარი ვთქვით ისეთ ცვლილებაზე, როგორიცაა ფიზიკური პირებისათვის ავტომანქანების ლიზინგის მიწოდებასთან გათანაბრება და დღგ-სგან გათავისუფლება. ამ ცვლილების გარეშე ავტომანქანების ლიზინგი, რომელიც მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ და კარგად განვითარებულ ინდუსტრიას წარმოადგენს, საქართველოში ვერ იარსებებს. მიუხედავად ამისა, უკვე განხორციელებული ცვლილებები სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში ლიზინგის ინსდუსტრიის განვითარებაში."

# ერთი საწარმოს ისტორია

## მეწარმე



**პოლიგრაფიული კომპანია შპს "რეზონის" მესაკუთრე რევაზ რაზმაძე.**

**- საიდან გაიგეთ სალიზინგო კომპანიის საქმიანობის შესახებ?**

- პირველი სალიზინგო კომპანია "საქართველოს სალიზინგო კომპანიის" პირველი დამკვეთი მე ვიყავი. მისი დახმარებით 2003 წელს პირველი საბეჭდი მანქანა ჩამოვიტანე.

**- სამი წლის შემდეგ სალიზინგო კომპანია "თი-ბი-სი ლიზინგს" მიმართეთ. კონკრეტულად რისთვის?**

- სტამბას ძალიან ბევრი შეკვეთა ჰქონდა. სამუშაოს შესრულებას ერთი მანქანის საშუალებით ვერ ვასწრებდით და ამიტომ საჭირო გახდა კიდევ ერთი საბეჭდი მანქანის დამატება.

**- და ეს პირველი მანქანა რამდენ ხანში გახდა თქვენი საკუთრება?**

- ორ წელიწადში.

**- "ჰაიდელბერგის" ფირმის დანადგარის შეძენის შემდეგ, რა დამატებითი პროდუქცია შესთავაზეთ მომხმარებელს?**

- ეს საბეჭდი მანქანა ახალი მოდელია, სწრაფად და ხარისხიანად ბეჭდავს.

**- ამბობენ, რომ საგამომცემლო საქმიანობა მოგებიანია. ამ ეტაპზე თბილისის ბაზრის რა მოთხოვნილებას აკმაყოფილებთ?**

- ზუსტად არ ვიცი, რამდენიმე სტამბა მუშაობს. ჯერჯერობით ბაზარზე ჩემი სტამბა ლიდერი არ არის.

**- ყველა მოთამაშეს განსაკუთრებული ნიშა უჭირავს ბაზარზე, თქვენი განსაკუთრებულობა რაშია?**

- ეს არის ხარისხი, ფასი და სისწრაფე. ყველა სტამბას თავისი დამკვეთი ჰყავს. მთავარია, კლიენტი ხარისხით, ფასით, სისწრაფით და კარგი მომსახურებით დაინტერესდეს.

**- როგორც მე ვხედავ, ძირითადად, საიმიჯო მასალებს - ჟურნალებს, ბროშურებს და ბუკლეტებს ბეჭდავთ. შეკვეთის სწრაფად შესრულებას რატომ მოითხოვენ კლიენტები?**

- ხშირად ისე ხდება, რომ როცა მეწარმე უცხოეთში წასვლას გადაწყვეტს და ბილეთი უკვე აღებული აქვს, მაშინ ახსენდება, რომ საკუთარი ფირმის შესახებ თან ბროშურა უნდა წაიღოს. ამიტომ, კლიენტი გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე მოგვმართავს და დაკვეთის სწრაფად დაბეჭდვისთვის ღამის გათენება გვიწევს.

**- საქმის აწყობა რამდენი ადამიანით დაიწყეთ და ახლა რამდენია ფირმაში დასაქმებული?**

- როცა პირველი მანქანა შევიძინე, მაშინ სამი ადამიანი მუშაობდა, ახლა 16 თანამშრომელი მყავს.

**- უცხოური ტექნიკის მართვას სათანადო ცოდნა სჭირდება, კადრების პროფესიულ გადამზადებაში საჭირო თანხა თქვენ გადაიხადეთ?**

- როგორც კი ეს მანქანა გერმანიიდან ჩამომიტანეს, მაშინვე ჩამოვიყვანე უცხოელი კონსულტანტი კადრების პროფესიული გადამზადებისთვის და მათ სწავლებაში 2 200 დოლარი გადავიხადე.

**- ეს საბეჭდი მანქანა ახლა "თი-ბი-სი ლიზინგის" საკუთრებაა. რამდენ ხანში გახდება თქვენი?**

- გაფორმებული ხელშეკრულებით, 2 წლის შემდეგ. 18 თვე მაქვს აღებული ძირითადი თანხის დასაფარად.

**- როგორ ფიქრობთ, ძირითადი საშუალებების შესაძენად ლიზინგის გამოყენება სესხის ხელსაყრელი ფორმაა? ზოგიერთი მეწარმე ამბობს, რომ ამ ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო შეუძლებელია.**

- მართალია, მაღალია. ამის გარდა, მოგების გადასახადს დღგ-ც ემატება. მიუხედავად ამისა, ჩემის აზრით, ყველაზე მოსახერხებელი და მისაღები გზაა საქმიანობის ასაწყობად. პირველი მანქანის შეძენისას დღგ არ გადამიხდია. ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ კი ამ ახალ მანქანაზე დღგ-ს ვიხდი.

**- და ეს რამდენი გამოდის მთლიანობაში?**

- ეს "ჰაიდელბერგის" საბეჭდი მანქანა ღირდა 185 ათასი დოლარი და პლუს თანხის 18 პროცენტი.

**- მიმდინარე წელს როგორი ბიზნესგეგმა გაქვთ?**

- საგამომცემლო საქმე რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ესენია: დიზაინი, ბეჭდვა, ფერდაშლა და ბეჭდვის შედეგი - პროდუქცია. ამ ეტაპზე არ მაქვს ფერდაშლის მანქანა, რომლის შეძენასაც წლის ბოლოსთვის კვლავ "თი-ბი-სი ლიზინგის" დახმარებით ვაპირებ და, ამის გარდა, კიდევ სხვა საჭირო დანადგარებს.

**- რა დანადგარი უნდა შეიძინო და სად. არჩევანს "თი-ბი-სი ლიზინგი" აკეთებს თუ თქვენ?**

- რა ფირმის ტექნიკა უნდა შევისყიდოთ, არჩევანს მე ვაკეთებ. რაც შეეხება დანადგარს, მისი ყიდვის საკითხს "თი-ბი-სი ლიზინგი" წყვეტს. მინდა გითხრათ, რომ თავიდან განაცხადი ფერდაშლის მანქანაზე გავაკეთე, მაგრამ სალიზინგო კომპანიაში უარი მითხრეს და ამიტომ საბეჭდი მანქანა შევიძინე.

**- როგორ ფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო?**

- ფერდაშლის მანქანას ტექნიკური ვადა მალე გასდის. მაგალითად, ახლა თუ 60 ათასი დოლარი ღირს, სამი წლის შემდეგ მისი ფასი 15 ათასი დოლარი გახდება. მისგან განსხვავებით, საბეჭდი მანქანა თავდაპირველ ღირებულებას წლების განმავლობაში არ კარგავს. ამდენად, სალიზინგო კომპანიამ რისკი შეამცირა და საბეჭდი მანქანის შეძენა გადაწყვიტა.

**- ლიზინიგით ძირითადი საშუალებების შესყიდვა დროში გაწელილი პროცედურაა?**

- ჩემს განაცხადზე, გარკვეული კვლევის შემდეგ, "თი-ბი-სი ლიზინგმა" გადაწყვეტილება ორ კვირაში მიიღო. შეკვეთის შემდეგ გერმანიაში მანქანის აწყობას სამი თვე დასჭირდა, რადგან სტანდარტულ მოდელზე გარკვეული ფუნქციების დამატება მოვითხოვეთ და მანქანა ერთ თვეში ჩამოვიდა.

**- როგორც გამოკითხულ მეწარმეთა უმეტესობა აცხადებს, ყველაფრის თავიდან დაწყება რომ მოუხდეს, კვლავ საკუთარ ფირმას გახსნიდა. საინტერესოა, რა სტიმულია ეს, როცა კერძო მეწარმე ხარ?**

- მას თან ახლავს რისკი, ინიციატივა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და მოგების მიღების მოლოდინი. საგამომცემლო საქმეში მეწარმეს დამკვეთი ყოველთვის ჰყავს. ბეჭდვითი პროდუქცია ყველა ფირმას სჭირდება.

**- თქვენ საწარმოს ერთადერთი მესაკუთრე ხართ. საქმიდან მიღებულ მოგებას რაში აბანდებთ?**

- როცა საქმე დავიწყე, ვფიქრობდი, რომ მოგებას მალე მივიღებდი, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. საგამომცემლო საქმეში დიდი კონკურენციაა, და ბაზარზე კარგი მოთამაშე რომ გახდე, საწარმოს დიდი კაპიტალდაბანდება სჭირდება.

**- როგორ ფიქრობთ, ახალი ხელისუფლების პირობებში ბიზნესგარემო გაუმჯობესდა?**

- ახლა უკეთესი საგადასახადო კოდექსია, ვიდრე შევარდნაძის დროს იყო. სასურველია, უფრო უკეთესი იყოს.

**- "უკეთესში" რას გულისხმობთ?**

- წინა საგადასახადო კოდექსში ბევრი უაზრო გადასახადი იყო. 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის შემოღების შემდეგ ხელფასის რეალური ოდენობის დამალვის საჭიროება აღარ არსებობს. ადრე საქონლის შესყიდვისას ძნელი იყო ფაქტურის აღება, ახლა ეს შესაძლებელია.

**- წარმოება რომ განვითარდეს და მესაკუთრეთა ფენა გაძლიერდეს, რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში?**

- მედიცინის სფეროში დარეგისტრირებული ფირმა თუ ძირითად საშუალებებს შეიძენს, მაშინ ის, გარკვეული პერიოდით, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება. სხვა ბიზნესებზეც უნდა არსებობდეს მსგავსი შეღავათი, რაც ხელს შეუწყობს მანქანა-დანადგარების შეძენას. ეს კი საფუძველია საქართველოში წარმოების განვითარებისთვის.

## მემკვიდრე



**ანდრო რაზმაძე შპს "რეზონის` მესაკუთრის შვილი, რომელიც სტამაბაში მბეჭდავად მუშაობს.**

**- რამდენი წლის იყავი, როცა მუშაობა დაიწყე?**

- 18 წლის. პირველად დიზაინერობით დავიწყე, მერე მბეჭდავის პროფესიით დავინტერესდი. ამ ორი ხელობის ათვისებაში თანხა არ გადამიხდია, მუშაობის პარალელურად შევისწავლე.

**- ყოველთვიური ანაზღაურება რამდენი გაქვს?**

- 400 ლარი.

**- რაში ხარჯავ ამ ფულს?**

- მუშაობის პარალელურად იურიდიულზე ვსწავლობ. ჩემი მეუღლეც სტუდენტია. ორივენი კერძო უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობთ და სწავლის საფასურს ხელფასიდან ვიხდი. გარდა ამისა, ბავშვის მოვლასაც გარკვეული თანხები სჭირდება.

**- ვისთან ერთად ცხოვრობთ?**

- მშობლებთან ერთად?

**- გამოდის, რომ ოჯახის მიმდინარე ხარჯების დაფარვაში მონაწილეობას არ იღებთ?**

- არა.

**- მაშინ ფულადი დანაზოგი გექნებათ?**

- არა, ხელფასი ყოველთვიურად მეხარჯება.

**- თქვენ ამ სტამბის მესაკუთრის შვილი ხართ, მაგრამ თქვენი ხელებიდან ნათლად ჩანს, რომ ბევრს მუშაობთ.**

- როცა ერთი საბეჭდი მანქანა გვქონდა, მაშინ დღე და ღამე ვმუშაობდი. ახლა, როცა მეორე საბეჭდი მანქანა სალიზინგო კომპანიის დახმარებით შევიძინეთ, შეკვეთები უფრო სწრაფად იბეჭდება და სამუშაო გრაფიკიც ნორმალური გახდა.

**- როცა თავისუფალი დრო გაქვს, რას აკეთებ?**

- საბილიარდოში დავდივარ, აქ ახლოს საბილიარდო "12 სკამია", ერთ საათში 8-10 ლარს ვიხდი. ხანდახან კინოფილმის სანახავად მივდივარ მეგობრებთან ერთად.

**- შენი თანატოლების უმეტესობა დროს მხოლოდ სწავლას უთმობს. შენ სწავლასთან ერთად კიდეც მუშაობ. როგორ ფიქრობ, მათთან შედარებით ცუდ მდგომარეობაში ხარ?**

- მათ გართობა-დასვენებისთვის უფრო მეტი დრო აქვთ, მაგრამ მე სამსახური საძებნელი არ მაქვს. ვიცი, რომ მბეჭდავის ხელობა კარგად ავითვისე და სამსახური ყოველთვის მექნება.

**- დამოუკიდებლად ცხოვრება თუ გსურთ და ამისთვის რა შემოსავალია საჭირო?**

- საშუალოდ ცხოვრებისთვის ორჯერ მეტი შემოსავალია საჭირო, ვიდრე დღეს მაქვს. ახლა ყველაფერი გაძვირდა. 400 ლარი მხოლოდ ოჯახის მიმდინარე ხარჯებს ფარავს.

**- რომელი შეკვეთა შეასრულეთ ყველაზე კარგად.**

- "ვულე ვუ"-ს მაღაზიათა ქსელის ფრანგული პარფიუმერიის შესახებ ჟურნალი დავბეჭდეთ, რომელიც საქართველოში გავრცელდა.

## მბეჭდავი



**გურამ არბოლიშვილი. ფირმა "რეზონის" მბეჭდავი.**

**- რამდენი წლის ხარ?**

- 27-ის. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

**- ვისთან ერთად ცხოვრობ?**

- ორი წელია, დავოჯახდი. თავიდან მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი, მოგვიანებით საცხოვრებლად კიევში გადავედი. აქ დაბრუნების შემდეგ მშობლებისგან დამოუკიდებლად ყოფნა გადავწყვიტე, ბინა დავიქირავე, სადაც ახლა მეუღლესთან და შვილთან ერთად ვცხოვრობ.

**- კიევში რას აკეთებდი და კვლავ საქართველოში დაბრუნება რატომ გადაწყვიტე?**

- მბეჭდავად ვმუშაობდი. ყოველთვიური ანაზღაურება თითქმის იგივე იყო, რაც ახლა მაქვს, სამაგიეროდ, ბინის ქირას ძალიან ძვირს ვიხდიდი. გარდა ამისა, ჩაწერის პრობლემაც ვერ გადავწყვიტე. შვიდი თვის წინ თბილისში დავბრუნდი და იმ ფირმაში გავაგრძელე მუშაობა, სადაც ახლა ვარ.

**- პირველი ნაბიჯები მბეჭდავის პროფესიის ასათვისებლად როგორ გადადგი?**

- ახლობელს სტამბა ჰქონდა. სამუშაოს ვეძებდი, მან შემომთავაზა, მბეჭდავად დამეწყო მუშაობა. დავთანხმდი. გავეცანი ამ საქმეს და უცებ ავითვისე. მაშინ ვფიქრობდი, რომ ბეჭდვა ვიცოდი, მაგრამ ვცდებოდი. ამას მაშინ მივხვდი, როცა ფირმა "შარავანდედში" გადავედი სამუშაოდ. ფაქტობრივად, ბეჭდვა ამ ფირმაში ორი წლის მუშაობის შედეგად ვისწავლე. თავდაპირველად ხელფასი 130 ლარი მქონდა, რამდენიმე თვეში მომიმატეს.

**- და რა თვისებები გამოამჟღავნე ამისთვის?**

- სამსახურში არ ვაგვიანებდი. თუ საჭირო იყო, ღამეც ვრჩებოდი. თანაც, ხარისხიანად ვბეჭდავდი.

**- ამ ხელობის ათვისებისთვის რა თანხა დახარჯე?**

- სწავლაში არაფერი გადამიხდია, პროფესიას მუშაობის პარალელურად დავეუფლე. თუ ნიჭი გაქვს, პროფესიის ათვისება ადვილია.

**- ბეჭდვის საქმეს რაიმე განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება?**

- დიახ. უნდა გრძნობდე, რასაც ბეჭდავ. ამის გარეშე დაკვეთას ხარისხიანად ვერ შეასრულებ.

**- ახლა შენი ყოველთვიური ანაზღაურება 400 ლარია. რაში ხარჯავ ამ თანხას?**

- შვიდი თვის განმავლობაში ტელევიზორისა და მაცივრის განვადებით შესყიდვა მოვახერხე.

**- და ამისთვის სესხი რომელი ბანკიდან აიღე და რომელი ფირმის ტექნიკა შეიძინე.**

- "საქართველოს ბანკის" სესხით ვისარგებლე და "სამსუნგის" ფირმის ტექნიკა შევიძინე. სესხის დასაფარად ყოველთვიურად 156 ლარს ვიხდი, ამას ემატება ბინის ქირა 100 ლარი და ოჯახის ყოველთვიური მიმდინარე ხარჯები.

**- ასე რომ, ფულის დაზოგვას ვერ ახერხებთ?**

- ჯერჯერობით, ვერა. ახლობელი იტალიიდან მოწვევას გვიკეთებს. გასული წლის ზაფხული კიევში სტამბასთან გავატარე, წელს ძალიან მინდა დასასვენებლად წასვლა. მაგრამ ამისთვის, ალბათ, ბანკიდან სესხის აღება მომიწევს.

**- შენი მეუღლეც რომ მუშაობდეს, ალბათ, ოჯახის შემოსავალი გაიზრდებოდა. ძიძის დაქირავებას ხომ არ აპირებთ?**

- ძიძას ბავშვს ვერ ვანდობ, მას დედაზე კარგად ვერავინ გაზრდის.

**- დღემდე 400 ლარი ნორმალურ შემოსავლად ითვლება. ალბათ, ფინანსურად ახლობლებსაც ეხმარები.**

- მშობლებს ვეხმარები. ჩემი ორი ძმიდან ერთი ჯარში მსახურობს, მეორემ სამი თვის წინ ამ ფირმაში დაიწყო მუშაობა.

**- პროფესიული დონის ამაღლებას, პრაქტიკის გარდა, თეორიული სწავლაც სჭირდება. შენ ამას როგორ ახერხებ?**

- ძირითადად, სპეციალურ ლიტერატურას ვკითხულობ. ამ ეტაპზე ვერც მე ვახერხებ და არც ფირმას აქვს ფინანსური საშუალება, რომ მბეჭდავები თუნდაც რამდენიმე კვირით სასწავლო კურსებზე გაგვიშვას. ჩემი და ანდროს ოცნებაა, 2008 წელს გერმანიაში გამართულ გამოფენაზე მოვხვდეთ, სადაც "ჰაიდენბერგის" ყველა მოდელის მანქანა-დანადგარების გამოფენა გაიმართება.

# ნავთობის ფასმა ისევ დაიწია


ალი ალ ნაიმი


რაფაელ რამირესის და უგო ჩავესის შეხვედრა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე “შავი ოქროს" ფიუჩერსებზე ფასის კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 70,7 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 70,5 დოლარი-ბარელამდე გაიაფდა.

ექსპერტთა განცხადებით, ამის მიზეზი საწვავზე მოთხოვნილების შემცირებაა, რაც, თავის მხრივ, ძალიან გაზრდილმა ფასებმა განაპირობა. საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრი ალი ალ ნაიმიმ, რომელმაც ამას წინათ ნავთობის გაძვირების ტენდენციის 2010 წლამდე შენარჩუნება ივარაუდა, სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა. მისი თქმით, ნავთობზე ფასების ზრდა ძალიან მალე შეჩერდება, რადგან განვითარებული ქვეყნები ენერგიის ახალ წყაროს მიაგნებენ. მინისტრმა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიმწოდებლებს ურჩია, ენერგორესურსებზე მოთხოვნილების ზრდის იმედი აღარ ჰქონდეთ.

ალი ალ ნაიმის ვენესუელელმა კოლეგამ რაფაელ რამირესმა კი საწინააღმდეგო პროგნოზი გააკეთა და არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის ფონზე ნავთობის ფასის კვლავინდებური ზრდა იწინასწარმეტყველა. მისი თქმით, ოპეკის ქვეყნებს არ შეუძლიათ ბაზრისათვის მეტი ნავთობის მიწოდება და “შავი ოქროს" გაძვირებისათვის ხელის შეშლა.

ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა კი განაცხადა, რომ აშშ-ს მიერ ირანის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყებას ბარელი ნავთობის 100 დოლარამდე და კიდევ მეტად გაძვირება მოჰყვება. ჩავესის თქმით, საბრძოლო ოპერაციის დაწყებისთანავე ირანი ისრაელს დაარტყამს, რასაც მთელ ახლო აღმოსავლეთში ურთულესი სიტუაციის შექმნა მოჰყვება. ხოლო თუ აშშ ირანის წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებს, ჩავესის აზრით, ნავთობი გაიაფდება.

თავის მხრივ, ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ყაზახეთს და აზერბაიჯანს შორის კასპიის ზღვის ფსკერზე გავლით ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვა. თეირანის უკმაყოფილების ოფიციალური მიზეზი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაა, თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, ირანს აღნიშნული პროექტის მის გარეშე განხორციელება აღიზიანებს.

## Citibank-მა მოტყუებული კლიენტების ინტერესები დააკმაყოფილა

ფინანსური კორპორაციის Citogroup-ის იაპონურმა ფილიალმა თავის კლიენტებს დაკარგული სახსრები დაუბრუნა. იაპონურ Citibank-ში კომპიუტერულ სისტემაში მომხდარმა შეფერხებებმა კლიენტების დაზარალება გამოიწვია. Citibank Japan-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დღეს, ყველა შეცდომა აღკვეთილია და ის თანხები, რომელიც ბანკმა კლიენტების ანგარიშებიდან უკანონოდ მოხსნა, მფლობელებს უკან დაუბრუნდათ. მაგალითად, კლიენტებს ბანკმა 70 000-იანი ზარალი აუნაზღაურა. აღნიშნული თანხა მათ კომუნალური გადასახადებისგან გაათავისუფლებს. თუმცა ბანკი კლიენტების დაკარგულ მთლიან თანხას არ აკონკრეტებს. დარღვევა სისტემაში 2-დან 8 მაისამდე გრძელდებოდა, რამაც საკრედიტო ანგარიშებიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის დოლარებსა და იენებზე იმოქმედა. საერთო ჯამში, ბანკმა 275 ათასი არასწორი ოპერაცია განახორციელა. ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთი ანგარიშიდან თანხა ორჯერ მოიხსნა. იყო შემთხვევები, როცა მოხსნილი თანხები საბანკო ამონაწერებში საერთოდაც არ დაფიქსირებულა. Citibank-ის იაპონურ ფილიალს აღნიშნულმა გაუგებრობამ იაპონიის მაკონტროლებელ ორგანიზაციებთან საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ჯერ კიდევ 2006 წლის აპრილში, ფინანსური მომსახურების სააგენტომ Citibank Japan-ი საბუღალტრო ანგარიშების გაყალბებასა და აფიორაში დაადანაშაულა. უფრო ადრე, 2004 წელს ამ სააგენტომ Citigroup-ის ამ იაპონურ ფილიალს მდიდარ კლიენტებთან მომსახურების ლიცენზია ჩამოართვა. ამის შედეგად, Citibank-ის გენერალური დირექტორი დუგლას პიტერსონმა იაპონიის ფინანსურ კომიტეტს ბოდიშიც კი მოუხადა. ამ ყოველივეს კი ბანკის 14 მენეჯერი ემსხვერპლა. გენერალურმა დირექტორმა ისინი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

## R.J Reinolds Tobacco 5 მილიონ დოლარს იხდის

კომპანია R.J Reinolds Tobacco-ს კალიფორნიის შტატის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ 5 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. სიგარეტის მწარმოებელი ეს კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში სიდიდით მეორეა. შეთანხმების საფუძველზე, სიგარეტის მწარმოებელი კომპანია R.J Reinolds Tobacco საზოგადოებრივი ღონისძიებებისთვის 3,1 მილიონს და თამბაქოს საწინააღმდეგო ორგანიზაციებს კი ერთ მილიონ დოლარს გადაუხდის. დანარჩენი 900 ათასი კი სასამართლო დანახარჯებს მოხმარდება. უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს ბიზნესში მსგავსი ბრძოლები ამერიკის შეერთებულ შტატებში იშვიათ მოვლენას ნამდვილად არ წარმოადგენს. ცნობილია მრავალი ფაქტი, როცა თამბაქოს მწეველებს, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის სანაცვლოდ სიგარეტის მწარმოებელი კომპანიებისთვის მილიონობით დოლარი წაურთმევიათ. იმ კომპანიებს შორის, რომლებიც სასამართლოში მოხვედრილან, არიან ისეთი სერიოზული მწარმოებლებიც, როგორიცაა Altira Group, Lorillad Tobacco, Brown, Williamson და Liggett Group.

## Yahoo -მ კონტექსტური რეკლამის სისტემა შეიმუშავა

Yahoo კონტექსტური რეკლამის ახალ ვერსიაზე მუშაობს. Yahoo თავისი საქმიანობით მთავარი კონკურენტების, კომპანია Microsoft-ისა და Google-ის წინააღმდეგ მოქმედებს. ცოტა ხნის წინ, კომპანია Microsoft-ი MSN-ის ბაზაზე კონტექსტური რეკლამის შექმნის იდეაზე საჯაროდ დაიწყეს საუბარი.

კონტექსტური რეკლამის ახალი სისტემით, Yahoo მომხმარებელს რეკლამის ბევრად უფრო ეფექტურად განთავსების საშუალებას მისცემს. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის, სტეფან ტეილორის აზრით, კონტექსტური სარეკლამო სისტემა კომპანიას კლიენტების მოზიდვაში დაეხმარება. ამასთან, არცთუ ისე დიდი სარეკლამო ბიუჯეტით.

კომპანია Google-მა თავის დროზე, საკუთარი კონტექსტური სარეკლამო სისტემა Overture-ს იდეების კოპირებით შეიმუშავა. სტეფან ტეილორის თქმით, კომპანია ეძებს გზებს, რომ კონტექსტური რეკლამის ბაზარზე წამყვანი პოზიციები კიდევ უფრო გაიმყაროს. ამასთან, Yahoo რეკლამისშემქმნელებს 420 მილიონიან აუდიტორიასთან აკავშირებს.

აღსანიშნავია, რომ Yahoo-ს ძველი კონტექსტური სარეკლამო სისტემა სირთულიდან გამომდინარე არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. ახალ ვერსიაში, კი ძირითადი აქცენტი სწორედ რომ მის სიმარტივეზე კეთდება.

# ჩინეთის ბანკების წინააღმდეგ ამერიკა გარკვეულ სანქციებს მიიღებს

ამერიკის შეერტებული შტატები ჩინეთის ბანკების წინააღმდეგ სადამსჯელო სანქციების შემოღების საკითხებს განიხილავს. ამერიკის განრისხება იმ ბანკებმა დაიმსახურეს, რომლებიც კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანიზაციებსა და კომპანიებთან ახორციელებენ ოპერაციებს. ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ ეს ბანკები მასობრივი განადგურების იარაღისა და სარაკეტო ტექნოლოგიების გავრცელებაში მონაწილეობენ.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბანკების წინააღმდეგ სანქციები პრეზიდენტ ბუშის მიერ, გასული წლის ივნისის ბრძანების საფუძველზე გაიცემა. აღნიშნული ბრძანების ამოქმედების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია შეძლებს განახორციელოს დევნა იმ ფიზიკური და იურუდიული პირების წინააღმდეგ, რომლებიც საქმიან ურთიერთობაში არიან ირანის, სირიის და კორეის სახალხო რესპუბლიკის მთელ რიგ კომპანიებისა და უწყებების წინააღმდეგ. ამასთან, სანქციები არ გამორიცხავს საბანკო ანგარიშების გაყინვასაც. სანქციები 11 ჩრდილოკორეული კომპანიის წინააღმდეგ უკვე გაცემულია. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის “მკაცრი პოლიტიკის” წარმომადგენლები აღნიშნულ სანქციებს ეფექტურს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ამ გზით, მათ ჩინეთის და ევროპის ზოგიერთ ბანკს კორეის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის თითქმის ყველა გზა მოუჭრეს.

ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს ზომები ფხენიანზე გარკვეულ ზეწოლას მოახდენს. უნდა აღინიშნოს, რომ ფხენიანი ჩინეთთან, იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად უკვე ნახევარი წელია, რაც კორეის ნახევარკუნძულზე ატომური პრობლემის მოგვარების საკითხებზე მოლაპარაკებებისგან თავს იკავებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი მაკაო ბანკის წინააღმდეგ სანქციები უკვე გასცა. აღნიშნული ბანკი “ფულის გათეთრებასა” და ფალსიფიცირებული დოლარების გამოშვებაშია შემჩნეული. ბუშის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ აღნიშნული ფინანსური მაქინაციები ბანკმა კორეის სახალხო რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე აწარმოა.

# პროკრედიტ ბანკმა თბილისში კიდევ ერთი ფილიალი გახსნა






პროკრედიტ ბანკმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე მომსახურების კიდევ ერთი ცენტრი გახსნა. დღესდღეობით, პროკრედიტ ბანკს საქართველოში 26 ფილიალი აქვს, თბილისში კი თოთხმეტი ფილიალი მოქმედებს.

ამასთან ერთად, პროკრედიტ ბანკის აქციონერთა კრებაზე კიდევ ერთი საკითხი გადაწყდა. ბანკის ქართული ფილიალების ქსელისა და ბიზნეს სესხების პორტფელის ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, აქციონერებმა მისი შემდგომი განვითარების მიზნით, ბანკის საწესდებო კაპიტალი 9 მილიონი ლარით გაზარდეს. ამ ეტაპზე პროკრედიტის კაპიტალი 42,4 მილიონ დოლარს შეადგენს.

“ჩვენთვის მთავარი ნდობის მანდატია. მოსახლეობასთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით ჩვენ მომსახურებას კიდევ უფრო მასშტაბურს ვხდით. პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალი მოსახლეობას ხელმისაწვდომ ბიზნეს სესხებსა და მარტივ შემნახველ ანაბრებს სთავაზობს”. - განაცხადა პროკრედიტ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ფილიპ ზიგვარტმა.

პროკრედიტ ჰოლდინგის საბანკო ქსელები მსოფლიოს 19 ქვეყანაში საკმაოდ დიდი წარმატებით მუშაობს. ამ მხრივ არც საქართველო ჩამორჩება. აქციონერები ბანკის ქართული ფილიალის საქმიანობას დადებითად აფასებენ და არსებული ბიზნეს გარემოთიც კმაყოფილნი არიან. “საქართველო პროგრესული ქვეყანაა. პოლიტიკური სირთულეების მიუხედავად აქ მუშაობა ნამდვილად ღირს. თუ ქვეყანამ აღებულ კურსს არ გადაუხვია, საქართველო სულ მალე განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწევს. რაც შეეხება ბიზნეს გარემოს, საკმაოდ სტაბილურია, რაც ჩვენი ბანკის საქმიანობაზეც აისახება. ჩვენ გვწამს, რომ საქართველო ყველა ღონეს იხმარს, რათა ბიზნესი სტაბილურობიდან კიდევ უფრო მაღალი საფეხურებისკენ დაიძრას”.- აცხადებს პროკრედიტ ჯორჯიას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დორინ კოენი.

გასულ კვირას პროკრედიტ ბანკმა ხაშურშიც გახსნა ფილიალი. მაისის ბოლოსთვის კი მომსახურების ცენტრები თელავსა და რუსთავშიც გაიხსნება.

## აშშ-ს ბირჟაზე კლება დოლარის კურსის ვარდნის ფონზე გაგრძელდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გასული კვირის ბოლოს დაფიქსირებული ძირითად ინდექსთა კლების ტენდენცია გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა დოლარის კურსის ვარდნამ.

პირველად უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში 1 დოლარი 110 იაპონურ იენამდე და პირველად 12 წლის განმავლობაში 8 ჩინურ იუანემდე გაიაფდა. მართალია, სრულიად ახლო წარსულში ინვესტორები იმედოვნებდნენ, რომ დოლარის კურსის ვარდნა ამერიკულ ექსპორტს იაფს, ანუ მიმზიდველს გახდიდა, მაგრამ უკვე ინფლაციის სერიოზული საშიშროებაა.

გარდა ამისა, საფონდო ინდექსებზე გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის კლებამ, რასაც მსხვილი ნავთობკომპანიების აქციების კურსის დაცემა მოჰყვა.

საბოლოოდ, Dow Jones Index-მა 0,11 პროცენტით, 11.368,90 პუნქტამდე მოიკლო. 0,28 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.237,39 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,16 პროცენტით, 1.289,19 პუნქტამდე შემცირდა.

## ამერიკა აზიურმა ავტომობილებმა წალეკა

ამერიკელი ავტომშენებლები აზიელ კონკურენტებთან ბრძოლაში საკუთარ, მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ, ჩრდილოამერიკულ ბაზარზე მარცხდებიან. მიმდინარე წლის აპრილში ამერიკული ავტოგიგანტების General Motors-ის და Ford Motors-ის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვების მოცულობა, შესაბამისად, 7 და 3 პროცენტით შემცირდა. იმავე მაჩვენებელმა DaimlerChrysler-ის შემთხვევაში 4 პროცენტით მოიკლო.

ამავე დროს, აპრილში ჩრდილოამერიკულ ბაზარზე იაპონური Toyota Motor-ის და Honda Motor-ის გაყიდვების მოცულობა, შესაბამისად, 9 და 6,5 პროცენტით გაიზარდა. Toyota-ს დიდი წარმატება ჩრდილოამერიკულ ბაზარზე ძალზე პოპულარული მოდელის Camry განახლებული ვერსიის გაყიდვის დაწყებამ განაპირობა, Honda-მ კი ახალი, კომპაქტური და ეკონომიური Fit წარმოადგინა.

ექსპერტთა ვარაუდით, ჩრდილოამერიკულ ბაზარზე იაპონელი და კორეელი ავტომწარმოებლების ექსპანისა გაგრძელდება, რაც, რა თქმა უნდა, ადგილობრივ მანქანათმშენებლებს ძალიან დააზარალებს.

## Total-ს ბოლივიაში ნებისმიერი პირობით მუშაობა არ სურს

გუშინ ფრანგული ნავთობგიგანტის Total-ის გენერალურმა დირექტორმა ტიერი დემარემ განაცხადა, რომ კომპანია ბოლივიაში “ნებისმიერი პირობით" მუშაობას არ აპირებს. ეს 1 მაისს ბოლივიის პრეზიდენტის ევო მორალესის მიერ გამოცხადებული ქვეყნის ენერგორესურსების ნაციონალიზაციის შემდეგ Total-ის პირველი ოფიციალური განცხადებაა.

კომპანიის თავკაცის თქმით, ბოლივიაში ბუნებრივი აირის ორი მნიშვნელოვანი საბადოს აღმოჩენით, Total-მა ქვეყნის გამდიდრებაში დიდი წვლილი შეიტანა და მათი ექსპლოატაციით ბოლივიას კიდევ მეტ ხეირს მოუტანს. მაგრამ კომპანია ამას მისთვის მიუღებელი პირობებით არ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ კომპანია Total-ს ეკუთვნის ბოლივიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გაზის საბადოების აქციების 15 პროცენტი. მორალესის მიერ გამოცხადებული ქვეყნის ენერგორესურსების ნაციონალიზაცია, ფრანგული გიგანტის გარდა, კიდევ 26 მსხვილ უცხოურ კომპანიას აზარალებს.

## ისრაელი გაზპრომს გაზსადენის გაყვანას სთავაზობს

ისრაელის ინფრასტრუქტურის სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა ელი რონენმა “გაზპრომის” ხელმძღვანელობას თანამშრომლობის ინიციატივით მიმართა. თანხმობის შემთხვევაში, კომპანია “გაზპრომი” თურქეთ-ისრაელის დერეფნის ჩარჩოებში, მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობას დაიწყებს. გაზსადენის გამტარიანობა წელიწადში 2,5 მილიარდი კუბური მეტრი აირი იქნება.

კონტრაქტის საფუძველზე კი ისრაელის ხელისუფლება რუსეთის მხარისგან ბუნებრივი აირის ფიქსირებულ ტარიფს მოითხოვს. ამასთან, ტარიფს ისრაელის ხელისუფლება 7 წლის ვადით განსაზღვრავს. თუმცალა, მხარეებს შორის რამდენიმე საკითხი კიდევ გადასაწყვეტია, რის გამოც შეთანხმება ძალაში ჯერ არ შესულა. ისრაელის დელეგაციის სურვილია, რომ მშენებლობა კომპანია Bateman Ingineering-მა აწარმოოს, “გაზპრომი” კი თავის მხრივ აქცენტს კომპანია Troistransgaz-ზე აკეთებს. მხარეებმა კონსესუსს ჯერ ვერ მიაღწიეს. მოლაპარაკებების შემდგომი რაუნდის თარიღი კი ჯერ ცნობილი არ არის. ამ ეტაპზე, ისრაელს ბუნებრივი აირით ამერიკული კონსორციუმი Yam Thetis Eastern და კომპანიაMediterranean Gas ამარაგებს. ეს უკანასკნელი კი აპირებს, რომ ტარიფი 126 დოლარამდე გაზარდოს. ისრაელის მხარე კი, თავის მხრივ, აირის უფრო იაფ მიმწოდებელს ეძებს.

ჯერ კიდევ 2 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაზსადენი “Goluboi Patok” შესაძლოა, ისრაელამდეც მივიდეს. ამის შემდეგ კი ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ოლმერტმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მხარეები ურთიერთშეთანხმებას მიაღწევენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაზსადენი “გაზპრომის” საექსპორტო პროექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია.

### ენერგოპრივატიზაციის სტარტი

დღეიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ქვეყნის ცხრა ენერგოობიექტზე საპრივატიზაციო განაცხადების მიღებას დაიწყებს. პირველი მათგანი - სააქციო საზოგადოება "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა N16 ა-ში მდებარეობს და 30 მილიონ დოლარად არის შეფასებული. მეორე ობიექტი - შპს "აჭარის ენერგოკომპანია" ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩა N103-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 5 მილიონი დოლარი.

საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაშია სააქციო საზოგადოება "კახეთის ენერგოდისტრიბუციაც", რომელიც თელავში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 2 მილიონ დოლარს შეადგენს. ამავე სიაშია ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთში არსებული ჰიდროელექტროსადგური "აწჰესი". იგი 4 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

პრივატიზაცია შეეხება თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში მდებარე ჰიდროელექტროსადგურ "ძევრულჰესს". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი. ასევე გაიყიდება ტყიბულში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "შაორჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 12 მილიონი დოლარი.

საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა ჰიდროელექტროსადგური "გუმათჰესების კასკადი". იგი ქუთაისში, გუმათის მარცხენა დასახლებაში მდებარეობს და 12 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

იყიდება ცაგერის რაიონის სოფელ ალპანაში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "ლაჯანურჰესიც". მისი საწყისი გასაყიდი ფასი 26 მილიონი დოლარი. საპრივატიზაციოდ არის გამოტანილი ასევე ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის N5-ში მდებარე ჰიდროელექტროსადგური "რიონჰესი". მისი საწყისი გასაყიდი ფასია 14 მილიონი დოლარი.

ზემოთ ჩამოთვლილი ცხრავე ენერგოობიექტი კონკურსის წესით, 16 ივნისს გაიყიდება. მათი შესყიდვის მსურველთა საპრივატიზაციო განაცხადები ეკონომიკის სამინისტროში 16 მაისიდან მიიღება. **მედიანიუსი**

### გლეხებს ვენახის დაზღვევა სადაზღვევო კომპანიებში შეუძლიათ

მევენახეობაში დასაქმებულ გლეხებს საკუთარი ვენახის დაზღვევა მხოლოდ სეტყვაზე სადაზღვევო კომპანიაში შეუძლიათ. თუ სეტყვა დაზღვეული ვენახის 10 პროცენტს გაანადგურებს, გლეხს უფლება არ ექნება, სადაზღვევო კომპანიას 10 პროცენტით დასეტყვილი ვენახის შესაბამისად კომპენსაცია მოსთხოვოს.

სადაზღვევო კომპანიის აგრო-ექსპერტი შეაფასებს სტიქიისგან მიყენებულ ზარალს და, შესაბამისად, მოხდება კომპენსაციის გაცემაც, თუ ვენახის 50 პროცენტი დაისეტყვა, კომპანია მხოლოდ 40 პროცენტის ზარალს ანაზღაურებს. ერთ ჰექტარზე გაშენებულ ხუთი წლის ვენახს, რომელიც დაახლოებით 4 ტონა მოსავალს იძლევა, სადაზღვევო კომპანია "იმედი" 4 ათას ლარად აზღვევს, გლეხის მიერ გადახდილი თანხის 8 პროცენტი სადაზღვევო კომპანიას რჩება.

"იმედის" წარმომადგენლის კახა ხაშილაძის განცხადებით, სხვადასხვა რეგიონში სადაზღვევო კომპანიას დაზღვევისთვის შესაბამისი ტარიფები გააჩნია. ვენახი არ იზღვევა სხვა სტიქიურ მოვლენებზე, რაც კიდევ უფრო ამძიმებს გლეხის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ხილ-ბოსტნეული შესაძლოა არ გაიაფდეს

საქართველოს რეგიონებში ბოლო დროს გახშირებულმა ძლიერმა წვიმამ საზაფხულო-საშემოდგომო ნათესების დიდი ნაწილი გაანადგურა, რამაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ქვეყნის სავაჭრო ობიექტებში, შარშანდელთან შედარებით, ხილ-ბოსტნეულზე ფასები მნიშვნელოვნად არის მომატებული. ამჟამად 1 კგ პომიდვრის ღირებულება 3,5 ლარამდე მერყეობს, კიტრის - 2-დან 2,5 ლარამდე, მარწყვის ფასი კი კვლავ 2 ლარს აღემატება.

უამინდობის გაგრძელების შემთხვევაში, ხილ-ბოსტნეულზე მაღალი ფასები ზაფხულის განმავლობაშიც შენარჩუნდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჯერჯერობით ვერ ასახელებენ, სოფლის მეურნეობის მოსავლის რა რაოდენობა გაანადგურა სტიქიამ.

"სამტრესტის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ქეთევან ჟღენტის განცხადებით, "კახეთის რეგიონი სტიქიამ მნიშვნელოვნად დააზარალა. ამ ეტაპზე ყურძნის მოსავლის რაოდენობის პროგნოზირება შეუძლებელია. კახეთის ყველა რაიონში ზარალის დამთვლელი კომისიები მუშაობს. თუ რა რაოდენობის ვაზის გამოცოცხლება გახდება შესაძლებელი, ეს არანაკლებ ერთი კვირის ვადაში გაირკვევა. ახლა გაკეთებული ნებისმიერი ჩვენი განცხადება ნაჩქარევი იქნება". **მედიანიუსი**

### ამინდი

| | 16/05 | 17/05 | 18/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 22 | 18 | 20 |
| რიგა | 11 | 13 | 12 |
| ვილნიუსი | 8 | 8 | 15 |
| მოსკოვი | 14 | 7 | 11 |
| მინსკი | 14 | 16 | 12 |
| პარიზი | 18 | 19 | 21 |
| რომი | 26 | 26 | 27 |
| ლონდონი | 18 | 18 | 18 |
| მადრიდი | 31 | 31 | 26 |
| ბონი | 21 | 22 | 19 |
| ვარშავა | 17 | 18 | 19 |
| ათენა | 25 | 23 | 26 |
| ბერნი | 20 | 25 | 20 |
| ამსტერდამი | 17 | 16 | 15 |
| ოსლო | 7 | 15 | 11 |
| ანკარა | 22 | 23 | 24 |
| ვარნა | 26 | 22 | 27 |
| დელი | 51 | 48 | 42 |
| ტოკიო | 22 | 23 | 25 |
| კოპენჰაგენი | 13 | 11 | 6 |
| ბაქო | 25 | 26 | 26 |
| ერევანი | 30 | 25 | 31 |
| ასტანა | 19 | 15 | 17 |
| ჰელსინკი | 8 | 7 | 9 |
| დუბლინი | 12 | 12 | 10 |
| ლისაბონი | 29 | 29 | 24 |
| პრაღა | 15 | 20 | 15 |
| სოფია | 25 | 25 | 25 |
| ბუდაპეშტი | 25 | 24 | 25 |
| ბუხარესტი | 29 | 26 | 28 |

# “პირველი საბროკერო“

## უძრავი ქონების პირველი ქართული ბროკერი

პირველი გვერდიდან



ირაკლი ყაჭეიშვილი

დედაქალაქში არსებული მშენებლობის ფონზე მომხმარებელს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება. წლების განმავლობაში უძრავი ქონების შეძენა, როგორც წესი, ნაცნობების ან უძრავი ქონების აგენტების, ეგრეთ წოდებული "მაკლერის" საშუალებით ხდებოდა და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ხშირია უძრავი ქონების რამდენიმე მფლობელზე გაყიდვის თუ დაგვიანების ფაქტები, შედეგად მომხმარებელი მოტყუებული და უკმაყოფილო რჩება.

თანამედროვე მსოფლიოში უამრავი ბიზნეს ორგანიზაცია არსებობს და თითოეული მათგანი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, განსხვავებული პროდუქტებისა თუ მომსახურების საშუალებით, ცდილობს ადამიანის ცხოვრება უფრო სასიამოვნო და საინტერესო გახადოს. XXI საუკუნის კომპანიების საქმიანობა მიმართულია მომხმარებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისა და კომფორტის უმაღლესი ხარისხის შექმნისაკენ. ამიტომ თუ გადაწყვიტეთ უძრავი ქონების შეძენა, გაყიდვა თუ გაქირავება, სჯობს ამის განსახორციელებლად პროფესიონალურ საბროკერო კომპანიას მიმართოთ, სადაც ურთიერთობის ფორმები გაცილებით ცივილურია.

დასავლეთში, საქართველოსაგან განსხვავებით, უძრავი ქონების - საცხოვრებელი თუ საოფისე ფართი, მიწის ნაკვეთი თუ სხვა - რეალიზაცია, როგორც წესი, საშუამავლო ორგანიზაციების მონაწილეობით ხდება. იქ არ არსებობს თავად მენაშენეების ან მფლობელების მიერ უძრავი ქონების გაყიდვის პრაქტიკა, რაც განპირობებულია ორი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო: ერთის მხრივ, საბროკერო კომპანიების მომსახურებით რეალიზატორი ახდენს მნიშვნელოვანი დროითი თუ სხვა სახის რესურსების დაზოგვას, მეორეს მხრივ კი მყიდველს საშუალება ეძლევა უმოკლეს დროში შეარჩიოს უძრავი ქონების ოპტიმალური ვარიანტი, რადგან უძრავი ქონების ბროკერი არ არის მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის აგენტი, არამედ მისი უმთავრესი ფუნქცია იმ კონსულტაციურ მომსახურებაში მდგომარეობს, რომელსაც იგი უწევს ნებისმიერ კლიენტს.

დღესდღეობით მსგავსი სერვისის მოთხოვნილება ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა, რასაც თავისი ნოვატორობით ცნობილმა "საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ" ("ჯიარდისი") უპასუხა, რომელმაც ჩამოაყალიბა საშუამავლო კომპანია **"პირველი საბროკერო"**. მაღალი დონის მომსახურება, თბილი გარემო და მაღალკვალიფიციური კონსულტაციები, ეს ის რეალობაა, რასაც "პირველ საბროკეროში" მისვლისთანავე იგრძნობთ.

"დღეს უძრავი ქონების ბაზარი იმდენად დიდია, რომ წინ უსწრებს მოთხოვნას. ხშირ შემთხვევაში ამ პრობლემის მიზეზი კომპანიების არასწორი გაყიდვების პოლიტიკა იყო, რაც ზოგიერთ კომპანიაში გამოცდილი კადრების არარსებობით ხსნიან. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ "პირველი საბროკერო" არ არის ადრე არსებული სამაკლიერო კომპანიის მსგავსი, ეს იქნება სრულიად განსხვავებული, დასავლურ პრინციპებს მორგებული კომპანია, რომელიც პოტენციურ კლიენტებს დაეხმარება არამხოლოდ ქონების რეალიზაციაში, არამედ გაუწევს მაღალი დონის კონსულტაციებს, რომელიც ამ ბიზნესის თანმდევი ელემენტია და ორიენტირებული იქნება მათ ინტერესებზე. საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ჩვენ ვიქნებით პირველები, რომელიც ამ ბიზნესისთვის დამახასიათებელ დასავლურ მიდგომებს დანერგავს და პროფესიონალურ მომსახურებას შესთავაზებს მომხმარებელს", - კომპანიის გეგმებზე გვესაუბრება "პირველი საბროკეროს გენერალური დირექტორი ირაკლი ყაჭეიშვილი.

**- ვინ იქნება თქვენი მომხმარებელი?**

- მართალია კომპანიის აქცენტი და სეგმენტი კორპორაციულ კლიენტებზეა გათვლილი, მაგრამ თუ რომელიმე კერძო პირი დაინტერესდება ჩვენი მომსახურებით, მზად ვართ დახმარების ხელი გავუწოდოთ. კომპანიის მიზანია მისცეს სწორი მიმართულება კლიენტს, რათა მან ეფექტური გადაწყვეტილება მიიღოს. სწორედ ეს არის საბროკერო კომპანიის ხიბლი. "პირველი საბროკეროს" ერთ-ერთი მსხვილი კლიენტი "ჯიარდისი" იქნება. თუმცა უარს არ ვიტყვით სხვა დეველოპერული კომპანიის მომსახურებაზეც.

"დასავლეთის უძრავი ქონების ბაზარზე უამრავი საშუამავლო კომპანიია, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. მოლაპარაკება გვაქვს რამდენიმე ევროპულ კომპანიასთან, ჩვენი სურვილია გავხდეთ მათი ასოცირებული წევრები, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად მოვემსახუროთ კლიენტს, დავნერგოთ ახალი სერვისები, გადმოვიღოთ მათი გამოცდილება, რომელიც რამდენიმე ათეულ წელს ითვლის და მათი სიახლეები შევთავაზოთ ჩვენს ბაზარს. ამ კომპანიებთან ურთიერთობა საშუალებას მოგვცემს უფრო მოქნილები გავხდეთ, ამასთან ჩვენი თანამშრომლები გაემგზავრებიან საზღვარგარეთ და გაივლიან სტაჟირებას. ჩვენი მიზანია გავხდეთ ლიდერები, არამხოლოდ დავეხმაროთ კლიენტს ქონების რეალიზაციაში, არამედ ნებისმიერ დროს გავუწიოთ მათ ფინანსური თუ იურიდიული კონსულტაცია და ასე შემდეგ", კომპანიის პერსპექტივებზე მიანიშნებს ირაკლი ყაჭეიშვილი და იმედოვნებს, რომ მომავალში "პირველი საბროკერო" ლიდერი საბროკერო კომპანია გახდება მთელი სამხრეთ კავკასიის მასშტაბითაც.

# "ჯიარდისი" ქართველ კინემატოგრაფებს ახალ კინოპავილიონს უშენებს



ლადო იმნაიშვილი

"კინოქალაქი" ანუ ქალაქი ქალაქში - ასე ენოდება "საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის" ("ჯიარდისი") პროექტს, რომელიც ძველი კინოპავილიონის რეკონსტრუქციას, მის ტერიტორიაზე თანამედროვე ტიპის კულტურულ-შემეცნებით-გასართობი სავაჭრო ცენტრის აშენებასა და ახალი პავილიონის მშენებლობას ითვალისწინებს, რომლის განსახორციელებლად "ჯიარდისი" 30 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

5 კინოთეატრი, გრანდკაფე, კინომუზეუმი, საფესტივალო-საკონცერტო დარბაზები, მულტეკრანიანი კინოთეატრი, - ეს იმ დიდი პროექტის ნაწილია, რომელსაც '"ჯიარდისი" ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე განახორციელებს. მშენებლობა წელს დაიწყო და წელიწადნახევარს გასტანს. პროექტი "კონოქალაქი" მორიგ სიახლესაც გვთავაზობს: დიღომში აშენდება თანამედროვე ტიპის ახალი კინოპავილიონი, რომლის პრეზენტაცია კვირის ბოლოს გაიმართება.

"პროექტი ორ ეტაპად ხორციელდება, პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ყოფილი პირველი პავილიონის რეკონსტრუქცია, რომელიც სავალალო მდგომარეობაში დაგვხვდა. მეორე ეტაპი ისეთი ობიექტების მშენებლობას ითვალისწინებს, რომელიც კინოქალაქის კონცეფციას შეავსებს, აშენდება კომერციული ცენტრები, საზაფხულო კინოთეატრები, რესტორნები, ბარები, მოეწყობა სეირნობისთვის სპეციალური ქუჩები, მოედნები, შეიქმნება უნიკალური ადგილი საერთაშორისო ფესტივალების და სადღესასწაულო მასობრივი ღონისძიებების მოწყობისთვის. აქვე იქნება თანამედროვე კინოთეატრების კომპლექსი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, ქართული კინოგაქირავების ქსელს უზრუნველყოფს. ორ წელიწადში თბილისს ევროპული ტიპის "კინოქალაქი" ექნება" - მოსალოდნელ პერსპექტივებზე საუბრობს "ჯიარდისის" წარმომადგენელი და პროექტის დირექტორი ლადო იმნაიშვილი.

**- კონკრეტულად, რას სთავაზობთ ქართულ კინემატოგრაფიას?**

- ქართული კინემატოგრაფია საბიუჯეტო დაფინანსებიდან თვითდაფინანსებაზე გადავა, რაც მის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს არის პროექტი, რომელიც კინემატოგრაფიას ჰაერივით სჭირდება. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ქართულ კინოს, და გარკვეული სტაბილური შემოსავლის წყარო შევუქმნათ. დიღმის კინოსტუდიის ტერიტორიის დიდი ნაწილი კერძო მფლობელისგან გამოვისყიდეთ. რაც შეეხება დარჩენილ ტერიტორიას, რომელიც ადრე სს "ქართულ ფილმის" საკუთრებაში იყო, დღეს მისი მესაკუთრე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული "ქართული კინოს განვითარების ფონდია", რომელთან ერთადაც ჩვენ შევქმენით ერთობლივი საწარმო სააქციო საზოგადოება "კინოქალაქი". აღნიშნულთან დაკავშირებით საბოლოო შეთანხმებას "ჯიარდისისა" და სახელმწიფოს შორის ხელი კვირის ბოლოს მოეწერება. ხელისუფლებამ გაითავისა კინოქალაქის იდეა და უარი თქვა ამ ტერიტორიების გასხვისებაზე. "კინოქალაქი" - ეს არის კინემატოგრაფიაზე დაფუძნებული კონცეფცია, რომელშიც "ჯიარდისის" ფინანსურ მექანიზმთან ერთად, ფონდი საკუთარი აქტივებით მონაწილეობს, როგორც პარტნიორი მხარე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მისი კუთვნილი ქონება არ გაიყიდება და პროექტის შემოსავლის ის ფიქსირებული ნაწილი, რომელსაც სპეციალურად პროექტისთვის შემნილი "ქართული კინოს განვითარების ფონდი" მიიღებს, ქართული კინოპროდუქციის წარმოების განვითარებას მოხმარდება. გარდა ამისა, ჩვენ პარტნიორ მხარეს ვთავაზობთ პრივილეგირებულ აქციებს, ვიდრე სს "კინოქალაქს" რეალური შემოსავლები გაუჩნდება, ვაძლევთ შანსს, ქართულ ფილმწარმოებასთან დაკავშირებული პროექტები დააფინანსოს. ფონდში გაერთიანებული არიან როგორც სახელმწიფო, ისე კინემატოგრაფიის წარმომადგენლები.

**- რა ბედი ეწევა მიხეილ თუმანიშვილის თეატრს, რომელიც ამ ტერიტორიაზეა განთავსებული?**

- მიხეილ თუმანიშვილის თეატრი შენარჩუნდება და მოხდება მისი ჩართვა "კინოქალაქის" კონცეფციაში.

**- რამ გადაგაწყვეტინათ "კინოქალაქის" მშენებლობა მაინცადამაინც ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე?**

- ეს ტერიტორია მთლიანად დაკავშირებულია კინოსთან. დღეს ეს ადგილი უფუნქციო და ცარიელია, მისი ისტორია არ იძლევა იმის უფლებას, რომ ეს ადგილი დაივიწყო. 80-იან წლებამდე ქართული ფილმების უმრავლესობა ამ კინოპავილიონშია გადაღებული. ამ ტერიოტორიაზე ბინათმშენებლობა შეურაცხმყოფელიც კი იქნებოდა. სინთეზი - შენარჩუნდეს კინოკონცეფცია და შეიქმნას თანამედროვე ტიპის კომერციული ობიექტები, რომელიც როგორც კინემატოგრაფიისთვის, ასევე ინვესტორებისთვის რეალური შემოსავლის წყარო იქნება, სახელმწიფოსთვის მისაღები აღმოჩნდა.

**- ძველი კინოპავილიონის სანაცვლოდ ქართველ კინემატოგრაფებს, საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად რა სიახლეს სთავაზობთ?**

- დიღომში, ძველი კინოსტუდიის ნაცვლად, სადაც წლების განმავლობაში ფილმის გადაღების არანაირი პირობა არ არსებობდა, აშენდა ახალი, თანამედროვე ტიპის კინოპავილიონი, სადაც ქართველი პროფესიონალები საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებას შეძლებენ. სპეციალისტების გათვლებით, ახალი კინოსტუდია ევროპულ სტანდარტებს უტოლდება. შესაბამისად, იარსებებს ბაზა იმისათვის, რომ ჩამოვიდნენ ევროპელი თუ ამერიკელი კინორეჟისორები და შექმნან პროდუქცია. კინემატოგრაფიისთვის, იმ ძველი და არაფუნქციონირებადი კინოპავილიონის სანაცვლოდ, ეს იქნება ერთგვარი კომპენსაცია. საბოლოოდ, მოძველებული შენობებიდან შეიქმნება ორი თანამედროვე ტიპის კინოცენტრი, ფილმის გადაღებისათვის - ახალი კინოპავილიონი და მისი რეალიზების ცენტრი - კინოქალაქი.

### რუსთავის მეტალურგიულ ქარხნას" უკრაინელი სპეციალისტები სწავლობენ

სს "რუსთავის მეტალურგიულ ქარხნის" ფოლადსადნობი აგრეგატის თანამედროვე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის და პროექტირების მიზნით ქარხანაში უკრაინის ორი ძლიერი კომპანიის - “Укргипромез” და “Националлная Металургическая Академия Украины” სპეციალისტები იმყოფებოდნენ. როგორც ქარხანაში განაცხადეს, უკრაინელი სპეციალისტები საქართველოში ჩამოსულნი იყვნენ ერთი კვირით და ამ პერიოდში მოამზადეს ტექნიკურ-ეკონომიკურ ანგარიში, თუ რომელი ფოლადსადნობი კომპლექსის დამონტაჟებაა სასურველი. ქარხნის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ამ ეტაპზე არჩევანი იდგა ორ ღუმელს შორის - ელექტრორკალური ღუმელი თუ ჟანგბადის კონვერტორი. აღნიშნული საქმიანობა შეადგენს ახალი ინვესტორების, კომპანია "ენერგია და ინდუსტრიას" მიერ დაგეგმილ, სს “რუსთავის მეტალურგიული ქარხნის" სარეაბილიტაციო პროცესის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს, - აცხადებენ ქარხანაში. მათივე ინფორმაციით, ინვესტორმა კომპანიამ გასულ კვირას ქარხნისათვის 200 ათასი აშშ დოლარის ღირებულების მძიმე ტექნიკა - 3 ავტომანქანა "კრაზი" და "ბულდოზერი" შეიძინა. მაისის ბოლომდე დაგეგმილია დამატებით 600 ათასი დოლარის ღირებულების ტექნიკის შეძენა. როგორც ქარხანაში აცხადებენ, აღნიშნული ტექნიკა გამოყენებული იქნება მეორადი ლითონის და წიდის გადამუშავების წარმოებისათვის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისას მიღებული დანაკარგების საკითხზე შეთანხმება შედგა

აზერბაიჯანული ნავთობპროდუქტების საქართველოში გადაზიდვები დალუქულ ცისტერნებში მოხდება, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს შპს "საქართველოს რკინიგზიდან." მათი ინფორმაციით, ამ შეთანხმებას "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ "აზერბაიჯანის სახელმწიფო რკინიგზის" ხელმძღვანელობასთან მიაღწია. ნავთობპროდუქტების გადაზიდვების დროს მიღებული დანაკარგების საკითხი "საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა" დასვა. როგორც კავშირში აცხადებდნენ, დანაკარგები ნავთობპროდუქტების გადაზიდვების დროს სისტემატურად ფიქსირდებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა მეწარმის საქმიანობაზე, პროდუქციის თვითღირებულების ზრდას და, შესაბამისად, მომხმარებლის დაზარალებას იწვევდა. განბაჟება ხდებოდა დოკუმენტში აღნიშნული და არა ცისტერნებში რეალურად არსებული ტვირთის მოხედვით. "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი" მიუთითებდა რეალურ დანაკარგებზე, რომელსაც იმპორტიორი კომპანიები ტვირთის ტრანსპორტირებისას განიცდიდნენ. მათი მონაცემებით, ცალკეულ შემთხვევებში დანაკარგები 10-15 ტონას აღწევდნენ, გადასახადების სახით კი - 10 ათას ლარს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### ბათუმის პორტი მართვაში "გრინოუქ ჯგუფს" გადაეცა

ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური 49-წლიანი მართვის უფლებით შპს "ბათუმის ნავთობტერმინალის" მფლობელ კომპანია “გრინოუქ ჯგუფს" გადაეცა. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა პარასკევს, ბათუმის ნავსადგურის სატენდერო განაცხადების პაკეტების გახსნის შემდეგ განაცხადა. ობიექტის მართვის უფლების მოსაპოვებლად საწყისი ფასი 35 მლნ აშშ დოლარი იყო, რომელიც "გრინოუქ ჯგუფმა" 92 მლნ დოლარამდე გაზარდა. კონკურსში მონაწილეობდა “ენერჯი ინვესტი", რომელიც 71,5 მილიონ დოლარს იხდიდა, “ინტერნეიშენელ კონტეინერ ტერმინალ სერვისი", რომელიც 53,8 მილიონ დოლარს სთავაზობდა სახელმწიფოს, “ტურან ალემისა" და “სილქროუდ გრუპის" ერთობლივი კომპანია “ცენტრალ ეიჯელ ლოჯისტიკი" კი მზად იყო, ნავსადგურის მართვის უფლების მოსაპოვებლად 65 მილიონი დოლარი გაეღო, “ინსტუნგ მერითაიმ ლიმითედი" 53 მილიონ დოლარს იხდიდა. ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანიასთან, სავარაუდოდ, ორ კვირაში გაფორმდება, ხოლო კომპანია 92 მილიონ დოლარს სახელმწიფოს სამ თვეში გადაუხდის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ლამაზი ფინალი და უმარილო მომავალი




C2

რონალდინიო შინ ბრუნდება



C3

ტრადიციად ქცეული ფინალი ტრადიციად ქცეული შედეგით



C4




სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15





# „სამფეროვნებს" ხუთი ფერით დავუხვდებით

## ეროვნული სტადიონის სამ თვეში აშენებას რა უნდა?



გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

*აგვისტოს შუა რიცხვებში განახლებული სტადიონი გვექნება.*

მიხეილ აბაიშვილი

სულ რაღაც სამიოდე თვეში მართლაც ევროპული სტანდარტების, მართლაც ეროვნული სტადიონი გვექნება, რომელზეც არც ერთი გრანდის, თვით ბრაზილიის მასპინძლობაც არ შეგვრცხვება. ორიენტირი ყველასთვის ცნობილია - 2 სექტემბერი. სტუმარი, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი საპატიოა - მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები. ამასთან, არავის გაუკვირდება, რომ ფრანგებმა მსოფლიო ჩემპიონატზე უმაღლესი ტიტული მოიპოვონ. თუ ასე მოხდა, მსოფლიო ჩემპიონს საქართველოში მუნდიალის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩის ჩატარება მოუწევს. ეს კი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევა. აი, ასეთ მოვლენას ველით ეროვნულ სტადიონზე, რომელსაც დღეს ნამდვილად ვერ იცნობთ.

გადათხრილი მოედანი, აყრილი სარბენი ბილიკები, ხარაჩოებში ჩასმული ტრიბუნები, მუდმივად ღია ჭიშკარი, სადაც სატვირთო მანქანების მოძრაობა ერთი წუთითაც არ წყდება, როგორც მოედანზე, ისე ტრიბუნებზე და სახურავზე მომუშავე ასობით მშენებელი... აი, იმ სამუშაოების ნუსხა, რომელთა დასრულებაც 25 აგვისტოსთვის იგეგმება: ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება, სათამაშო მოედნის მოწყობა დრენაჟით და უახლესი სარწყავი სისტემით, თანამედროვე სტანდარტების ციფრული ტაბლოს დამონტაჟება, გასახდელებისა და მსაჯთა ოთახის კეთილმოწყობა, თანამედროვე სტანდარტების პრესცენტრის მოწყობა კომუნიკაციის ყველა უახლესი საშუალებით, შიდა სათავსოების გათბობის სისტემით უზრუნველყოფა, სარბენი ბილიკების დაგება, პირველი და მეორე იარუსების ჰიდროიზოლაცია, განათების სიმძლავრის 1600 ლუქსამდე გაზრდა, სექტორების განმხოლოება ღობეებით, რკინის ჯებირების მოწყობა, კომუნიკაციები, ფეხბურთელთა გამოსასვლელი დერეფნისა და სახურავის რემონტი, (24 ათას კვადრატულ მეტრ ფართზე), სტადიონის შეღებვა (70 ათას კვარდატულ მეტრ ფართზე), ვიპლოჟები, ხმის სისტემა, უსაფრთხოებისა და დაცვის სისტემები... ერთი სიტყვით, ძალიან მალე „ჰაი კლასის" სტადიონი გვექნება.

ტენდერში გაიმარჯვა და თბილისის მერიასთან ხელშეკრულება უკვე გააფორმა კომპანია „დინამო ინვესტმა", რომელიც უახლოესი ორი წლის განმავლობაში 10 მილიონი დოლარის ინვესტირებას განახორციელებს. ხელშეკრულების მიხედვით, ამ თანხის სოლიდური ნაწილი - 3 მილიონ 800 ათასი დოლარი 2 სექტემბრამდე დაიხარჯება. ხელშეკრულების მიხედვით, „დინამო ინვესტს" ეროვნული სტადიონი 30-წლიანი იჯარით გადაეცემა.

„დინამო ინვესტის" წარმომადგენლებმა „24 საათთან" საუბარში განაცხადეს, რომ სექტემბრამდე განსახორციელებელი ინვესტიის რაოდენობა 4 მილიონ დოლარს აჭარბებს.

რაც შეეხება დარჩენილ ორ წელიწადს და ასათვისებელ 6 მილიონ დოლარს, ამ თვალსაზრისითაც გრანდიოზული პროექტებია. სტადიონის პირველი იარუსი გარე პერიმეტრზე „ჩაჯდება" შუშის და მეტალოპლასტმასის კონსტრუქციაში, სადაც განთავსდება მაღაზიები, სპორტული ბარები, კომერციული ფართები. გარემონტდება სტადიონზე არსებული ყველა სპორტდარბაზი, ტირით დაწყებული და საცურაო აუზითა და ფიტნესცენტრით დამთავრებული, აშენდება მაღალი კლასის სასტუმრო. აღსანიშნავია, რომ სტადიონი არ გახდება წმინდა საფეხბურთო და მძლეოსნურ სტატუსსაც შეინარჩუნებს. პროექტის განხორციელების შემდეგ ეროვნულ არენაზე უმაღლესი კატეგორიის საერთაშორისო მძლეოსნური ასპარეზობების ჩატარებაც იქნება შესაძლებელი. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციას უკვე წარუდგინა განაცხადი მძლეოსნობაში ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე.

გაგრძელება C2 გვერდზე



დავით კოპზირიძის სვეტი

# ლამაზი ფინალი და უმარილო მომავალი

ძალიან მინდოდა 13 მაისს თასის ფინალზე წასვლა, მაგრამ ვერ წავედი და ამაში ფეხბურთმა შემიშალა ხელი - 12 მაისს კოჭი ვიღრძე სოლოლაკში მიმდინარე ტურნირზე. რასაკვირველია, გული დამწყდა, თან სამგზის: ფეხი გამისივდა და ველარ დავდივარ, შესაბამისად, ველარ ვთამაშობ ტურნირში და ცოცხლად ვერ ვნახე მთავარი სათასო ბრძოლა. სოლოლაკის ტურნირს ერთი მიზეზის გამო კიდევ დავუბრუნდები, მანამდე კი "მიხეილ მესხზე" გამართულ მატჩზე უნდა შევჩერდე აუცილებლად.

ფინალს რომ დავსწრებოდი, ჩემი ნაწერი უფრო ემოციური და დეტალური იქნებოდა, თუმცა ტელევიზორში ნანახითაც ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ეტყობა, 13 მაისს ქართველებს არ შეგვიძლია ცუდად თამაში.

იყო მშვენიერი მატჩისწინა ზეიმი, 25 წლის წინანდელი შედევრისა და მისი შემოქმედების გახსენება, ამით გამოწვეული ცრემლი, იყო მოსალოდნელზე გაცილებით მეტი ქომაგი, რომლებმაც ძალიან ღირსეულად და ჯიგრით უქომაგეს თავიანთ გუნდებს, იყო ომი, ამ სიტყვის წმინდა საფეხბურთო გაგებით, იყო ოთხი გოლი, აქედან ორი ულამაზესი და, რაც მთავარია, თავით გატანილი (მეორე სართულზე ყოველთვის გვიჭირდა), იყო პროფესიონალიზმის ნიმუში - ბოლო წამებზე გათანაბრებული ანგარიში, რასაც მოყვა დამატებითი დრო და პენალტების სერია, ფეხბურთის ყველაზე ემოციური კომპონენტი, იყო სინანულით და სიხარულით გამოწვეული ცრემლი და ლამაზი ფინალის ლამაზი ფინალი - ფერადი დაჯილდოება.

შაბათს ვაკეში ნაღდი ფეხბურთი იყო და მინდა ეს ყველას მივულოცო. წლების განმვლობაში განაცრისფერებული ქართული საკლუბო ფეხბურთი გაფერადდა, გამხიარულდა, გალაღდა და ყველასთვის მოსაწონი სახე მიიღო. ყველაზე კარგი კი აი, ესაა: დათო ყიფიანის თასის მომავალი ფინალი უკეთესი იქნება. ფეხბურთელები უკვე მიხვდნენ, რომ მათი შრომა ფასდება, გულშემატკივრებმა სტადიონზე იგრძნეს ზეიმი და არა უარყოფითი ემოციების სანაგვე. აქვე მინდა ახალგაზრდა "ამერს" ეს დიდი გამარჯვება მივულოცო და მომავალშიც წარმატებები ვუსურვო, ხოლო ზედიზედ ორჯერ ფინალში დამარცხებული ზესტაფონელები დავამშვიდო - თქვენ ძალიან კარგი ფეხბურთი ითამაშეთ!

■ ■ ■

ახლა კი ვაკიდან სოლოლაკში უნდა გადავინაცვლო და ერთი საინტერესო დაკვირვების შედეგი გაგიზიაროთ. კანცელარიის წინ მდებარე სტადიონზე, ანუ "ცეკაზე", რომელიც წლების განმავლობაში ავტოსადგომიდან იქცა თანამედროვე, განათებულ, ხელოვნურსაფარიან მოედნად, ათ წელიწადზე მეტია იმართება სამოყვარულო ტურნირები უბნებს შორის. ამის ინიციატორები მე და ჩემი მეგობრები გახლდით. სანამ დრო და ენთუზიაზმი გვქონდა, მთელი დასავლეთ თბილისი ქუჩის ფეხბურთით ცხოვრობდა და მალე ეს მთელ ქალაქს მოედო, რაც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და მერე ნელ-ნელა დაიწყო მუღამის დაკარგვა. ამას დაემატა ნარკომანიის არაადამიანური ტალღა, რომელიც სუბუტექსმა ააზვირთა და ცუნამივით დაატყდა ქართულ ახალგაზრდობას.

დაისადგურა რამდენიმეწლიანმა პაუზამ. თბილისის მოედნები დაცარიელდა მოთამაშეებისგან და გაივსო ერთჯერადი შპრიცებით. რამდენჯერ მიცდია უბანში ფეხბურთის თამაში, მაგრამ ათი ფხიზელი კაცი ვერ შემიკრებია. ეს ნამდვილი კოშმარი იყო. პრობლემამ სახელმწიფოებრივ დონეზე აინაცვლა.

საბედნიეროდ, დღეს ბიჭები ისევ უბრუნდებიან ბურთს. აი, უკვე ზედიზედ მეორე ტურნირი იმართება "ცეკაზე", მალე ყველგან გაგორდება ბურთი და ამას არაფერი სჯობს. თუმცა მე ამ ზოგად ტენდენციებზე არ მსურდა საუბარი. უბრალოდ, თემამ გამიტაცა.

საქმე ისაა, რომ სანამ ტრავმას მივიღებდი, ორ გუნდთან მომიხდა თამაში. ამ გუნდებში სულ 20 წლის ბიჭები თამაშობდნენ, რამდენიმე ფეხბურთელიც იყო და ისინი ქარიშხალივით დაქროდნენ. სამწუხაროდ, ეს იყო და ეს. ამ თაობას საერთოდ არა აქვს ფანტაზია. ის ფეხბურთს თამაშობს ფეხით და არა თავით, რაც ძალიან ცუდია და რაც არაა მხოლოდ მისი ბრალი.

"სტარიკებთან" თამაში თავის დროზე ჩვენც გვიჭირდა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ იყო ტვინისა და კუნთის შეჯიბრი. ჩვენ ყველანი ვაზროვნებდით და საბოლოოდ ოდნავ მეტი ჯანით ვჯობდით უფროსებს. იშვიათად ისინიც იგებდნენ, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარი არაა წაგება-მოგებაზე, საუბარია თამაშის შინაარსობრივ სიმდიდრეზე, ინდივიდუალიზმზე, უაღრესად საინტერესო სცენარზე, რომელსაც წინასწარ ვერავინ გამოიცნობდა. შედეგად ვიღებდით იმას, რომ ჩვენი, უბრალო თბილისელი ბიჭების სანახავად, სხვადასხვა უბნებიდან დადიოდნენ უცხო ადამიანები. ისინი სიამოვნებას იღებდნენ, ნერვიულობდნენ, ტაშს უკრავდნენ, ბოლომდე იხარჯებოდნენ და ეს ჩვენზე ზღაპრულად მოქმედებდა.

დღეს კი რა ხდება? არავითარი მოულოდნელობა, არავითარი მარილი, არავითარი მრავალფეროვნება და სილამაზე. გაიგდე, დაარტყი. "სტენკა", დაარტყი. და სირბილი, სირბილი, გაუთავებელი სირბილი. ვიდექი, ვუყურებდი ამ ბავშვებს და მიკვირდა, თუ რატომ ხარჯავენ ამდენ ენერგიას ტყუილუბრალოდ. პასუხიც მალე ვიპოვე: იმიტომ, რომ მათთვის ფეხბურთი არის გამოცანა, რომლის მთავარი კითხვებია: რამდენი კუთხური იქნება "მესინა"-"პარმაში", რამდენი ყვითელი იქნება "ატლეტიკო"-"მალაგაში" და ვინ დაიწყებს თამაშს - "მოზერუელი" თუ "აბერდინი".

მომავალ სამშაბათამდე

# „სამფეროვნებს" ხუთი ფერით დავუხვდებით

პირველი გვერდიდან

სპორტული მედიისთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ როგორც პრესლოჟა, ისე პრესცენტრი მაქსიმალურად მოსახერხებელი და კომფორტული იქნება. ახალი პრესცენტრი მოეწყობა სათავსში, რომელიც ადრე საწყობის ფუნქციას ასრულებდა. ეს არის 400 კვადრატული მეტრი ფართი და აქ ერთდროულად 200 ჟურნალისტი იმუშავებს. პრესლოჟა კი მე-5, მე-6 და მე-7 სექტორების ბოლო ორ რიგში განთავსდება, სადაც ასორმოცდაათ ჟურნალისტს ექნება ინდივიდუალური მაგიდა ტელეფონით და ინტერნეტით. პრესლოჟა ავტონომიური და გადახურული იქნება.

სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებენ კომპანიები „ნიუ სიტი" და „თბილისი". საფარს კომპანია „გეოგრესი" დააგებს. „დინამო ინვესტის" წარმომადგენლები კი შეგვპირდნენ, რომ პირველი რიგის სამუშაოები საფრანგეთის ნაკრების ჩამოსვლამდე დასრულდებოდა, მაგრამ ამ სამუშაოების მასშტაბიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ეს წარმოუდგენლად მეჩვენა. ამიტომ გადავწყვიტე უშუალოდ მშენებლებს გავსაუბრებოდი.

„ჩვენს კომპანიას ვალდებულება აქვს აღებული, რომ აგვისტოს შუა რიცხვებამდე ყველა ტრიბუნაზე ინდივიდუალური საკმების მონტაჟი დასრულდეს. სამუშაოები პრაქტიკულად არ წყდება. სამ ცვლად ვმუშაობთ. თავადაც ხედავთ, რომ როგორც პირველ, ისე მეორე იარუსზე ეგრეთ წოდებულ „მოჭიმვის" სამუშაოებს ვასრულებთ. ამის შემდეგ სკამების დამონტაჟებას დავიწყებთ. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, დათქმულ ვადაში ობიექტს ჩავაბარებთ. ხელშემშლელი ფაქტორი არ არსებობს", - განუცხადა „24 საათს" კომპანია „თბილისის" სამუშაოთა მწარმოებელმა ანზორ ჩიქოვანმა.




გოჩიტა ბახარიძის ფოტო

მთელ სტადიონზე რეკონსტრუქცია ხორციელდება.

რეკონსტრუქციის შემდეგ ეროვნული სტადიონი 60 ათასამდე მაყურებელს დაიტევს. სკამები ოთხი ფერის იქნება - ლურჯი, მწვანე, წითელი და ყვითელი. მეორე იარუსზე სკამების შეფერილობით დიდი ეროვნული დროშა იქნება გამოსახული, რაც სტადიონს კიდევ ერთ ფერს - თეთრს მატებს.

„წვიმებმა ძალზე შეგვიშალა ხელი და გრაფიკიდანაც ამოგვაგდო. ამიტომ გაცილებით უფრო მაღალ ტემპში გვიხდება მუშაობა. მოედნის ფუნდამენტის მოსწორების სამუშაოებს დღეს საღამომდე დავამთავრებთ. დრენაჟი გაკეთებული გვაქვს და ხვალიდან მილების ჩაწყობას დავიწყებთ. ივნისის შუა რიცხვებამდე მოედანზე შევიტანთ ჯერ ღორღის სქელ ფენას, შემდეგ - თხელ ფენას, შემდეგ - ქვიშას და მხოლოდ ამის შემდეგ დავაგებთ ბალახის საფარს. საფარი გამოყვანილია გერმანული ტექნოლოგიით და უმაღლესი სტანდარტებისაა. ბალახის საფარის დაგებას ივლისის შუა რიცხვებამდე დავასრულებთ. დაახლოებით 45 დღეა საჭირო იმისთვის, რომ ბალახმა ფესვები გაიდგას, კოსმეტიკური სამუშაოები ჩაუტარდეს და თამაშის ჩასატარებლად გამოსადეგი გახდეს. აგვისტოს ბოლომდე ყველა სამუშაოს დავასრულებთ", - განაცხადა კომპანია „გეოგრესის" წარმომადგენელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

# ზიდანი: „ყველაფერი დასრულდა"

„რეალისა" და „ვილიარეალის" შეხვედრაში ზინედინ ზიდანი „სანტიაგო ბერნაბეუს" დაემშვიდობა, გუშინ კი ფრანგმა ვარსკვლავმა ტელეარხ *Antena*-ს მისცა ინტერვიუ და სიმბოლურად ესპანელ ჟურნალისტებსაც დაემშვიდობა. გადაცემის ბოლოს ზიზუმ პატარა ქაღალდზე დაწერა *Gracias*-ს და სიმბოლურად შეაჯამა „რეალში" გატარებული ხუთი სეზონი.

**- როგორ ატარებ შენს ბოლო დღეებს „რეალში"?**

- მაქსიმალურად ვიყენებ მათ. ვფიქრობ, ყველაფერი კარგადაა. თუმცა ალბათ სეზონის დასრულების შემდეგ ემოციები მომაწვება. ფეხბურთი ძალიან მომენატრება.

**- „სევილიასთან" მატჩი შენს კარიერაში ბოლო იქნება?**

- საკლუბო კარიერაში. ამ მატჩის შემდეგ საკუთარ თავს ვეტყვი: „აი, ყველაფერი დასრულდა, მეტი თამაში აღარ მომიწევს". დიახ, დარჩა კიდევ რამდენიმე ამხანაგური მატჩი, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ცოტა დრო მაქვს.

**- ამ დღეებში ხშირად იხსენებ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართულ ბოლო მატჩს?**

- მატჩის შემდეგ მთელი ღამე თვალწინ მიტრიალებდა ყველაფერი, რაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" ხდებოდა. შეხვედრის ვიდეოჩანაწერი სახლში შევინახე, მაგრამ ჯერ არ მინახავს.




"ზიზუ" ფეხბურთს ემშვიდობება.

**- რატომ არ დაემშვიდობე გულშემატკივარს მინდვრის ცენტრიდან?**

- იმიტომ, რომ მინდვრის ცენტრში მარტო დავრჩებოდი, ეს კი არ მინდოდა. მატჩის ბოლოს მოედნის ცენტრში ვერ მივედი, მთელი გუნდი კი არ გამომყვა.

**- გატანილი გოლი თითქოს არც გაგიხარდა...**

- რატომ? ძალიანაც გამიხარდა. თამაშამდეც ძალიან მინდოდა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემი ბოლო გოლი გამეტანა.

**- ისე, ცოტაც და, რაული შეეხებოდა იმ ბურთს...**

- რაულმა მომენტი კარგად წაიკითხა. დაინახა, რომ ბურთი კარში მიდიოდა და აღარ შეეხო.

**- გასახდელში თანაგუნდელები როგორ დაგემშვიდობნენ?**

- ძალიან მშვიდად. მომილოცეს და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადამიხადეს.

**- რა იქნება კარიერის დასრულების შემდეგ?**

- ახალ ცხოვრებას დავიწყებ. მინდა თავისუფალი დრო გამოვიყენო და ვაკეთო ის, რისი საშუალებაც აქამდე არ მქონია.

**- შენს გამოსათხოვარ მატჩზე ფლორენტინო პერესიც კი მოვიდა.**

- ყოველთვის ვიქნები პერესის მადლიერი.

**- მართალია თუ არა, რომ გასულ ზაფხულს პერესი ცდილობდა დაერწმუნებინე, რომ კარიერა არ დაგესრულებინა?**

- დიახ, მთხოვდა, რომ კიდევ ორი სეზონით მაინც დავრჩენილიყავი გუნდში.

**- რამ დაგწყვიტა გული ყველაზე მეტად?**

- ბოლო წლებში თითქმის არაფერი მოგვიგია და ეს საწყენია.

**- რა დრო დასჭირდება „რეალს", რომ იგივე დონეზე ითამაშოს, როგორც „ბარსამ"?**

- ვფიქრობ, ეს მომავალ სეზონში მოხდება.

**- შენი აზრით, რა უნდა უყოს კლუბმა შენს ნომერს?**

- რა უნდა უყოს? რომელიმე ფეხბურთელი აიღებს ამ ნომერს და ითამაშებს.

# სამბოს საელჩოში იჭიდავა

*გაგიგონიათ, გუნდი ევროპის ჩემპიონატზე მწვრთნელის გარეშე მიდიოდეს? გუშინდლამდე არც მე გამეგონა. გუშინ კი სამბოს ფედერაცია დიდი პრობლემის წინაშე იდგა. 18-22 მაისს სალონიკი (საბერძნეთი) იუნიორთა და ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს, რომელშიც საქართველოს ნაკრებმაც უნდა იასპარეზოს. თუმცა, მოვლენები ისე განვითარდა, რომ სავსებით შესაძლებელი იყო ნაკრები კონტინენტის პირველობაზე მთავარი მწვრთნელის ბადრი ჯანიაშვილს გარეშე გამგზავრებულიყო.*

გუშინდლამდე საბერძნეთის საელჩო საქართველოში მწვრთნელზე ვიზის გაცემისგან თავს იკავებდა. მანამდე არანაკლებ შავ დღეში იყვნენ თავად სპორტსმენებიც, რომლებზეც ასევე დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ გასცეს ვიზები. სპორტსმენების შემთხვევაში კონსული სხვადასხვა საბუთს ითხოვდა. მას შემდეგ, რაც სამბოს ფედერაციამ საკონსულოს დამატებითი მოთხოვნები შეასრულა და საელჩოს ხელახლა ეწვივნენ, საკონსულოს წარმომადგენელმა ბრძანა: ასე იოლად ვერ გაგიშვებთ, სპორტსმენთა მშობლების თანხმობაც საჭიროაო.

ასე რომ არ მომხდარიყო, ნაკრები ევროპის ჩემიონატზე გუშინწინ უნდა გამგზავრებულიყო. ახლა კი საქმე ასეა: გუნდი დღეს გაემგზავრა სალონიკში და ჩასვლისთანავე აწონვაზე მოუწევთ გასვლა. აქვე გეტყვით, რომ იუნიორთა და ჭაბუკთა ნაკრები... ავტობუსით დაადგა საბერძნეთის გზას. დასვენებაზე, აკლიმატიზაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ერთი სიტყვით, გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გამოვა, მაგრამ როგორ, ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო ისედაც ნათელია.



სამბისტებს ვიზებს არ აძლევენ.

გუშინ საღამოს, როდესაც გუნდის მწვრთნელმა საბერძნეთის ვიზა მიიღო, იქვე გააფრთხილეს: იცოდეთ, იქ დარჩენა არავინ გაბედოთო. ფედერაციის პრეზიდენტმა ოლეგ იაძემ გაკვირვებულმა აიჩეჩა მხრები - პირველად კი არ მივდივართ. სხვა ქვეყნებშიც ვყოფილვართ, მაგრამ დარჩენის სურვილი არსად გაგვჩენიაო.

**ნაკრების შემადგენლობა**

**იუნიორები:**

ლევან ჩუბინიძე (48კგ.), დიმიტრი მულაძე (52კგ.), თამაზ სახეიშვილი (57კგ.), ლევან ქოჩიევი (62კგ.), გელა სანიკიძე (68კგ.), დავით შენგელია (74კგ.), ავთანდილ მიშველაძე (82კგ.), თემურ კაკოიშვილი (90კგ.), ნუგზარ ბადაშვილი (100კგ.), გივი ტატანაშვილი (მძიმე წონა).

**ჭაბუკები:**

ზურაბ ოდოშაშვილი (48კგ.), ილია ტყეშელაშვილი (52კგ.), რობერტ მშვიდობაძე (56კგ.), გიორგი ბახტაძე (60კგ.), ლევან ნახუცრიშვილი (65კგ.), მინაგო ტყეშელაშვილი (70კგ.), გიორგი იაძე (75კგ.), ნიკო კუცია (81კგ.), გიორგი ჯელაძე (87კგ.), დავით სინაურიძე (+87კგ.).

## კვირის ფრაზები

„სხვა ფეხბურთელებს მაგარი სპორტული მანქანები ჰყავთ. მათთვის მიბაძვას და „ლამბორჯინის" ყიდვას ჯერ არ ვაპირებ. მე მცირე ზომის „გოლფიც" დამაკმაყოფილებს", - თქვა 17 წლის თეო უილკოტმა, როდესაც ინგლისის ნაკრებში გამოძახების შემდეგ მართვის მოწმობის გამოცდას აბარებდა.

■ ■ ■

„ინგლისის ნაკრების გაწვრთნა არსენ ვენგერს არ მიანდეს, მაგრამ ჩვენი გუნდი თითქმის ვენგერის გაწვრთნილია", - ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გრემ ტეილორი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ახლანდელი თავკაცის სვენ გორან ერიქსონის დარწმუნებაში, რათა ამ უკანასკნელს თეო უილკოტი გერმანიაში წაეყვანა.

■ ■ ■

„მის სახეში ჩემი თავი დავინახე და გული ჩამწყდა", - დევიდ ბექჰემი ტრავმირებული უეინ რუნის ნახვისას.

■ ■ ■

„დამატებით დროში ბურთის დანახვა აღარ შემეძლო. ყოველ წამს საათს ვუყურებდი და მინდოდა, დრო რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო. მეტზე არაფერზე ვფიქრობდი", - იხსენებს სტივენ ჯერარდი ინგლისის თასის ფინალურ შეხვედრას.

■ ■ ■

„მატჩის შემდეგ მივედი და ვუთხარი, იმედი მაქვს, მსოფლიო ჩემპიონატზე სათამაშოდაც შეგრჩა ძალები-მეთქი", - ეუბნებოდა ჟურნალისტებს ალან პერდიუ ინგლისის თასზე სტივენ ჯერარდის განსაცვიფრებელი გოლების შესახებ.

■ ■ ■

„მეტოქე გუნდის ერთბაშად ექვსი ფეხბურთელის შევიწროება ხუმრობა არ არის. მართალია, კიდევ უფრო მეტის გაკეთება გვინდოდა, მაგრამ ყველაფერი ისე როდი ხდება, როგორც გინდა ხოლმე", - რაფაელ ბენიტესი სათასო მატჩის შემდეგ.

■ ■ ■

„ორივე გაშტერებულები ვუყურებდით ერთმანეთს და ვერაფრით ვხვდებოდით, რატომ ასცდა ბურთი კარს", - „ვესტ ჰემის" თავდამსხმელი ტედი შერინგემი თანაგუნდელი ანტონი ფერდინანდის გაფუჭებულ პენალტზე.

■ ■ ■

„ვერ ვიტან ინგლისურ საკვებს. ამიტომ ძირითადად ესპანეთიდან ვაგზავნინებ ხოლმე პროდუქტებს და იმას მივირთმევ", - ამბობს ლონდონური საკვებითა და ცხოვრებით უკმაყოფილო „არსენალის" ნახევარმცველი ხოსე ანტონიო რეიესი.

■ ■ ■

„ჰატონმა ხელიდან გაუშვა მსოფლიო ჩემპიონობის შანსი, რომელიც მე მივეცი. ახლა მე ვითხოვ მისგან, მომცეს ასეთი შანსი. მინდა შაბათის მატჩი გადავითამაშოთ. მისგან განსხვავებით, მე შანსს ხელიდან არ გავუშვებ", - ლუის კოლაცოს ბრიტანელ მოკრივე რიკი ჰატონთან ხელმეორედ დაპირისპირება უნდა.

■ ■ ■

„მას სწამს ჩვენი, მას სწამს „ჩელსის", მას სწამს, რომ აუცილებლად მიაღწევს წარმატებას", - ასე ხსნის მიხაელ ბალაკის „ჩელსიში" გადასვლის მოტივს „არისტოკრატთა" თავკაცი ჟოზე მოურინიო.

■ ■ ■

„ბექჰემი ნამდვილი ქათამია და მოედანზეც ქათამივით დაცანცარებს", - ამბობს პარაგვაის ნაკრების ფეხბურთელი ტოლედო, რომელსაც ერთი სული აქვს, რაც შეიძლება მალე მოვიდეს 10 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ინგლისსა და პარაგვაის სწორედ ამ დღეს უწევთ ერთმანეთის პირისპირ თამაში.

## ინფოთეკა

### მუნიოსი დაითხოვეს

მომავალ სეზონში ვიქტორ მუნიოსი აღარ იქნება "სარაგოსას" მთავარი მწვრთნელი. სააგენტო როიტერის ცნობით, კლუბის ხელმძღვანელებმა მუნიოსის დათხოვნა გადაწყვიტეს. შეგახსენებთ, რომ ვიქტორ მუნიოსმა 2004 წელს ჩაიბარა "სარაგოსა" და ამ გუნდთან ერთად ესპანეთის სამეფო თასიც მოიგო. თუმცა ამ სეზონში "სარაგოსამ" არასტაბილურად ითამაშა. მწვრთნელის დათხოვნის მიზეზიც ეს უნდა იყოს.

### გაბრი "ესპანიოლში" გადადის

"ბარსელონას" ნახევარმცველმა გაბრიმ შესაძლოა "ესპანიოლში" გააგრძელოს კარიერა. ცნობილია, რომ გაბრი მომავალ სეზონში "ბარსას" ღირსებას აღარ დაიცავს. ფეხბურთელის განცხადებით, ახლა ის მოლაპარაკებას მართავს "ესპანიოლის" ხელმძღვანელებთან და, სავარაუდოდ, სწორედ ამ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს.

### საქმეს ევროპის სასამართლო განიხილავს

მოგეხსენებათ, თანამედროვე ფეხბურთი მორიგი რევოლუციის წინაშე დგას. ბელგიური კლუბი "შარლერუა" და ორგანიზაცია G14 ფიფას სასამართლოში უჩივიან. მოკრძალებული ბელგიური კლუბის მეშვეობით ბობოლა კლუბების ხელმძღვანელები საფეხბურთო გადატრიალებას გეგმავენ. მოგეხსენებათ, G14 მოითხოვს, რომ ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახებისას ეროვნულმა ფედერაციებმა კლუბებს კომპენსაცია გადაუხადონ. თავიდან "შარლერუამ" და G14-მა ფიფას ბელგიურ სასამართლოში უჩივლეს. გუშინ მართლმსაჯულების ბელგიელმა მსახურებმა თავისთვის უმტკივნეულო გადაწყვეტილება მიიღეს და საქმის განხილვა ევროპის უმაღლეს სასამართლოს გადააბარეს. ახლა ფიფასა და G14-ს ევროპელი მოსამართლეები განსჯიან.

### პეტრჟელა უკრაინას შეაფარებს თავს

სანქტ-პეტერბურგის "ზენიტიდან" გამოგდებული მსტისლავ პეტრჟელა ალბათ უკრაინაში გააგრძელებს კარიერას. უკრაინული ტელევიზიის გადაცემა "გოლში" ითქვა, რომ ჩეხი სპეციალისტი დონეცკის "მეტალურგს" ჩაიბარებს. როგორც უკრაინული მედია ამტკიცებს, პეტრჟელა უკვე ჩავიდა დონეცკში და იქაური კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების პირველი რაუნდიც გამართა.

## ინფოთეკა

### ტურინული პრობლემა

"იუვენტუსის" გამო ატეხილი სკანდალი ტურინულ გრანდს შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს. შესაძლოა გუნდი ელიტური იტალიური დივიზიონიდან გარიცხონ, რასაც მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მოჰყვება. იტალიელი ჟურნალისტების აზრით, თუ "იუვენტუსი" სერია A-დან გარიცხეს, გუნდი დაახლოებით 200 მილიონ ევრო ზარალს ნახავს.

აღსანიშნავია, რომ "იუვენტუსი" უკვე კარგავს ფულს. ატეხილი სკანდალის გამო ტურინული კლუბის აქციების ფასი 21 პროცენტით დაეცა. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ უკვე გამოავლინა დანაშაულის ერთი ფაქტი. დადგინდა, რომ "იუვენტუსისა" და "ლივორნოს" მატჩი, რომელიც ტურინულმა კლუბმა 2:0 მოიგო, ჩაწყობილი იყო. ფაქტობრივად, ეს ბრალეულობის დადასტურებაა. გამორიცხული არ არის, რომ უახლოეს მომავალში "ბებერ ქალბატონს" ჩემპიონის ტიტული ჩამოართვან და დაბალ დივიზიონშიც გაისტუმრონ.

### "ინტერმა" კაპელო უარყო

მასიმო მორატის განცხადებით, იგი არ აპირებს "ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ფაბიო კაპელოს მიწვევას. აღსანიშნავია, რომ მორატი მოლაპარაკებს მართავდა კაპელოსთან. "ინტერის" მფლობელმა დონ ფაბიოს სამწლიანი კონტრაქტიც შესთავაზა, თუმცა ბოლო მომენტში სენიორ მორატიმ გადაიფიქრა და კაპელოს აცნობა, რომ მისი სამსახური არ აინტერესებს.

### დროგბა და კომპანია

კოტ-დივუარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანრი მიშელმა დაასახელა ის 23 ფეხბურთელი, რომლებიც ამ ზაფხულს გერმანიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მიიღებენ მონაწილეობას.

**მეკარეები:** ჟან-ჟაკ ტიზიე (ესპერანსუ ტუნისი), ბუბაკარ ბარი კოპა (ბევერენი), ჟერარ გნანუანი (მონპელიე)

**მცველები:** სირილ დომორო (კრეტეი), დლეზ კუასი (ტრუა), აბდულაიე მეიტე (მარსელი), ეტიენ არტურ ბოკა (სტრასბური), აბიბ კოლო ტურე (არსენალი), ემანუელ ებუე (არსენალი), მარკ ზორო (მესინა)

**ნახევარმცველები:** დიდიე ზოკორა (სენტ ეტიენი), ემერეს ფაე (ნანტი), კანგა გოტიე აკალე (ოსერი), რომარიკ ნდრი კოფი (ლე მანი), გნეგნერი იაია ტურე (ოლიმპიაკოსი), ჟილ იაპი იაპო (იანგ ბოისი), გი რონალდ დემელი (ჰამბურგი)

**თავდამსხმელები:** ბაკარი კონე (ნიცა), დიდიე დროგბა (ჩელსი), არუნა კონე (პსვ), ბონავენტურე კალუ (პსჟ), აბდულ კადერ კეიტა (ლილი), არუნა დინდანი (ლანსი).

### სარეკლამო დრო თითქმის გაიყიდა

30-წამიანი სარეკლამო რგოლის გაშვება გერმანიის ორი ძირითადი ტელეარხიდან ერთ-ერთზე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის დროს 6600-დან 320 400 ევრომდე ეღირება. გერმანიის სახელმწიფო არხმა ARD-მ ჯერჯერობით სარეკლამო დროის 70 პროცენტი გაყიდა, ხოლო ZDF-მა - 60 პროცენტი. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, სატელევიზიო არხების მესვეურები დარწმუნებული არიან, რომ მალე სარეკლამო დროის 100 პროცენტს გაყიდიან.

### ორწლიანი კონტრაქტი რობერტო კარლოსს

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ დაიწყო მოლაპარაკება ლონდონის "ჩელსისთან".

ლონდონური კლუბის წარმომადგენელი ხორხე მენდესი უკვე ჩაფრინდა მადრიდში, რათა რობერტო კარლოსთან კონტრაქტის დეტალები შეათანხმოს. "არისტოკრატები" ბრაზილიელს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, რომელიც ფეხბურთელის სურვილისამებრ შესაძლოა მომავალში კიდევ ერთი წლით გაგრძელდეს. სეზონში კი ბრაზილიელს 4.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდიან.

### მოლინამ "დეპორტივო" დატოვა

ესპანეთის ნაკრების ყოფილმა მეკარემ ხოსე მოლინამ გალისური "დეპორტივო" დატოვა. 35 წლის მეკარე ინგლისში აპირებს კარიერის გაგრძელებას. "დეპორტივოში" ექვსი ბრწყინვალე სეზონი გავატარე. მადლობა ფანებს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც მუდმივად ვგრძნობდი. უკვე დიდი ხანია ვოცნებობ ინგლისში თამაშზე. თუ ახლა არ გადავედი რომელიმე ბრიტანულ კლუბში, ამ ოცნებას ვერასოდეს ავიხდენ", - აცხადებს მოლინა.

# რონალდინიო შინ ბრუნდება

2003 წელს „ბარსელონამ" ფრანგული პსჟ-სგან ბრაზილიელი რონალდინიო შეიძინა, დღეს კი კატალონიური კლუბი „დინიოს" გარეშე უკვე წარმოუდგენელია. „ამ ფეხბურთელმა გულშემატკივრებს საყვარელი გუნდის რწმენა დაუბრუნა. სწორედ მისი დამსახურებაა „ბარსელონას" ყველა ბოლოდროინდელი წარმატება. ესპანეთის ჩემპიონის მორიგი ტიტულის მოგების შემდეგ ახლა ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაზე ვფიქრობთ", - ამბობს „ბარსელონას" პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა.

უზადო ტექნიკისა და ნიჭის წყალობით რონალდინიომ მილიონობით გულშემატკივრის სიმპათია დაიმსახურა. ამჟამად გენიალური ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის ფინალის მოგებაზე ოცნებობს და პარიზში თავისი მეგობრისა და კონკურენტის ტიერი ანრის დამარცხებას გეგმავს.

ოთხშაბათს პარიზში ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება. უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე კი ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბრაზილიელი გენიოსის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

**- რა გრძნობა დაგეუფლათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლის შემდეგ?**

- უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ამაზე ხომ ნებისმიერი სპორტსმენი ოცნებობს. ჩვენ ფანტასტიკური შანსი მოგვეცა და მინდა მატჩისთვის მაქსიმალურად მოვემზადო, რათა ფინალური თამაშით სიამოვნება მივიღო.

**- სეზონის ბოლოს არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი გქონდათ...**

- მართალი ბრძანდებით. ესპანეთის ჩემპიონატშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც საკმაოდ კარგად გამოვედით. მოახლოებული მუნდიალის გათვალისწინებით ამას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

**- რას იგრძნობთ, თუ პარიზში ჩემპიონთა ლიგას მოიგებთ? ეს ქალაქი ხომ თქვენთვის სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი...**



*რონალდინიო პარიზული ფინალისთვის ემზადება.*

- ეს არაჩვეულებრივი იქნება. პარიზი ჩემი ევროპული კარიერის ათვლის წერტილია. ამიტომ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შინ ვბრუნდები. აღფრთოვანებული ვარ, რომ ფინალს სწორედ პარიზში ვითამაშებთ.

**- რას ფიქრობთ „არსენალის" შესახებ? ამ გუნდს ჩემპიონთა ლიგის ბოლო ათ მატჩში არ გაუშვია გოლი.**

- „არსენალი" ძალიან ძლიერი გუნდია. მეკარით დაწყებული და ფორვარდებით დამთავრებული, ყველას უდიდეს პატივს ვცემ. „არსენალის" დაცვის გატეხვა იოლი არ იქნება. მთელი ძალით უნდა ვითამაშოთ. ვფიქრობ, თუ მეტოქეს სწრაფ ფეხბურთს შევთავაზებთ, ეს ჩვენთვის მომგებიანი იქნება.

**- მოგვიყევით ანრის თაობაზე...**

- ტიერი ჩემი მეგობარია. მომიწევს ძალიან ნიჭიერი ადამიანის წინააღმდეგ თამაში, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. სიფრთხილე გვმართებს. მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელია.

**- რა კომენტარს გაუკეთებდით გავრცელებულ ხმებს „ბარსელონაში" ანრის ტრანსფერის თაობაზე?**

- ასეთი ვარიანტის შესახებ მეც მსმენია. თუ ჩვენთან გადაწყვიტა გადმოსვლა, დიდი სიხარულით შეხვდებიან. პირველ რიგში მე, რადგან ჩემი კარგი მეგობარია.

**- რას ნიშნავს თქვენთვის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული?**

- მე უბრალოდ მინდა, რომ ჩემს გუნდს გამოვადგე. საკუთარ თავს კი ნამდვილად არ მივიჩნევ საუკეთესოდ. მომწონს, როდესაც თანაგუნდელებს ვეხმარები და ამის წყალობით ჩემი გუნდი იგებს.

**- ფრანკ რაიკაარდმა ესპანეთის ჩემპიონობის მოგების შემდეგ დასვენების საშუალება მოგცათ?**

- არა. დასვენება არ მჭირდება. ბევრს ვვარჯიშობ, რათა ჩემპიონთა ლიგის ფინალს სრულ მზადყოფნაში შევხვდე. არ მინდა ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელობა და არც რაიმე ახლის მოგონებას ვაპირებ. ვითამაშებ ისე, როგორც ვთამაშობ, რათა გუნდს გამარჯვებაში დავეხმარო.

**- მინდორზე ყოფნა ყოველთვის გსიამოვნებთ?**

- როდესაც თამაში გამომდის. როდესაც თანაგუნდელს საგოლე გადაცემას ვაძლევ, ეს მართლაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. რა თქმა უნდა, მომწონს მოგება. გამარჯვება ჩემთვის ყოველთვის პირველ ადგილზე დგას. მინდა ტიტულის მოგება და თუ ამას კარგი თამაშის წყალობით ვაღწევ, ბედნიერი ვარ.

# მშვიდობით, ანდრეი, გამარჯობა, ენდრიუ!



კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ჭორები ანდრეი შევჩენკოს შესაძლო ტრანსფერის თაობაზე, ეტყობა, სრული რეალობაა. ამბობენ, ყველა გზა რომში მიდისო. ამ ფრაზას კი, დღევანდელი საფეხბურთო რეალობიდან გამომდინარე, მცირე კორექტივები სჭირდება. ყველა გზა რომში კი არა, პარიზში მიდის.

ევროპული საკლუბო ფეხბურთის მთავარ მოვლენას სწორედ პარიზში ელიან - ოთხშაბათს ამ ულამაზეს ქალაქში ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი გაიმართება. თუმცა მხოლოდ ეს როდი იწვევს ინტერესს. გუშინ ფეხბურთის ბობოლები პარიზს ესტუმრნენ. ამ დღეებში მთავარი ტრანსფერების ბედიც უნდა გაირკვეს.

რამდენიც არ უნდა ემტკიცებინა „მილანს", რომ თავისი უმთავრესი მონაპოვრით არ ვაჭრობს, რამდენიც არ უნდა ეფიცა ანდრეი შევჩენკოს, რომ „მილანში" აპირებს კარიერის დასრულებას, ჭორები საუკეთესო უკრაინელი მეგოლის შესაძლო ტრანსფერზე „ჩელსიში" მაინც არ წყდებოდა. ბოლოს, მას შემდეგ, რაც ანდრეი პირადად შეხვდა სენიორ ბერლუსკონის, ჭორების ტალღამ ახალი ძალით იფეთქა.

ნამდვილი საინფორმაციო ნაღმი კი თავად ბატონმა ბერლუსკონიმ ააფეთქა. იტალიის ექსპრემიერმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. ამას წინათ ბერლუსკონი სტუდენტებს შეხვდა. უცებ რატომღაც ფეხბურთზე დაიწყო საუბარი. „იცით თუ არა თქვენ, რომ ანდრეი შევჩენკოს ინგლისში სურს გადასვლა", - უთხრა სტუდენტებს ბერლუსკონიმ. შეხვედრაზე მყოფმა ჟურნალისტებმა ეს სიტყვები სწრაფად მოსდეს მთელ ევროპას.

მოვლენათა ასეთ განვითარებას თავად შევჩენკოც არ ელოდა. მან სასწრაფოდ მოიწვია პრესკონფერენცია. ფეხბურთელმა თქვა, რომ ოჯახური პრობლემების გამო სურს იტალიის დატოვება. სხვა მნიშვნელოვანი პრესკონფერენციაზე არაფერი თქმულა. ანდა რა მნიშვნელობა აქვს იმ პრესკონფერენციას. მთავარია, რომ თავად ბერლუსკონიც და ანდრეი შევჩენკოც უკვე ღიად ალაპარაკდნენ ტრანსფერზე, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ინფორმაციამ თავად ბერლუსკონის წყალობით გაჟონა. არადა, ამ ადამიანმა მშვენივრად იცის პრესით მანიპულირება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ბერლუსკონის სჭირდებოდა, რათა საზოგადოებისთვის აეხსნა, რომ ანდრეიმ თავად მოინდომა გუნდის დატოვება.

მოკლედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა გზა პარიზისკენ მიდის. სწორედ აქ შეხვდებიან „მილანისა" და „ჩელსის" წარმომადგენლები, რათა მოქმედების გეგმა შეიმუშაონ. თავად შევჩენკო პარიზულ ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ მისი აჩრდილი ნამდვილად იქნება ფინალურ მატჩში. ფსონზე ხომ მხოლოდ „შევას" მომავალი არ დევს, საუბარია ანრის, ეტოოსა და ვან ნისტელროის ტრანსფერებზეც.

„არსენალისა" და „ბარსელონას" ლიდერები შევჩენკოს სავარაუდო შემცვლელებად მოიაზრებიან.

შევჩენკო, ანრი, ეტოო, ვან ნისტელროი, ტევესი... პარიზში მხოლოდ საუკეთესო ევროპული კლუბის ბედი როდი გაირკვევა. გრანდები ამ უნიკალური ფეხბურთელების მოპოვებისთვისაც იბრძოლებენ.

მაგალითად, როგორ მოგწონთ მოვლენათა განვითარების ასეთი ვარიანტი - შევჩენკო გადადის „ჩელსიში", სადაც არგენტინელ ტევესს შეეწყვილება, ანრი „არსენალიდან" „ბარსელონაში" გადაინაცვლებს, ეტოო კი კატალონიურ გრანდს „მილანზე" გაცვლის. ვან ნისტელროისაც უნდა მოეძებნოს კლუბი, კრესპო და გალასი „მილანს" შეაფარებენ თავს. რას იტყვით, ხმაურიანი ტრანსფერებია? რა თქმა უნდა. ამ მოვლენამ შესაძლოა ლიგის ფინალიც კი დაჩრდილოს.

ტურინის „იუვენტუსი" დაგვავიწყდა თავისი გენიალური მწვრთნელითა და არაერთი ვარსკვლავით. ტურინულ კლუბში დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლოა, „ბებერი ქალბატონის" ვარსკვლავებმა ახლავე მოინდომონ კლუბის შეცვლა. ვინ იცის, იქნებ კაპელოც ეწვიოს პარიზს, რათა „რეალის" წარმომადგენლებს გაესაუბროს. ანდა შესაძლოა „სამეფო კლუბმა" ისევ კარლო ანჩელოტიზე გააკეთოს აქცენტი. აი ხომ ხედავთ, რამდენი რამ უნდა გადაწყდეს პარიზში, თუმცა თავად ფინალის შემდეგ მნიშვნელობით ყველაზე მთავარი მაინც ანდრეი შევჩენკოს ტრანსფერი იქნება.

დავუბრუნდეთ ისევ ანდრეი შევჩენკოს. ნუთუ იგი მართლა შეიცვლის კლუბს? როგორც ჩანს, ამ კითხვას დადებითი პასუხი აქვს. ბერლუსკონიმ თავი წინასწარ იმართლა, თქვა, თავად შევჩენკოს უნდა წასვლა და მე რა ვქნაო. ამით „მილანის" მფლობელმა ტრანსფერს კარგი ნიადაგი შეუმზადა. აპენინებზე უკვე ამბობენ, რომ ანდრეი აბრამოვიჩის მილიონებს დახარბდა. ზოგი კი იმასაც ამტკიცებს, გადაწყვეტილება ფეხბურთელის ნაცვლად მისმა მეუღლემ კრისტენ პაზიკმა მიიღოო.

და მაინც, რატომ ცვლის ანდრეი „მილანს" „ჩელსიზე"? ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ აბრამოვიჩის სიმდიდრეში როდია. შევჩენკოს იტალიაში თამაშის სტიმული თითქმის აღარ დარჩა. რატომ? პასუხი საკმაოდ მარტივია: როგორც „მილანის" ფეხბურთელმა, ანდრეიმ უკვე ყველაფერი მოიგო. სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და იტალიის თასი. ამავდროულად, გახდა სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი. „მილანის" შემადგენლობაში შევჩენკომ „ოქროს ბურთიც" მოიგო. გასულ სეზონში ინტერნეტ-გულშემატკივრებმა ანდრეი პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. შევჩენკო იტალიაში ნამდვილ მეგავარსკვლავად იქცა. შევჩენკომ თავის მილანურ კარიერაში უკვე მიაღწია მწვერვალს და მეტს უკვე ვერაფერს იზამს.

იგივე შეიძლება ითქვას ანდრეის არასაფეხბურთო მოღვაწეობაზეც. შევჩენკოს შვილის ნათლია ბერლუსკონია. უკრაინელი მეგობრობს ჯორჯო არმანისთან. მოკლედ, იტალიაში ანდრეი მხოლოდ ფეხბურთელი კი არა, უკვე შოუბიზნესის ვარსკვლავიცაა. შევჩენკომ აპენინებზე მიაღწია გაცილებით მეტს, ვიდრე პროვინციული უკრაინული ქალაქის მკვიდრმა შეიძლება იოცნებოს.

აქედან გამომდინარე, ლონდონი და „ჩელსი" ანდრეისთვის, უბრალოდ, ახალი სტიმულია. „არისტოკრატიულ" კლუბში შევჩენკოს ახალი მწვერვალების დაპყრობა შეუძლია. პრემიერლიგის ჩემპიონობა და საუკეთესო ბომბარდირობა, „ჩელსისთვის" პირველი ჩემპიონთა თასის მოგება, ბოლოს და ბოლოს, მუშაობა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და არაორდინარულ მწვრთნელთან. აპენინების სკანდალური ცხოვრების შემდეგ უფრო მშვიდ ატმოსფეროში მოხვედრა 29 წლის ფეხბურთელისთვის მისწრება იქნება.

ჯერჯერობით კი შევჩენკო „მილანის" ფეხბურთელია. რა იქნება ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, ძნელი სათქმელია, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, თუ მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩს ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ უკრაინელთა ლიდერი გამართავს უკვე როგორც „ჩელსის" ფეხბურთელი.

## კოკაიმ გამარჯვება გაიხსენა

მაისის ბაშოზე ზედიზედ ორი წაგებული ბრძოლის შემდეგ ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ მორიგი ბრძოლა გამარჯვებით დასრულა. კოკაიმ მე-10 მაიგეშირა ტამაგასუკა ოშიდაშის ილეთით დაამარცხა და ახლა ჩვენებურის ანგარიშზე 4 გამარჯვება და 5 მარცხია. დღეს კოკაი მე-13 მაიგეშირა ქუნოშიამას შეხვდება და მშვენიერი შანსი აქვს მოგებული და წაგებული შეხვედრების ანგარიში გაათანაბროს.

## ტერიე ჰაუგე - ჩემპიონთა ლიგის ფინალის მსაჯი

ესპანეთის "ბარსელონასა" და ინგლისის "არსენალს" შორის გასამართ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს ტერიე ჰაუგე მოემსახურება. ის პირველი ნორვეგიელია არბიტრია, რომელიც ევროპის უმთავრესი საკლუბო ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრას განსჯის. ტერიე ჰაუგეს დაეხმარებიან თანამემამულენი სტეინარ ჰოლვიკი და ოლე-ჰერმან ბორგანი, ხოლო მეოთხე მსაჯი ტომ ჰენინგ ოვრებო იქნება.

1965 წლის 5 ოქტომბერს ქალაქ ბერგენში დაბადებულმა ტერიე ჰაუგემ 17 წლის ასაკში, 1982 წელს დაიწყო მსაჯობა. 1990 წლიდან ნორვეგიის ტიპენლიგის მატჩებს ემსახურება, ხოლო 1993 წელს ფიფას არბიტრის წოდება მოიპოვა.

1994 წელს ჰაუგე ევროპის 18 წლამდელთა ჩემპიონატზე მიავლინეს, 1997 წელს უეფა-აფკ-ის მერიდიანის თასზე და მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე, ხოლო 2000 წელს ბელგია-ჰოლანდიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მეოთხე მსაჯი გახლდათ. 2005 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ტერიე ჰაუგე გადამწყვეტ შეხვედრას სჯიდა. ამავე წელს უკრაინის თასის ფინალის მსაჯობას დათანხმდა, ხოლო 1996 და 2003 წლებში ნორვეგიის თასის ფინალის წარმართვა ანდეს.

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ნორვეგიელი არბიტრი სამ შეხვედრას მოემსახურა: "უდინეზე" - "სპორტინგის" (საკვალიფიკაციო ეტაპზე), "ჩელსი" - "ბარსელონას" (მერვედფინალში) და "მილანი" - "ლიონის" (მეოთხედფინალში) დაპირისპირებებს. აქამდე ტერიე ჰაუგეს "არსენალის" მონაწილეობით ერთი, ხოლო "ბარსელონას" ექვსი შეხვედრა აქვს ნამსაჯი: ლონდონელები 2001 წელს "დეპორტივოსთან" დამარცხდნენ, კატალონიელებმა კი ხსენებული ექვსი მატჩიდან ოთხი მოიგეს.

## WADA-მ უკან დაიხია

გუშინ იწურებოდა ულტიმატუმის ვადა, რომელიც საერთაშორისო ანტიდოპინგურმა ორგანიზაცია WADA-მ ფიფას წაუყენა. ანტიდოპინგური ორგანიზაციის კატეგორიული მოთხოვნით, ფიფას ორშაბათამდე უნდა მოეყვანა შესაბამისობაში თავისი კანონები WADA-ს მოთხოვნებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე დადგებოდა ფეხბურთის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღების საკითხი. ფიფამ WADA-ს ულტიმატუმი არ გაითვალისწინა. ანტიდოპინგური ორგანიზაცია კი, როგორც ჩანს, უკან იხევს. გუშინ WADA-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება: "WADA-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწია ფიფასთვის სანქციების დაწესების ვადა. ფიფამ უახლოეს მომავალში უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე ფეხბურთის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღების საკითხს დავაყენებთ".

## კლინსმანმა შემადგენლობა დაასახელა

გუშინ იურგენ კლინსმანმა დაასახელა გერმანიის ნაკრების შემადგენლობა. ბუნდესნაკრების 23-კაციანი სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** იენს ლემანი (არსენალი), ოლივერ კანი (ბაიერნი), ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი)

**მცველები:** არნე ფრიდრიხი (ჰერტა), რობერტ ჰუტი (ჩელსი), მარსელ იენსენი (გლადბახი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტაზაკერი (ჰანოვერი), კრისტოფ მეტცელდერი (დორტმუნდი), იენს ნოვოტნი (ბაიერი)

**ნახევარმცველები:** მიხაელ ბალაკი (ბაიერნი), ტიმ ბოროვსკი (ვერდერი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), სებასტიან კელი (დორტმუნდი), ბერნდ შნეიდერი (ბაიერი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), ტომას ჰიტცლშპირგერი (შტუტგარტი)

**თავდამსხმელები:** ჯერალდ ასამოა (შალკე), მიროსლავ კლოზე (ვერდერი), ოლივერ ნოივილი (გლადბახი), ლუკაშ პოდოლსკი (კიოლნი), მიხაელ ჰანკე (ვერდერი), დავიდ ოდონკორი (დორტმუნდი)

## ბრუკნერი ტრავმირებულებს სწყალობს

ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კარელ ბრუკნერმა დაასახელა იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც მუნდიალზე გაემგზავრებიან. საინტერესოა, რომ ბრუკნერის სიაში რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელიც კი მოხვდა. მაგალითისთვის ლოკვენცი, გრიგერა და კოლერიც კმარა. ბრუკნერის სია კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პეტრ ჩეხი (ჩელსი), ანტონინ კინსკი (სატურნი)

**მცველები:** ზდენეკ გრიგერა (აიაქსი), მარეკ იანკულოვსკი (მილანი), მარტინ ჟირანეკი (სპარტაკი), რადოსლავ კოვაჩი (სპარტაკი), პაველ მარეში (ზენიტი), დავიდ როზენალი (პსჟ), ტომაშ უიფალუში (ფიორენტინა)

**ნახევარმცველები:** ტომაშ გალაშეკი (აიაქსი), დავიდ იაროლიმი (ჰამბურგი), პაველ ნედვედი (იუვენტუსი), იაროსლავ პლაშილი (მონაკო), კარელ პობორსკი (ბუდეიოვიცე), იან პოლაკი (ნიურნბერგი), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი), ვლადიმირ შმიცერი (ბორდო)

**თავდამსხმელები:** მილან ბაროში (ასტონ ვილა), მარეკ ჰაინცი (გალათასარაი), იან კოლერი (დორტმუნდი), ვრატისლავ ლოკვენცი (ზალცბურგი), ირჟი შტაინერი (ჰანოვერი)

## ბენიტესი წმენდას იწყებს

ბრიტანულ გაზეთ The Times-ის ინფორმაციით, ამ ზაფხულს რაფა ბენიტესი "ლივერპულის" რიგებში დიდ წმენდას მოაწყობს. სავარაუდოა, რომ გუნდს დატოვებენ ირჟი დუდეკი, კრის კირკლენდი, სალიფ დიაო, ბრუნო შეირუ და ენტონი ლე ტალეკი. ამავე დროს ბენიტესი ტრანსფერზე დააყენებს ფერნანდო მორიენტესსა და ჯიბრილ სისეს. ამ ორი ფეხბურთელის გაყიდვით მერსისაიდული კლუბი 20 მილიონი გირვანქა სტერლინგის მიღებას აპირებს.

## იაკინი მუნდიალს მიღმა დარჩა

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა კობი კუნმა სამუნდიალო სიაში შვეიცარიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ჰაკან იაკინი არ შეიყვანა. 29 წლის ფლეიმეიკერმა გასული სეზონი ტრავმის გამო თითქმის მთლიანად გამოტოვა და მის გამო ვერ მოხვდა რჩეულთა შორის. კუნმა კი თავისი არჩევანი შემდეგ 23 ფეხბურთელზე შეაჩერა.

**მეკარეები:** პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი), ფაბიო კოლტორტი (გრასჰოპერი), დიეგო ბენალიო (ნაციონალი)

**მცველები:** იოჰან ჯორუ (არსენალი), ლუდოვიკ მანინი (შტუტგარტი), ფილიპ სენდეროსი (არსენალი), სტეფან გრიხტინგი (ოსერი), კრისტოფ შპაერი (აინტრახტი), ვალონ ბეჰრამი (ლაციო), პატრიკ მიულერი (ლიონი), ფილიპ დეგენი (დორტმუნდი)

**ნახევარმცველები:** ქსავიერ მარგაიზარი (ციურიხი), იოჰან ფოგელი (მილანი), რიკარდო კაბანიასი (კიოლნი), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი), დანიელ ჟიგა (ლიდი), დავიდ დეგენი (ბაზელი), ბლერიმ ჟემალი (ციურიხი), ტრანკულიო ბარნეტა (ბაიერი)

**თავდამსხმელები:** ალექს ფრაი (რენი), მარკო შტლერერი (კიოლნი), მარიო ლუსტრინელი (სპარტა), იოჰან ფონლანტენი (ბრედა)

## პეტკოვიჩის რჩეულები

სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმა სამუნდიალო შემადგენლობა დაასახელა. მთავარი მოულოდნელობა 23-კაციან სიაში "ბაზელის" ნახევარმცველის ივან ეგრიჩის მოხვედრაა. სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** დრაგოსლავ იევრიჩი (ანკარა), ოლივერ კოვაჩევიჩი (ცსკა სოფია), ვლადიმირ სტოიკოვიჩი (ნანტი)

**მცველები:** გორან გავრანჩიჩი (დინამო), ივიცა დრაგუტინოვიჩი (სევილია), მლადენ კრსტაიჩი (შალკე), ნემანია ვიდიჩი (მანჩესტერი), მილან დუდიჩი (ცრვენა ზვეზდა), ნენად ჯორჯევიჩი (პარტიზანი), დუშან ბასტა (ცრვენა ზვეზდა)

**ნახევარმცველები:** დეიან სტანკოვიჩი (ინტერი), იგორ დულია (შახტარი), პრედრაგ ჯორჯევიჩი (ოლიმპიაკოსი), ოგნიენ კორომანი (პორტსმუთი), ალბერ ნაჯი (პარტიზანი), საშა ილიჩი (გალათასარაი), ზვონიმირ ვუკიჩი (პარტიზანი), ივან ეგრიჩი (ბაზელი)

**თავდამსხმელები:** სავო მილოშევიჩი (ოსასუნა), მატეია კეჟმანი (ატლეტიკო), ნიკოლა ზიგიჩი (ცრვენა ზვეზდა), დანიელ ლუბოჟა (შტუტგარტი), მირკო ვუჩინიჩი (ლეჩე)

## მორიენტესისა და ბარახას გარეშე

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გერმანიაში გასამართ მუნდიალს მიღმა დატოვა ფერნანდო მორიენტესი და რუბენ ბარახა, სამაგიეროდ არაგონესის 23-კაციან სიაში მოხვდა "არსენალის" ახალგაზრდა ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი. არაგონესის რჩეულთა სია კი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია)

**მცველები:** ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო), პაბლო იბანიესი (ატლეტიკო), კარლეს პუიოლი (ბარსელონა), ხუანიტო (ბეტისი), ასიერ დელ ორნო (ჩელსი), მიჩელ სალგადო (რეალი), სერხიო რამისი (რეალი), კარლოს მარჩენა (ვალენსია)

**ნახევარმცველები:** სესკ ფაბრეგასი (არსენალი), ხოსე ანტონიო რეიესი (არსენალი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ხავი (ბარსელონა), ხოაკინი (ბეტისი), ლუის გარსია (ლივერპული), ხაბი ალონსო (ლივერპული), დავიდ ალბელდა (ვალენსია), მარკოს სენა (ვილიარეალი)

**თავდამსხმელები:** ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), რაული (რეალი), დავიდ ვილია (ვალენსია)

## მესი პარიზში ჩავა

ფრანკ რაიკარდმა "ბარსელონას" ახალგაზრდა ფეხბურთელი ლიო მესი ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის განაცხადში შეიყვანა მიუხედავად იმისა, რომ ლიოს სერიოზული ტრავმა აწუხებს და ალბათ თამაშს ვერ შეძლებს.

"თავად ის ფაქტი, რომ მესი ჩვენთან ერთად იქნება, გუნდს ძალიან დაეხმარება. სამწუხაროდ, ძნელია იმის თქმა, შეძლებს თუ არა ლიო თამაშს, მაგრამ მთავარია ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის დროს გუნდთან ერთად იყოს", - განაცხადა "ბარსას" პორტუგალიელმა ნახევარმცველმა დეკომ.

## "დეზების" რეკორდული კონტრაქტი

ინგლისური პრემიერ ლიგის კლუბმა "ტოტენჰემმა" სარეკორდო კონტრაქტი გააფორმა ინტერნეტ კაზინო Mansion-თან, რომლის თანახმად ლონდონური კლუბი 4 წლის განმავლობაში 64.38 მილიონ ევროს მიიღებს. კონტრაქტის თანახმად, ინტერნეტ კაზინოს სახელი "ტოტენჰემის" ფეხბურთელთა მაისურებზე განთავსდება.

## იტალიელებს დოლჩე და გაბანა ჩააცმევს

როგორც იცით, ინგლისის ნაკრების სამუნდიალო ჩაცმულობაზე ცნობილი იტალიელი კუტურიე ჯორჯო არმანი იზრუნებს. თავად იტალიელებს კი დოლჩე და გაბანა შემოსავს. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის იტალიის ნაკრები ამავე სამოდელო სახლმა შემოსა. მაშინ იტალიელებს აშკარად არ გაუმართლა. რა ინება ახლა, ძნელი სათქმელია.

## რჩეული უკრაინელები

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა შემადგენლობის დასახელების ვადის ამოწურვამდე რამდენიმე საათით ადრე გააცნო საზოგადოებას იმ 23 ფეხბურთელის სია, რომლებსაც ანდობს მუნდიალზე თამაშს. ბლოხინის განცხადი ასეთია:

**მეკარეები:** ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ბოგდან შუსტი (შახტარი), ანდრეი პიატკოვი (ვორსკლა)

**მცველები:** ანდრეი ნესმაჩნი (დინამო), სერგეი ფიოდოროვი (დინამო), ვლადისლავ ვაშჩუკი (დინამო), ვლადიმირ ეზერსკი (დნიპრო), ანდრეი რუსოლი (დნიპრო), დმიტრი ჩიგრინსკი (შახტარი), ვიაჩესლავ სვიდერსკი (არსენალი, კიევი)

**ნახევარმცველები:** ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), ოლეგ შელაევი (დნიპრო), სერგეი ნაზარენკო (დნიპრო), ოლეგ გუსევი (დინამო), სერგეი რებროვი (დინამო), რუსლან როტანი (დინამო), ანდრეი ჰუსინი (კრილია), მაქსიმ კალინიჩენკო (სპარტაკი)

**თავდამსხმელები:** ანდრეი შევჩენკო (მილანი), ანდრეი ვორონინი (ბაიერი), არტიომ მილევსკი (დინამო), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსეი ბელიკი (შახტარი).

# ნაბიჯი ფინალამდე

NBA-ში გაიმართა კონფერენციების ნახევარფინალური სერიების კიდევ ორი მატჩი. „მაიამიმ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა „ნიუ ჯერსისთან" შეხვედრაში და სერიას ანგარიშით 3:1 იგებს. „ფენიქსისა" და „კლიპრესის" დაპირისპირებაში კი ანგარიში გათანაბრდა. კალიფორნიელებმა მეორე საშინაო მატჩიც მოიგეს და ახლა სერიაში ანგარიში 2:2-ია.

დავიწყოთ „მაიამისა" და „ნიუ ჯერსის" დაპირისპირებით. კონფერენციის ნახევარფინალური სერიის მეოთხე შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. სამი მეოთხედის განმავლობაში მოედანზე აბსოლუტურად თანაბარი ბრძოლა იყო, მეოთხე მეოთხედში კი „მაიამის" უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. შაკილ ო`ნილმა და მისმა თანაგუნდელებმა მეოთხედი ანგარიშით 26:19 მოიგეს და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს. ფინალური სასტვენის შემდეგ ტაბლოზე 102:92 იყო დაფიქსირებული „მაიამის" სასარგებლოდ.



„კლიპერსი" „ფენიქსს" გაუძალიანდა.

ისევე როგორც სერიის მესამე შეხვედრაში, ამჯერადაც ივაჟკაცა დუეინ ვეიდმა. სწორედ ის იყო საუკეთესო მაიამელთა შორის. ვეიდის მონაგარია 31 ქულა, 7 მოხსნა და 8 შედეგიანი გადაცემა. რაც შეეხება შაკს, მან თავის გუნდს 20 ქულა შესძინა და 11-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი.

„ნიუ ჯერსის" რიგებში საუკეთესოები იყვნენ ჯეისონ კიდი და ვინს კარტერი. კიდმა 17 ქულით, 13 ფარიდან მოხსნილი ბურთითა და 12 შედეგიანი გადაცემით დაასრულა მატჩი, კარტერის ანგარიშზე კი 26 ქულა, 2 ფარიდან მოხსნილი ბურთი და 5 შედეგიანი გადაცემაა.

ოდნავ მოულოდნელად მიმდინარეობს „ფენიქსისა" და „კლიპერსის" დაპირისპირება. ამ წყვილში „ფენიქსი" უდავო ფავორიტი იყო, თუმცა კალიფორნიელებმა თავი გამოიდეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს. სერიის მეოთხე მატჩი „კლიპერსმა" 114:107 მოიგო. ნიკა ცქიტიშვილს ისევ არ უთამაშია. „ფენიქსის" მარცხი გუნდის ლიდერის სტივ ნეშის საკმაოდ სუსტმა თამაშმა განაპირობა - რეგულარული სეზონის MVP-მ თავის გუნდს მხოლოდ 8 ქულა შესძინა. „კლიპერსის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო ელტონ ბრენდი, რომელმაც 30 ქულით, 9 მოხსნითა და 8 შედეგიანი გადაცემით დაასრულა მატჩი.

# ტრადიციად ქცეული ფინალი ტრადიციად ქცეული შედეგით

### რომში გლადიატორები ბრუნდებიან!

მამუკა ხოშტარია

რომი. მორიგი ტურნირი „Masters"-ის სერიიდან. ფინალი. კვლავ ფედერერი - ნადალი. მსოფლიოს პირველი ორი ჩოგნის შეხვედრა უკვე ზედიზედ მეოთხედ ახალგაზრდა ესპანელის გამარჯვებით მთავრდება. კოლიზეუმის მეზობლად მდებარე კორტებზე გამართული ეს მატჩი, ამ სიახლოვის თუ კიდევ სხვა გარემოებების გამო, უფრო გლადიატორთა შეხვედრას ჰგავდა, ვიდრე ჩოგბურთელების. პირველი სეტის მეოთხე და მეხუთე გეიმებში მოწინააღმდეგეებმა ბრეიკები გაცვალეს. ამის შემდეგ ორივე ჩოგბურთელი თავ-თავის მოწოდებებს ადვილად იგებდა და სეტიც ლოგიკურ ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელიც შვეიცარიელმა მშრალი ანგარიშით მოიგო: 7:0. მეორე სეტში გამარჯვებულის გამოსავლენად ასევე მეცამეტე გეიმის დანიშვნა გახდა საჭირო, რომელშიც ამჯერად ნადალმა იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. ამ წარმატებით ფრთაშესხმულმა ნადალმა მომდევნო სეტშიც მოახერხა ფედერერის მოწოდების აღება და პარტია 6:4 მოიგო. მეოთხე სეტი, ჟანრის კანონიკის თანახმად, ფედერერს უნდა მოეგო (რადგან ამ ჩოგბურთელების შეხვედრაში გამარჯვებულის გამოსავლენად



ნადალმა რომში იმარჯვა.

**გაგაცნობთ ჩოგბურთელთა მიმდინარე რეიტინგს:**

**ვაჟები:**

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) .7010
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) ....... 4635
3. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) 3065
4. ენდი როდიკი (აშშ) ......................2635
5. ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) .........2635
6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) ..2345
7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) ......................1865
8. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) ....1730
9. გასტონ გაუდიო (არგენტინა) .....1730
10. ლეიტონ ჰიუიტი(ავსტრალია) ....1595

**ქალები:**

1. ამელი მორესმო (საფრანგეთი) ...3272
2. კიმ კლაისტერსი (ბელგია) ...........3048
3. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) .......2620
4. მარია შარაპოვა (რუსეთი) ...........2543
5. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) ...2408
6. მარი პირსი (საფრანგეთი)............2302
7. ლიდსეი დევენპორტი (აშშ) ..........2254
8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) ......1964
9. პეტი შნიდერი (შვეიცარია) ..........1753
10. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი).........1577

**საჩემპიონო რბოლა**

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)......632
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)............384
3. ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია)..............251
4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)...250
5. მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი).......196
6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) ..........................186
7. ტომი ჰაასი (გერმანია) ......................176
8. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი).......168
9. იაკო ნიემინენი (ფინეთი)..................150
10. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) ..............139

**საჩემპიონო რბოლა**

1. ამელი მორესმო (საფრანგეთი) ... 1575
2. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)........1481
3. ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) ....1399
4. მარია შარაპოვა (რუსეთი) ............1174
5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი).........1057
6. მარტინა ჰინგის (შვეიცარია)...............860
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) ..................845
8. პეტი შნიდერი (შვეიცარია) ........................725
9. კიმ კლაისტერსი (ბელგია) ..............................696
10. ფრანჩესკა სკიავონე (იტალია)...........493

თითქმის ყოველთვის ხუთივე სეტის გამართვაა საჭირო). ასეც მოხდა: 6:2 შვეიცარიელის სასარგებლოდ. პირველ ჩოგანს ორჯერ შეეძლო მატჩის მოგება: ჯერ მაშინ, როცა გადამწყვეტ სეტში 4:1 იგებდა და თავისი ჩაწოდება დათმო, მერე კი 6:5-ზე, როცა როჯერმა ორი მატჩ-ბოლი გაუშვა ხელიდან. შეხვედრისა და მთლიანად ტურნირის გამარჯვებულის გამოსავლენად კვლავ ტაი-ბრეიკის გამართვა გახდა საჭირო. მეცამეტე გეიმი ფედერერის უპირატესობით დაიწყო. შვეიცარიელი 3:0-ს იგებდა, მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. მატჩი, რომელიც ხუთ საათს გაგრძელდა, საბოლოოდ ნადალის გამარჯვებით დასრულდა: 6:7 7:6 6:4 2:6 7:6. ამ გამარჯვებით ესპანელი რეიტინგში კიდევ უფრო მიუახლოვდა ფედერერს, თუმცა ჯერჯერობით შვეიცარიელის უპირატესობა კვლავ საგრძნობია.

# ბალაკი „არისტოკრატად" მოინათლა

მარი ჯავახიშვილი

ბუნდესნაკრების კაპიტანი და მიუნხენის „ბაიერნის" აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი გუშინ ლონდონში ჩავიდა და საბოლოოდ დაუსვა წერტილი მისი ტრანსფერის გარშემო მოარულ ხმებს.

გერმანიის 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელი დღეიდან უკვე ოფიციალურად ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელია და, შესაბამისად, მომავალ სეზონს „არისტოკრატთა" შემადგენლობაში დაიწყებს.

მიუნხენის „ბაიერნში" გატარებული ოთხი საკმაოდ წარმატებული და კარგი სეზონის შემდეგ ფეხბურთელმა თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა გერმანული კლუბი, რისი წყალობითაც ლონდონის „ჩელსის" მფლობელს, რუს მაგნატ რომან აბრამოვიჩს უფასოდ ჩაუვარდა ხელში.

ლონდონურ კლუბთან გაფორმებული 3-წლიანი კონტრაქტის მიხედვით, მიხაელ ბალაკის ანაზღაურება კვირაში 121 ფუნტი სტერლინგი იქნება.

„კონტრაქტის გაფორმებით და, საერთოდ, აქ ყოფნით ძალიან ბედნიერი ვარ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პრემიერლიგაში მოთამაშე ჩემს გერმანელ მეგობრებს - რობერტ ჰუტსა და იენს ლემანს დავუკავშირდი, რჩევა ვკითხე, ღირდა თუ არა ალბიონზე ჩამოსვლა. ბიჭებმა მითხრეს, რომ ინგლისი კარგი ქვეყანაა და აქ ჩამოსვლა მირჩიეს. ჰოდა, მეც აქ ვარ", - ამბობდა ახალი კონტრაქტით გახარებული ბალაკი.



ბუნდესლიგის სამგზის ჩემპიონი ახლა პრემიერლიგის ჩემპიონობას შეეცდება.

**მიხაელ ბალაკი**
**დაიბადა:** 26.09.1976;
**ქალაქი:** გერლიცი (ყოფილი გდრ);
**კლუბები:** „ჰემნიცა" (1995-97; 49 მატჩი, 10 გოლი); „კაიზერსლაუტერნი" (1997-99; 49 მატჩი, 12 გოლი); „ბაიერი" (1999-2002; 72 მატჩი, 27 გოლი); „ბაიერნი" (2002-2006; 107 მატჩი, 44 გოლი);
**ტიტულები:** ბუნდესლიგის ჩემპიონი - 2003, 2005, 2006; გერმანიის თასის მფლობელი - 2003, 2005, 2006; გერმანიის ლიგის თასის გამარჯვებული - 2004; გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი - 2002, 2003, 2005;
გერმანიის ნაკრებში ჩაატარა 62 მატჩი, 30 გოლი;
**ჰყავს მეუღლე სიმონა და სამი შვილი:** ემილიო, ლუი, ჯორდი;
**საყვარელი ავტომობილი:** „მერსედესი";
**ჰობი:** გოლფი და კალათბურთი;

მანამდე კი, ვიდრე მიუნხენური კლუბი ოფიციალურად დააყენებდა ბალაკს ტრანსფერზე, „ბაიერნის" ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობდა გუნდის ლიდერის შენარჩუნებას. მაგრამ ბუნდესნაკრების კაპიტანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა - მისივე თქმით, შეთავაზებული პირობები არ აკმაყოფილებდა და გუნდის გამოცვლას ამჯობინებდა.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ ბუნდესლიგის წლევანდელი სეზონის ბოლო მატჩში დორტმუნდის „ბორუსიას" წინააღმდეგ საკუთარმა გულშემატკივრებმა ლამის ობსტრუქცია მოუწყვეს - როგორც კი მიხაელი ბურთს მიიღებდა, მაშინვე გამაყრუებელ სტვენას იწყებდნენ.

„ჩელსის" საქმეში ჩართვამდე ბალაკით ინგლისური კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" გახლდათ დაინტერესებული, თუმცა ფეხბურთელმა პრემიერლიგის ჩემპიონზე შეაჩერა არჩევანი.

ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე მოთამაშე ბალაკს ლონდონში უკვე მიიჩნევენ ისეთი ფეხბურთელების სერიოზულ კონკურენტად, როგორებიც არიან ამავე პოზიციაზე მოთამაშე ფრანკ ლამპარდი, კლოდ მაკელელე და მიქაელ ესიენი.

გერმანელი ნახევარმცველის გადმოსვლასვე მიაწერეს ლონდონის „ჩელსიდან" ფრანკ ლამპარდის „ბარსელონაში" შესაძლო გადაბარგებაც. თუმცა, როგორც ინგლისის ნაკრების ლიდერი ამბობს, კატალონიურ გუნდში გადაბარგებას არ აპირებს და არც ბალაკის კონკურენციის ეშინია.

ლამპარდის თაობაზე ჟოზე მოურინიომაც გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ ფრანკი უწინდებურად თავის ადგილზე ითამაშებს.

„ჩვენს გუნდში მიხაელის გადმოსვლა ჩვენზე მხოლოდ დადებითად აისახება. ის, ლამპარდთან ერთად, ძლიერ ტანდემს შექმნის. ერთი სული მაქვს, როდის ვიხილავ მათ საქმეში ერთად. ჩვენ ჩემპიონები ვართ და ამის დასამტკიცებლად გუნდში მხოლოდ ჩემპიონები გვჭირდება", - განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრისას ლონდონელთა პორტუგალიელმა თავკაცმა.

„გაინტერესებთ, არის თუ არა ბალაკი ამ სეზონში ჩვენი ერთადერთი შენაძენი? - არა. ის ერთ-ერთია იმ მცირეთაგან, რომლითაც მომავალ სეზონში გავძლიერდებით. ჩვენ არ გვჭირდება ბევრი ფეხბურთელი, მხოლოდ ორი-სამი უმაღლესი დონის მოთამაშე გვინდა, რათა იმაზე ანგარიშგასაწევი გუნდი გავხდეთ, ვიდრე ახლა ვართ და მომდევნო სეზონში მარტო შინაურ კი არა, ევროპულ სარბიელზეც მივაღწიოთ წარმატებას", - ისევ მოურინიო.

# განცხადება

შპს "სუპტექ-ცემენტი" აპირებს მცხეთის რაიონში დაბა ძეგვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მინიცემენტის დაფქვის ქარხნის ამოქმედებას, სადაც მოხდება ცემენტის კლინკერის დაფქვა, რის შედეგადაც მიიღება 300- და 400-მარკიანი ცემენტი. აღნიშნული ქარხნის (გ.ზ.ა.) გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და სხვა დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ქ. მცხეთა გმირის ქ. №22.

თქვენი მოსაზრებები და წინადადებები გთხოვთ მოგვაწოდოთ 2006 წლის 5 ივნისამდე. დოკუმენტაციის საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 5 ივლისს ქ. მცხეთაში დღის 12 საათზე.

TV5MONDE

## 16 მაისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ეკატერინე. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** ინდოეთი. დოკ. ფილმი. **14.05** TV5-ის სამყარო. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** კვაზიმოდო დელპარიდან. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ ტიმსიტი. 1999. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** მშვიდობით. ტელესერიალი. **23.00** გადაცემა: თალასა. **04.40** გადაცემა: თვალსაზრისი.

# კონკურსი ! ! !

## თბილისის სააპელაციო სასამართლოში სტაჟირების მიღებაზე

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარჩვევებისა და სრულყოფის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლო აცხადებს კონკურსს სტაჟიორთა მიღებაზე.

სტაჟიორობის კანდიდატი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია. ასევე, უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დამამთავრებელი ან დამამთავრებელის წინა კურსის სტუდენტი.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა. კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა (სამომხმარებლო დონეზე)

ბ. საქართველოს კონსტიტუციის;

გ. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის;

დ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის;

ე. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული "საქმისწარმოების ერთიანი წესების";

ვ. საქართველოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის;

ზ. საქართველოს ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის;

თ. საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცოდნა.

**("ვ", "ზ", და "თ" პუნქტებში მითითებული კანონმდებლობის ცოდნა კანდიდატს მოეთხოვება სტაჟირების განაცხადში მითითებული სპეციალიზაციის გათვალისწინებით).**

დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში (მის: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. N7ა. ტელ: 53-09-32) სტაჟირების განაცხადის და მასში მითითებულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;

განაცხადის ბლანკი გაიცემა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მიერ.

დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება განცხადების გამოქვეყნებიდან 2 კვირის ვადით, 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი გაიმართება გასაუბრების ფორმით, განცხადების გამოქვეყნებიდან არაუადრეს სამი კვირისა.

# შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური

**ბრძანება N 125 \ ა**

**დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთებში დამატებების შეტანის შესახებ**

შპს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის კაპიტალში ახლადშესული საბორნე კომპლექსზე სანავსადგურე მომსახურებისათვის სატარიფო განაკვეთების დაწესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაწესდეს საბორნე ხიდზე გაწეული მომსახურების ადგილობრივი სატარიფო განაკვეთები და შეტანილი იქნას შესაბამისი დამატება ნავსადგურის "დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ" 18.04.2006 წლის N96ა ბრძანების კარი-I-ში.

| № | ტვირთის სახეები | განზ. ერთეული | ტვირთის კოდები | განაკვეთი (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|---|
| | 18. საბორნე ტვირთი | | | |
| 18.1 | სარკინიგზო ვაგონები | ერთეული | | |
| | -სუბტროპიკული ხურმით და ციტრუსით დატვირთული ვაგონი | | | 60 |
| | - სასომხეთის სატრანზიტო ტვირთით დატვირთული ვაგონი | | | 150 |
| | - სხვა დატვირთული ვაგონი | | | 125 |
| 18.2 | სატვირთო ავტომანქანა | ერთეული | | |
| | - დატვირთული | | | 45 |
| | - ცარიელი | | | 30 |
| 18.3 | - ავტომატარებელი | ერთეული | | |
| | - დატვირთული | | | 60 |
| | - ცარიელი | | | 45 |
| 18.4 | ავტომანქანის მისაბმელი | ერთეული | | |
| | - დატვირთული | | | 15 |
| | - ცარიელი | | | 10 |
| 18.5 | ავტომობილი | ერთეული | | |
| | - მსუბუქი ავტომობილი | | | 15 |
| | - ჯიპი, მიკროავტობუსი | | | 20 |
| 18.6 | კონტეინერი | ერთეული | | |
| | - 20-ფუტიანი (TEU) | | | 50 |
| | - 40-ფუტიანი (2TEU) | | | 100 |
| 18.7 | სხვა ტვირთი | კუბ.მეტრი | | 5 |

2. ტარიფები ამოქმედდეს ბრძანების გამოქვეყნებისთანავე

**შ.პ.ს. ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური**

# განცხადება სააქციო საზოგადოება "ქუთაისის ავტოქარხნის" მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

სს "ქუთაისის ავტოქარხნის" სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია იწვევენ სააქციო საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2006 წლის 5 ივნისს 14 საათზე, ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. 88-ში მდებარე სააქციო საზოგადოების თხდომათა დარბაზში.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მომხს: საწარმოთა მართვის სააგენტო).
2. 2005 წლის შედეგები (მომხ: შამუგია - გენერალური დირექტორი, ქ. ალშიბაია - სს ქუთაისის ავტოქარხნის მთავარო ბუღალტერი).
3. სხვადასხვა.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2006 წლის 5 მაისი.

დღის წესრიგის საკითხების გამო ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში. ტელეფონი: 7-50-21, 7-26-95.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელები ან მათი წარმომადგენლები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2006 წლის 5 მაისის 18 საათის მდგომარეობით, რომელსაც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი "ICT delameni" (თბილისი, აღმაშენებლის 153. ტელ.: 94-14-91, 94-18-28).

სს "ქუთაისის ავტოქარხნის" სამეთვალყურეო საბჭო, დირექცია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. ბორჯომის გამგეობა, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1 აცხადებს ტენდერს ქალაქ ბორჯომის ცენტრალური ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დასუფთავებისა და ანახვეტების გატანის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) 2006 წლის 5 ივნისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი №1, მე-2 სართული, ქ. ბორჯომის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურების შესახებ;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე;
- ინფორმაცია სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება).

იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ისინი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და შესაბამისი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, შეუძლიათ 16 მაისიდან 31 მაისამდე, 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, მე-2 სართული. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიზიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107 ანგ. № 200122900 კოდი 300624040 ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, მე-2 სართული, ქ. ბორჯომის გამგეობა. ტელ: (8-267) 2-14-53.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **მიწისქვეშა სკანირების რადარების** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი და მისი ძირითადი მახასიათებლებია:

**ლოტი N1. პორტატიული მიწისქვეშა სკანირების რადარი (GPR) - ერთი ცალი**

**ა) დანიშნულება**

მიწის ზედაპირის ქვეშ და ბეტონის კონსტრუქციების არსებული მდგომარეობის შესწავლა გათხრის და დანგრევის გარეშე, რაც მოიცავს:

- ლითონის, პოლიმერული და სხვა მასალისაგან დამზადებულ მიწისქვეშა კომუნიკაციების (გაზის, წყლის, კანალიზაციის მილები, რეზერვუარები, ელ. კაბელები და სხვა ობიექტები) აღმოჩენა და მათი ლოკალიზაცია;
- აღმოჩენილი ობიექტის სახის და ზუსტი მდებარეობის და ჩაღრმავების განსაზღვრა;
- მკაფიო, ფერადი, სამგანზომილებიანი და ადვილად წასაკითხი გამოსახულების მიღება;
- მონაცემთა დამახსოვრება, გადაცემა და მათი შემდგომი დამუშავება რუკების და სქემების შედგენის მიზნით;

**ბ) ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები;**

- სკანირების სიღრმე: 0 - 4მ და 0 - 6მ;
- ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში მუშაობის შესაძლებლობა;
- საველე პირობებში მუშაობის შესაძლებლობა;
- ავტონომიური კვება;
- კვების ელემენტების მრავალჯერადი დამუხტვის შესაძლებლობა;
- ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის ხანგრძლივობა: 5 - 10 საათი;
- დისპლეიზე ფერადი, 3D გამოსახულების მიღება.

Windows-2000 ან XP-სთან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფა.

**ლოტი N2. ხელის მიწისქვეშა სკანირების რადარი (HandyScan)**

**ა) დანიშნულება**

- ლითონის, პოლიმერული და სხვა მასალისაგან დამზადებულ ფარული კომუნიკაციების (წყლის მილები, ელ. კაბელები, არმატურა) აღმოჩენა და მათი ლოკალიზაცია;
- აღმოჩენილი ობიექტის სახის და ზუსტი მდებარეობის და ჩაღრმავების განსაზთვრა;
- ასფალტის და ბეტონიეს სისქის გაზომვა
- მკაფიო, ფერადი, სამგანზომილებიანი და ადვილად წასაკითხი გამოსახულების მიღება;
- მონაცემთა PC-ში დამახსოვრება, გადაცემა და მათი შემდგომი დამუშავება.

**ბ) ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები;**

- სკანირების სიღრმე:0 - 0.5მ
- ავტონომიური კვება;
- კვების ელემენტების მრავალჯერადი დამუხტვის შესაძლებლობა;
- ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის ხანგრძლივობა: 2 - 3 საათი;
- დისპლეიზე ფერადი, 3D გამოსახულების მიღება.
- მონაცემთა ადგილზე ამობეჭვდის საშუალება;
- Windows-2000 ან XP-სთან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფა;
- დაბალი წონა: მაქსიმუმ 1კგ.

გათვალისწინებული უნდა იყოს, აგრეთვე თრეინინგის ჩატარება "თბილწყალკანალი"-ს პერსონალისათვის.

**2.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა: ერთი თვე

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 5 ივნისის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 6 ივნისის 1000 საათიდან - 15.00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

ზურაბ ღონღაძე, ტელ; 487 140, ელ.ფოსტა: zgongadze@TWU.Water.ge, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს ტრანსფორმატორების შეკეთების სამუშაოს შეძენაზე (5 ლოტი)

შესაკეთებელ ტრანსფორმატორთა ტექნიკური მახასიათებლები

**ლოტი N1**

ქს "ქსანი-500" ცენტრალური ტრასიდან ქვესადგურამდე მოასფალტებული გზაა 5კმ, აქედან 1კმ ასფალტი დაზიანებულია. ქვესადგურის შესასვლელთან არის 30 აღმართი(50 მეტრი) შემდეგ რელიეფი სწორდება, რეაქტორის და AT3-ს მისასვლელი მოასფალტებულია
ქს "ქსანი-500"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ატ-3 ფაზა "B"
ტიპი АОДЦТН-167000/500/220
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 133050
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1987
გაციების სახეობა - ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ქს "ქსანი-500"
რეაქტორი
რეაქტორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ფაზა "A"
ტიპი РОДЦ 60000/500
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 1328497
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი-მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1987
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ქს "ქსანი-500"
რეაქტორი
რეაქტორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ფაზა "C"
ტიპი РОДЦ 60000/500
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 1328499
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ლოტი №2

ქს "გლდანი 220" ცენტრალური ტრასიდან არის 4 კმ, აქედან 3 კმ გზა ძალიან დაზიანებულია, ქვესადგური მოასფალტებულია.
ქს "გლდანი 220"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება AT-1
ტიპი АТДЦТН-125000/220/110
ნომინალური ძაბვა 220 კვ
საქარხნო დასახელება 124563
გამოშვების წელი 1984
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1988
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 63 ტონა

"რუსთავი 220"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება AT-2
ტიპი АТДЦТН-200000/220/110
ნომინალური ძაბვა 220 კვ
საქარხნო დასახელება 89719
გამოშვების წელი 1974
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1988
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 76 ტონა

ლოტი №3

ქს "ნავთლუღი-220" ცენტრალური ტრასიდან 1 კმ. მოხრეშილი გზაა, ქვესადგურის ტერიტორიაზე რელიეფი სწორია.
ქს "ნავთლუღი-220"
ტრანსფორმატორი
ტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება T-1
ტიპი ТДТН-40000/110
ნომინალური ძაბვა 110 კვ
საქარხნო ნიმერი 108135
გამოშვების წელი 1981
დამამზადებელი ქარხანა ზაპოროჟიეს სატრანსფორმატორო ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი 1981
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 28 ტონა

ქს "გურჯაანი-220" ცენტრალური ტრასიდან 3 კმ. არის აღმართები, მაგრამ ქვესადგურში სწორი რელიეფია, ასფალტი დაზიანებულია.
ქს "გურჯაანი-220"

ქს "ქსანი-500" ცენტრალური ტრასიდან ქვესადგურამდე მოასფალტებული გზაა 5კმ, აქედან 1კმ ასფალტი დაზიანებულია. ქვესადგურის შესასვლელთან არის 30 აღმართი(50 მეტრი) შემდეგ რელიეფი სწორდება, რეაქტორის და AT3-ს მისასვლელი მოასფალტებულია
ქს "ქსანი-500"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ატ-3 ფაზა "B"
ტიპი АОДЦТН-167000/500/220
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 133050
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1987
გაციების სახეობა - ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ქს "ქსანი-500"
რეაქტორი
რეაქტორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ფაზა "A"
ტიპი РОДЦ 60000/500
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 1328497
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი-მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1987
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ქს "ქსანი-500"
რეაქტორი
რეაქტორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება ფაზა "C"
ტიპი РОДЦ 60000/500
ნომინალური ძაბვა 500 კვ
საქარხნო ნომერი 1328499
გამოშვების წელი 1987
ქარხანა დამამზადებელი მოსკოვის ელექტრომექანიკური ქარხანა
ექსპლუატაციაში შესვლის წელი
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 40 ტონა

ლოტი №2

ქს "გლდანი 220" ცენტრალური ტრასიდან არის 4 კმ, აქედან 3 კმ გზა ძალიან დაზიანებულია, ქვესადგური მოასფალტებულია.
ქს "გლდანი 220"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება AT-1
ტიპი АТДЦТН-125000/220/110
ნომინალური ძაბვა 220 კვ
საქარხნო დასახელება 124563
გამოშვების წელი 1984
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1988
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 63 ტონა

"რუსთავი 220"
ავტოტრანსფორმატორი
ავტოტრანსფორმატორის ტექნიკური მახასიათებლები
სადისპეტჩერო დასახელება AT-2
ტიპი АТДЦТН-200000/220/110
ნომინალური ძაბვა 220 კვ
საქარხნო დასახელება 89719
გამოშვების წელი 1974
ქარხანა დამამზადებელი-ზაპოროჟტრანსფორმატორი
ექსპლუატაციაში შესვლის წელი-1988
გაციების ტიპი-ზეთისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაცია (ДЦ)
სატრანსფორმატორო ზეთის რაოდენობა 76 ტონა

ტიპი ТМ-1800/35
ნომინალური ძაბვა 35 კვ
საქარხნო ნომერი 574173
